

# ტრესკარი

სამხარგრძელ-  
საღმრთაღმრთელ  
ქარნალი

2 | 2000







# ცისკარი

ღამთუბნეშოქი:  
საქაბთოელთს მწყნალთა კავშიბი  
ღა ქუნალ „ცისკარის“ ბრეაქცია

2 | 2000

ღაარსებუღია 1852 წელს აღდგენიღია 1957 წელს

## შინაარსი

შთავარი რედაქტორი:

**გაურ კალანღია**

ბოეზია და ბროზა

სარედაქციო საბჭო:

ბალათმარ არ ბაბულღი  
ღემან მალაზონღია  
ელზა მობრემიღი  
(შთ.რედაქტორის შოადღიღე)  
მინო მისულღიშვიღი  
ზურაბ ნარმანი  
ჯეპალ ჭირი  
(სახესხვეჭეღი ეანი)

საკონსულტაციო საბჭო:

ბიბი ბაბაქორი  
ნოღარ ბრიბაღაშვიღი  
ღაკიტი თეღორბაქ  
ზაზა თვარაქ  
მეზარ კვიტარღიშვიღი  
რეპაზ შიშვალაქ  
ღაკიტი მვეღღიშვიღი  
ბურღი მტობაღია  
ბიბი სულაბაღი  
მინეღილ მვღიშვიღი  
ჯანსულ ღვინჯიღი  
შაღინან შაბანაქ  
ნოზარ შატაღი  
როსტომ ჩხიბი  
ჯანო ჯანეღი

მხატვარი:

ბიორბი შარმთეღი

მხატვრული რედაქტორი  
ღაკიტი ბბულაქ

ტექნედაქტორი:

ზიული სირაქ

გამომცემელი:

ღემან თითმარღია

საქიფეღი, თბიღის, ხეღი ქუჩა 1  
ტელ 99-85-81 ბა რედაქტორი  
98-36-43 შოადღე

- 3. ღალი ცაბა. ლექსები
- 6. ჯაბა იოსელიანი. სარევისორო გეგმა. რომანი. დასახრული
- 52. ევაბ ხორნაული. ლექსები
- 55. შურმან ცეცხლაქე. ლექსები
- 57. მხიელ ქვლევიმე. ვაბირებ ცხოვერებას... (ავტობიოგრაფიული ნარკვევი) გავრბეღება
- 87. ბელა შალვაშვიღი. ლექსები
- 89. ვალერიან საღიანი. ლექსები
- 91. ჯემალ ღობორჯღინიმე. ლექსები

### ღრამატურეღია

- 93. თამაზ მეტრევეღი. ქამალ აბღულა. ვინა თქვა, რომ ფასკუნჯი არსებობს...

### ჩუენი თანამედროვე

- 108. ღალი სულაშვიღი. წითელი კენგავრი

### ბოღიტიეოსის თეაღიტი

- 115. თამაზ ნადარეშივიღი. ქვეენის გერიგორიული მოღიანობის აღსაღღეღა

### წერიღები

- 118. აეთანღილ ნიკოლეიშვიღი. რეეაბ შიშვეღაბის ნოვეღეღის ცრემღაღი იუმორი
- 128. რუსულან ფიფია. ჯვარცხა უღღისა ითანე მინხის პოემამი
- 130. ნინო კოჭღიშვიღი. შიო არაგვისპირეღის ნოვეღეღი
- 132. რუსულან კვარაცხელია. მეტაფორის კინემატოგრაფიული სექციიეღი
- 134. ვანო მჭეღღიშვიღი. ღტიგობატურეღი ძაღეღის კონსოღიღა ის ნიმუში
- 135. ეკა ღღღაშვიღი. II ოღის (მოიხიღესას) საკითხისათვის



## დალი ცაავა

### ახალი კაპრიზები საუკუნის დასასრულს



1. ასეა, ცოფილ ვარ წინაშე უფლისა, ქალი-ქარაფინდა, ბელი მაქვს პოეტის, სანთელ-საკმეველი სხვისი რაღად მინდა. ევბრძევი ქარბორიებს, ნიშანდადებული შევირდი მთვარისა, ურჩი და უგრეხი, ძირით ძირობაძლე კოლხური გვარისა.

ვში კარს სამარისა, ოდეს შეუნაღველი შემომედრებლება, იღარებს, ვმღერივარ, თურმე სიყვარულით გული არ იღლება, მღვა ღამესიმშრება, წამით გაცხადლება არე ბუნდოვანი, მშერას დააგყვევებს მოსული სხვანაღდან უცხო კიღობანი.

მოვა გათენება, ცაშე ცისარტყელას აღბუჭდავს საბათო... ჯერ არს გაზაფხული, ბნელეთის ქურუმო, ნუღარ მცდი ამაოდ. სულში მეთისხილის გოგი აყვავდება, ჩაცხრება ენებები, ვყოფილვარ ოდესღაც ჩიგი მგალობელი, ოდესმე ვიქნები.

ჯერ კი სოდომური ცეცხლის წვიმებია დ ქარებს მიჰყვება უკვე გარდასული დღეების ტკივილი, ფერფლი და დიდება, ხმას მღაღაღებლისა ზედა უდაბნოსა ჰგავს ჩემი ძახილი, რომელი თქვენგანი არის უცოდველი, აღიღეთ მახვილი..

(არიადნე)

2. გამოიღვიძე, უხმე დიდოს, უხმე მედეას, სუყველას, ვინც კი უარყოფის იწვინია მხამი, ჰგავს შენი სახე მთვარის შუქზე მკედარ ორქიდეას, განახენე თვალნი, მარგოთობის დილა სისხამი

აქციე ცრემლად - გაღმოკიდე კლდეებს ჩქერალი, წაღეკოს წყალმა ეამი ღრძო და არსახსოვარი, სხვა დაისები ვაისხენე, სხვა თებერვალი, კონცხი უნისლო, პორიზონგზე მშე - კინოვარი.

ხავერდოვანი გადააგლე მშერა მიღამოს, ჩაახსე მშიერ ნაპრალებში ქარის წიწინი, დასწყველე ბედი... შეაღეწე ცას უდიღამოს, ცივი შუბლიდან გარდმოსხნილი ცეცხლის გვირგვინი.

საქართველოს  
ქრონიკული  
ბიბლიოთეკა

(მოდერნისტული კოლაჟი)

3. მთვრალი კაქტუსი - მომაკვდინებელი ღუმლით  
 გახევებული, ჩაარტახებული აბანოზის შავ აკვანში,  
 დამწყდარი ნერვების ტვერში, ობობა - საკუთარ ქსელში -  
 ხასი და ზარქაში. მორიელი გრძნეულის კალთაში,  
 გული საგულეში - ყრუ-მუნჯი ფასკუნჯი რკინის გალიაში.  
 ქარის იაენანა ქარიან ღამეში...

მთვრალი კაქტუსი - შლევი, შეშლილი კორიფანგი,  
 ჩემი ოთახის ფვერიულ სიმშვიდეში, ფოლიანტების მგვერში,  
 გაზაფხულის ჭექა-ქუხბლში, ძარღვიანი ჩანჩქერების  
 თავსებაში, აღმევებული ერთადერთი ფანჯრის რაფაზე.  
 ვიქტორია, ნიაგარა, კასტალია.  
 ქარის იაენანა ქარიან ღამეში...

მთვრალი კაქტუსი - გადარეული ინფანტი, ფრანგი,  
 მოულოდნელი და უცაბედი, კვესი და აბედი,  
 ასანთი, ღენთი, ალი... წყალი, პეშვით მიგანილი  
 მწყურვალის ბაგემდე, სხივი - მთვარის მარადიული  
 სიმბალიდან ჩამოდვრილი, კვლელს მიმსხვრეული  
 ბროლის სამელნე, ლაქა - ლურჯი ყვავილი!..

ქარის იაენანა ქარიან ღამეში...

4. ისევ ერთად ვართ, მარტოობავე, ისლის კარავეში  
 ოთხივე მხრიდან გამჭვალავი უბერავს ქარი  
 და, ვით სამოთხე მომაკვდავის წარმოსახვაში,  
 ფეთქავს ხსოვნაში სიჭაბუკის ცა - სადაფქარი.

აი, მუსიკა შორეული... უკვე ახლოა,  
 უკვე გამოჩნდა ნისლოვანში თეთრი ფრინველი,  
 იქ, ალბათ, ისევ ანგელოზთა სამოსახლოა  
 და უფლის ბაღებს გაზაფხულის ასდის სურნელი.

ო, იარალი!.. შენს ღუმელში რამდენი სახე,  
 რამდენი ხმაა, ჯერაც ძვირი, უკვე მიმქრალი,  
 მიედინება უგუნებოდ დრო სავაგლახე,  
 თან მიაქვს წლები, რჩება ქეიშა და საფიქრალი.

მომისაკლისე, სუმბულებით მორთე ხავერდი,  
 ტკივილს ცრემლები, ჩანგს სიმები ჩამოაწყვიტე,  
 როცა მოვეკვდები და უძირო ზეცის კარედი  
 გადამეხსნება, ვით ზამბაკი სამარგალიტე.

5. მთინახულე, კითვრიავე, ჩემი კუნძული,  
 აღმოსავლეთით უკვე აღჩნდა ვერძის ნიშანი,  
 მთელი ზამთარი მარტოობით ვარ დაზაფრული,  
 ღამე თარსია, მთვარე - ბასრი იატაკანი.

უბადრუკია დღის დღიდან გადასახედი,  
 შეშლილა მარტი, გოგებს ხლართავს ქარი ურჯუკი,  
 თითქოს დაადეს ბედის გუჯარს ლუქის ბეჭედი  
 და ჰაიპარად დამიხურეს გული - შანდუკი.

შეახე შენი ჩირაღდანი გლოვის პალატებს,  
 ვარინდე წამი, გააოგნე მშის საბრძანისი  
 და, სანამ ცეცხლი მოგონებებს გააპარგახებს,  
 თბილ ნალვერდალში აგალობე ჩიგი - ფენიქსი.

ნ. ცხრაჯერ ათასი დღეა შენამდე - გააფორებული ბედის სასჯელი!..  
 ჩასჭიდებია ხსოვნას ჭანგებით ცხრაჯერ ათასი დამის ნალველი.

თავსასთუმალთან თელემს მარტობა - შექმონავენი მთვარის ნახხიბი,  
 ცაზე ნისლია და ნისლებს მიღმა კვლავ უშფოთველად სუნთქავს კირჩხიბი.


გადაუღებლად წვიმს ჩემი ზეცა - მშის საგალობელს აკენესებს თარი,  
 მე მახსოვს, მაშინ ჩვენს განშორებას ცხრაჯერ ათასი გლოვობდა შარი.

მე მახსოვს, საით მიჰქონდათ ქარებს სიმწრით მომწყდარი კბოღეს ბორანი...  
 ჩხაოდა ყვაფი, დახშულ ჭიშკართან იკვირებოდა ხე - არღავანი.

ცისადცისადი სხვიით ნაკემსი სული, დაღლილი ცოღვით, ცრემლებით,  
 საბედისწერო გზაჯვარედინთან ეთხოვებოდა სხეულს წვალებით.

ისევ უმწუოდ კენესის გვირილა - პირქარცი, მშვიდი და უმაკველი,  
 „აღარ უყვარხარ!“ წუხელ გრივალებს ჩაუშხვრევით თურმე სარკმელი.

შემორჩენია ვერცხლის მონეგას მხოლოდ სახელი - ცეცხლის გვიფარი,  
 ერთ ღროს ყველაზე უძვირფასესი, ახლა დუმილით მოსაგონარი.



# ჯაბა იოსელიანი

## სარეისორო გეგმა

დიდმა ჩეკისტმა ორივე დანაპირები შეუსრულა ბალერინას: ავეჯი გამოუცვალა, მართალია, ისიც ახალი არ ჩანდა, მაგრამ უფრო მსუბუქი და მოხერხებული გამოდგა; მეორეც - დახვერვის პროცედურაზე დასასწრებად წაყვანას დღეისათვის დაპირდა და ახლა ჩაცმული და გულაჩქარებული მანქანის დაბინძურებას ელოდებოდა. პროექტორების შუქით შემოფარგლული ციხის ეზოში მოძრავი ადამიანები მოჩანდნენ, თუმცა სახეებს ვერ გაარჩევდი. ალიკაპივით რკინაფარებული საკნების ფანჯრებიდან წვრილ ზოლვებად სინათლე გამოკრთოდა, ეზოში რაღაც მიყრუებული დღუღი იდგა. ბალერინა, გინდაც ბავშვობაში რაღაც დღესასწაულზე პირველად მიჰყავდათ, ისე ცქცუკავდა. მათ შესახვედრად გამოსულმა ციხის უფროსმა მეორე სართულზე გრძელი დერეფნის ბოლო ოთახში შეიყვანა. დიდი ჩეკისტის დანახვისას ყველა იქ მყოფი მისაღმების ნიშნად წამოიშალა, მან კი დიდსულოვნად ხელით ანიშნა, გაეგრძელებინათ თავის საქმე, თვითონ კედელთან გამწკრივებულ ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა, ბალერინაც გვერდით მოსიყა. - „ყველაფერი მზადაა, ამხანაგო გენერალო, ევლოდებით შემსრულებელს“, - თქვა მასპინძელმა, წამოვიდა მისკენ, გადაშლილი საქალაღე გაუწოდა. ვიდრე დიდი ჩეკისტი მერუღედ დავიარს ათეულდერება, ოთახში არასრულ სამხედრო ფორმაში, წელში ოდნავ წახრილი ჭადარა კაცი შემოვიდა; უსამხრებო ბლუზაზე ლენინის ორდენი ეკიაოვდა, მსხვილ ქამარზე გყავისბუდიანი იარაღი ეკიდა, პირის კუთხეში გრძელმუნდშკუიანი პაპიროსი ჰქონდა დაუღვევრად გაჩრილი; ხორციანი, ლურჯად დაბარდვული მოწითალო ცხვირი და ოთახში დაყენებული ოხშიე-

არი ეჭვს არ ტოვებდა, რომ მათი პატრონი მაგარ სასმელებთან მწყურალად არ იყო. ამბღლებულ განწყობაზე ჩანდა, თვალები რუხად უელავდნენ, რაღაც უპირატესობის შეგნებით ევლებოდნენ დამსწრეთა სახეებს, თუმც არავიფე არ ჩერდებოდნენ. მისმა გამოჩენამ კამერტონივით იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ ხმას არ იღებდა - და იქნებ სწორედ ამიტომაც - ახლა იგი განაგებდა ამ მცირე სამყაროს. „ჯალათია“, - ხმადაბლა ამცნო დიდმა ჩეკისტმა ბალერინას. მასპინძელი რაღაცას შეეკითხა ჯალათს, მან კი ბალერინასკენ გამოიხედა, მოჭყუნა სახე, მხრები აიჩეხა და გაურკვეველი სიგყვა წარმოთქვა. ციხის უფროსმა საათზე დაიხედა და ყველას სხვა შენობაში გადასვლა შესთავაზა. საღდაც ჯურღმულში ეშუებოდნენ ბნელი კბით, ალბათ, ჯოჯოხეთის კარიბჭეც ასეთია, - გაუღევა ბალერინას. მკროთლად განათებულ გრძელ გვირაბს ნესტისა და საპირფარეშოს აუგანელი სუნი სდევდა. მოულოდნელად გამოიღო კარი, წამით შუქმა დააბრმავე. რამდენიმე კაცი ეხვეოდა სკამზე მჯდომს, ყველა სამხედრო ფორმაში იყო, გარდა მაგიდასთან პირისპირ მსხდომი ორისა. ერთს შეუვალი გამოუმეყველება და მსუქანი სახე ჰქონდა, მეორეს - მიკაკალივით თეთრი და ნადირის უაზრო მწერა. საქალაღედ, რომელიც დიდ ჩეკისტს შემორჩა ხელში, ვილაყამ გამოართვა და ამ ორის შუაღაღო მაგიდაზე. „უარი ვითხრეს შეწყალებებზე. მოაწერე ხელი, რომ გაგაცნობი“, - მოკლედ მოჭრა მსუქანმა და დავიარი მიუწია მის წინ მჯდომს. „შეუხსენით ხელები“, - თქვა ლენინისორდენოსანმა. „მე არაფერში არა ვარ დამნაშავე“, - მარცვალ-მარცვალ ლულულედა მისჯილი, ხეღბორკილის მეს-



ახსენალ მიჭირლები გასაღებს ვერ არგებდ-  
ნენ. „ნუ გემინია, ეს ჯერ კიდევ არ არის  
საბოლოო აქტი.“ - ჩაილაპარაკა ვიღაცამ.  
მისჯილი მყისვე გაჩუმდა, ცივი წყალი  
გადაასხესო თითქოს. „აჲ მოაწერე!“ - მკაც-  
რად უბრძანა მსუქანმა და თითოთი მიაწინა  
გაშლილ ფურცელზე. პირველად ამ ხნის  
განმავლობაში რაღაც აღამიანური, იმედიანი  
ნაპერწკლით გაღმობდა ბალერინას, აკან-  
კლებული ხელით რაღაც წაქლაბნა. მყისვე  
ორღელისანმა კბილებიდან გამოცხრა: „გაი-  
ყვანეთ!“ შემორკალულები დაესივნენ: - „აა...“  
- რაღაცას ყვიროდა გაგულული სიკვდილმი-  
სჯილი. თავზე გომარა გადააიყვს და გა-  
ათრეის. დიდმა ჩეკისგმა თავით ანიშნა, გამ-  
ომყვივით, ბალერინამ უბრით ასევე გადა-  
უქნია თავი. ოთახში დარჩნენ: მსუქანი, დაბლ-  
ვერილი სახით, ერთი ვიღაც მურგით მდგომი  
და ბალერინა. კარვა ხანს გაყინული სიხუმე  
იღვა, მკროთალი სინათლე აჩქარებული პულ-  
სივით ციმციმებდა. მერე მოახლოებული ხმა-  
მალალი ლაპარაკი გაისმა, პირველი დიდი  
ჩეკისტი შემოვიდა. ბალერინა მკლავზე დაეკ-  
იდა: - „ჩქარა წავიდეთ, ჩქარა!“ - წაიხურჩ-  
ულა და მძლავრად მოქაჩა კარისკენ. მთელი  
ვერობით თითქმის სიბრბილით, ხმის ახოლებ-  
ლად განელეს; არც არავის დამშვიდობებია  
და არც დიდ ჩეკისგს აცალა ამის გაკეთება.  
მანქანაში ჩასხდომისას ჩეკისგმა ჩაიფინა:  
„ამიგომ არ მინდოდა შენი წამოყვანა.“ -  
„ეს ხომ ნამდვილი მკვლელობაა.“ - გააწყე-  
ვინა ბალერინამ, - „მამ, რა გევიონა, მუს-  
იკითა და მონოლოგებით, როგორც თე-  
ატრში?“ სახლში მისვლისას ბალერინა მან-  
ქანიდან აღარ გადმოვიდა: - „ქალაქგარეთ  
წავიდეთ.“ - „ახლა?“ - იკითხა ჩეკისგმა. -  
„პო.“ - „შუალამეა“, - დაიხელა საათზე ჩეკ-

ისგმა. - „არა უშავს, ცოცა გავიაროთ“. -  
ჩეკისტი შეყოყმანდა: - „მამინ ფუნიკული-  
ორზე რესტორანში ვივასშმოთ“. გზაში  
ბალერინამ ფანჯარა ჩამოწია, გრილი პაერი  
ურგყამდა სახეში, ხმას არ იღებდა. ჩეკისტი  
და მძლოლი რაღაცამე საუბრობდნენ. რესტ-  
ორნის განათებულ შესასვლელთან გაჩე-  
რდნენ თუ არა, ბალერინა გაღმობდა და  
სწრაფი ნაბიჯით გასწია სიბნელისაკენ.  
„მოიცა, საღ მიღიხარ“, - დაეღვენა ჩეკისტი,  
მაგრამ ბალერინამ მოუხედავად და უსიგვე-  
ოდ ცალი მხარის აჩეჩვით მოიპაგეცა და  
სიბნელეში გაუჩინარდა. ჩეკისგმა მძლოლი  
რესტორანში მყუდრო ადგილის ასარჩევად  
შეგზავნა, თვითონ ბალერინას დაეღვენა.  
ძლივს დალახდა, ისე მიიჩქაროდა, ვინდაც  
ვიღაცას გაურბოდა. სიბრბილით წამოწია:  
„საღ გარბიხარ, ვერ გავიგე.“ - „კარგია  
პაერზე, მშვენიერი ამინდია“. - „გაგბრწყვიდ,  
რომ წამოგიყვანე“. - „მოდი, სხვა რამზე  
ვილაპარაკოთ“. - გააწყვეტინა ბალერინამ.  
რესტორანში მძლოლის შეკვეთითი მაგიდა  
მართლა დიდი დარბაზიდან თვალმოფარე-  
ბული, მაგრამ ზედ ორკესტრის გვერდით  
მიჯრილი გამოდგა. ერთმანეთის ხმა არ  
ესმოდათ, ოფიციალურად ყვირილით შეუკე-  
თეს ვახშამი. ორკესტრანგებმა, ეგეობა, იცნეს  
და მთელი მონდომებით ჯაჯაკუგობდნენ.  
ჩეკისგს ხასიათი გამოუკეთდა. ყველასაგან  
დაფარულად თავს მუსიკოსად თვლიდა. ახ-  
ალგაბრლობაში, ბაქოში როცა სწავლობდა,  
ვალტორნაზე საშუალოდ და ჩელღზე საკმ-  
აოდ კარგად უკრავდა. ქართულ თეატრში,  
ქართულ სკულენგთა კონცერტზე ლაერენგი  
ბერია გავცნო, რაც მისი ბედ-იღბლის განმს-  
ამღვრელი გამოდგა. ცოგაოდენი ხანი ახლო  
ურთიერთობაც დაუწყარდათ არა იმიგომ,  
რომ ბერია მელღმანი გახლდათ, უბრალოდ,  
ჩეკისტი მამინ შეღლებულ სკულენგად ითე-  
ვლებოდა და მასთან ხშირად ე. წ. მშვიერი  
სკულენგობა იკრიბებოდა.

რეგოლუციის შემდეგ, ოცანი წღებში უმუ-  
შვერად დარჩენილმა უკვე თბიღისში ბერიას  
მიაკითხა, საშუაღომე მოწყობა სთხოვა.  
მანაც, არც აცივა, არც აცხელა და მეტეხის  
ყამარმების ე. წ. „მალაღეტკების“ - არასრულ-  
წღოვანების ცისხის უფროსად გაუშვა. მერე  
კი საბრინანობისა და ერთგუღების გამო  
თავისთან აპარაგში გაღმოიყვანა. სულ მალე  
იმ უწვიგურ და ჭკუაშუღღულად გარეღომში  
თვითონ გაიკაფა გზა მალაღ-მალაღ თანამ-

დებობებისაკენ. ასე რომ, რაღა დროს მუსიკა იყო. თუმცა „ლაბუხეს“, როგორც სასიყვარულო ჯარგონით მუსიკოსებს ეძახდნენ, ნათესავად მიიჩნევა გუნებაში. ახლა, ცხადია, ამის გამქაფავება წარმოუდგენელი სისულელე იქნებოდა. ჯერ ერთი - ამას სერიოზულად არავინ აღიქვამდა, მეორეც - მისი მამასისხლად მოპოვებული მუშურ-გლეხური და ჭირდათმენილი მკაცრი რევოლუციონერის სახე დაფოლადიკობდა. და მაინც, სიურპრიმის ცხოველი სურვილი შემონახული ჰქონდა: ერთ მშვენერ დღეს ხალხმრავალი აუდიტორიისა და გაცილებული ბალერინის წინაშე ჩელოზე დაუკრავდა. არ იყო გამორიცხული, ამ მშვენიერ დღედ ეს საღამო აღმოჩნდიყო. ბალერინა მოსვენრად აგრიალებდა თავს, მკლავი ისე ხანდომიანად შემოედო ნიკაქვეშ, რომ ჩეკისგმა ვერ მოითმინა, გადაიწია და ყურში ვითომც რაღაც ჩასწერულა, თუმცაღა ორკესტრის ხმაურის გადასაფარად კარგა გვარიანი ყვირილი მოუხდა: - „გიყურებ და მახსენდება, როგორ გამოყავხარ შენს პარტნიორს სცენაზე - გაჭიმულ ხელებში ატაკებული. შენი ნაზად გადახმეტილი ბიუსკი, მინაფლებული სიცილის გამომხატველი უმწეოდ გადავლებული ყელი, გრაციოზულად გამლილი მკლავები, მოგეხილ ფრთასავით მითრთოლვარე ცალი ფეხი - ფრენაში ტყევის მოთეული ველს ჰგავხარ. ამ დროს შენს პარტნიორს უნდა მოჰქონდე სათითად, როგორც უპერფასესი განძი, ეს უნდა იყოს დემონსტრაცია, პროტესტი დაღუპული სილაგამის აგმო, ის კი ერთი სიტყვით... მართლაც „ნასილმიკ“... უძიმოდ ჩაიქნა ხელი ჩეკისგმა. ბალერინამ მოწყენილად გაუღიმა - „წავიღეთ აქედან, გამოსკდა თავი“ - მიანიშნა მუსიკოსებზე. - „მოიცა, მოგვიგანონ რამე, ასე ხომ არ გაეიქევი“ - „საჭმლის გულისათვის ამათ მძევლებად დაგერჩეო“ - ჩეკისგმა ოფიციალგი იხმო, ანგარიში გაუწვროს. ბალერინა კი უკვე ბადის მოაგროვან ელოდებოდა. ქვემოთ, განათებული ქალაქი ვარსკვლავებით მოჭედდოდა ცასთან გაერთიანებულიყო. ბალერინამ ამოიხორცა: - „სიამოვნებით გადავემეგობრე და ვიფრენდი ამ გაშლილ ცაში“ - გაწბილებულ და სადრეგლამილი ჩეკისგმა ხმას არ იტბა. ქალაქში დაბრუნებისას ბალერინამ დღეგაღამეზე ჩამოაგდო სიტყვა, სთხოვა, იქნებ მოყვარულთა კლუბში გაეშვა

სასწავლებლად. - „სისულელებს ნუ იგონებ!“ - „რა ბედნიერებას გრძობენ, ალბათ, მიწას როცა წყლებთან“ - „ისინი თვითმკვლელები არიან“ - დაასკვნა ჩეკისგმა. ბალერინამ ისევ მოიწყინა. - „მანქანა არ გაუშვა“, - უთხრა გამოსვლისას. - „რაშია საქმე?“ - „იქნებ არ დარჩე დღეს, წახვიდე სახლში“. - ბალერინამ ჩი მოამზადა, თბილისური სოფში - კარგოფილი ხორცით გააცხელა. დღემა ჩეკისგმა ცოგა არაყი მოითხოვა, - „ამას ჰქვია რესტორნიდან მოსული ხალხი“, - ჩაიციან ჩეკისგმა, მერე უცებ დახვერვის ამბავს დაუბრუნდა: „ამას კაცები ვერ უძლებენ, ვინდა თუ არა, აიჩემე“ - ბალერინა არ პასუხობდა. - „ეს კიდეც არაფერი, შენ უწინ უნდა გენახა, საკომუნდანგოში კონდახებით აბრუებდნენ, მანქანის ძარბეში ყრიდნენ და ქალაქგარეთ გაჰყავდათ. ახლა მაინც პროკურორი, ექიმი ვსწრებიან, აი, ის მსუქანი-მედაზხედევი პროკურორია, ძაღიან პატიოსანი კაცია, პროტექცია, ძღვენი, ქრთამი და ასეთი რაღაცები გამორიცხულია. დახვერვის პროცესს როცა ვსწრება - ერთი თვის ჯამაგირის შესამეღს აძლევენ პრემიადაურს. შეღოს ფულს ვუგროვებ, მაჯის საათი უნდა ვუვილი, წელს სკოლას ამთავრებს ფრიალებშეო, მითხრა ამასწინათ“. - „ის მეორე თთახი რა არის?“ - იკითხა ბალერინამ. - „იქაც პაგარა დერეფანი, მერე იქით სათავგო, ჯალათთა თავის საქმე იცის, კეფაში ტრახ! და მორჩა. მერე ექიმი ადასტურებს სიკვდილს, აქტს შეადგენენ, ხელს მოაწერენ. უწინ ხად იყო ამის შესაძლებლობა, „პაჩკობით“ ხერგდნენ“.

დღემა ჩეკისგმა არაყი გადაჰკრა, პურს დასუხა, გაიციან: „შეგვინდა?“ - „უცებ მისი უსაშუელობა განდომევა, უღაჯობა, უსუსურობა, დრმა სასოწარკვეთა, ის, რომ არაფერი და არავინ არსებობს ქვეყანაზე, რომ უშველოს - დმერთიც კი“. - „დირსი არიან, საჩვეელა ბალახი მოსასპობია“. - „ნუთუ ყველა ასეთი დამნაშავეა, რომ აუცილებლად დაიხერიგოს?“ - „ამხელა საქმე კეთდება, მთელი კაცობრიობის ბედ-დბალღევა საუბარი, ვიდაცა აქეთ, ვიდაცა იქით - რა მნიშვნელობა აქვს. ხომ გავიგია, სგალინმა რა თქვა: - ტყე იქნება“ - ნაუგობი ცვიფა. - „არ ვიცი, არ ვიცი, ვერაფერი გამეგია, ალბათ, გამართლება იმით თუ შეიძლება, რომ ერთ დღეს ჩვენც მოვკვდებით“. - ჩეკისგმა გაი-



ღიმა, დალია არაყი, პური აღარ დაყნოსა. სოუბი ბარაქიანად გადმოიღო, ერთი ლუკმა ჩაიღო, იქვე წამოღვა: - „წავალ, მოფერს გაუშვებ“ - თქვა და ისე, რომ ბალერინას თანხმობას არ დაულოდა, გარეთ გვიდა. დაბრუნებულს ბალერინა ისევ იმ პოზაში დახვდა. კვლავ დალია არაყი: - „კარგი ერთი, სისულელებზე ნუ ფიქრობ, ჩემი ბრალია, აგყვივ“. ჩეისისგ სასმელი მოეკიდა, ცდილობდა, გაეხალისებინა ბალერინა, მაგრამ გულდამძიმებულს მისი ხუმრობები უკბილოდ ეჩვენებოდა. ოღნავ გამოცოცხლდა, როცა ჩეისისგმა სპექტაკლზე ჩამოავლო სიტყვა. - „იმ შენს მავესტროზე ამბობენ, რადაცას ღვაძს, ვერაკაყი გაივებს, რა არისო, თინაც ანტისაბჭოთა ანეკდოტებს ჰყვებო“. - „რა ანტისაბჭოთა, ვინ თქვა ეგ ჭორი?“ - „ჩვენ ხომ ყველაფერი ვიცით, მე ისიც ვიცი, რა მაგრად გიცეკვია რეპეტიციაზე. ისე, მაინც გააფრთხილე ეგ შენი მავესტრო, ცოცა ენას კბილი დააჭიროს, მაგას ჰეფე ნიულოზმა შეებულებაში ხომ არ ჰგონია წასული?“ ბალერინას მაგა პარიზე მავესტროს მონახობრე გაახსენდა. ზოუნდა, დაწვრილებით მოეყოლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩეისისგაც სცოდნია ეს ისტორია. მაინც გაიმეორა: - „თვალები თურმე არ ახვევინა, ის შეეგება სიკვდილს“; - „იმასაც ამბობენ, დახერგის შესასრულებლად გამწკრივებულ გვარდიელებს ჰაეროვანი კონცა გაუგზავნაო, თუმცა ვფიქრობ, ეს ხალხის მიერ შექმნილი ლეგენდაა“; - დახმინა ჩეისისგმა. - „არაფერიც! ეს სრული ჭეშმარიტებაა!“ - ჯიუტად შეუტია ბალერინამ. ჩეისისტი სულაც არ იყო საკამათოდ განწყობილი, პირიქით, ცდილობდა მიღებული მძიმე შთაბეჭდილებიდან გამოეყვანა, დარჩენაჲ იმიტომ გადაწყვიტა: - „ჰო, ისიც ხომ მოცეკვავე იყო, ასეთი მაგრები ხართ“. - „ღიხაც, მამ, იმას კაცი ერქვა, ძროხასავით რომ გაათრიეს“. ჩეისისგმა, კიდევ რავე საბაბი რომ არ მიეცა, განუშვება არჩია. და მაინც ლოცვინა არაფერი შეღვა: ბალერინა მარცხენა გვერდზე იწვა სიბნეულში გაღებული თვალებით, ჩეისისტი კი - მარჯვნივ, მუდამირულ ძილში სუსტად ფშვინავდა. დილით ჩეისისტი აღრე წავიდა. ბალერინას ოპერაში საგარჯიმოდ ელოდებოდნენ. გამოსვნივებულს ემბარჯიოდა ავტომო, თავს ძალა დაატანა, აბაზანა მიიღო, ფორმაში რომ ეგვრნოთ თავი. ჰოლში ბრას ნათურა

გადაწვოდა, დიდ სარკეში ხეირიანად ვერ გაარჩია თავი, გამოსახულება გორგმანებდა, ანაზღად, ვინდაც ფანჯარაში შემოეჭყლიტოს, სარკეში მუშლავურისქედანი ბავშვი დაღაზნდა, სასწარაფოდ საერთო სინათლე აანთო, აბაზანის კარი ღია დაჩვენოდა, სარკის ნაწილი დაორთქლილი გამოდგა. მოეჩვენა, ალბათ, შეყვულად ის შემაწახუბელი სიმშარი, რომელიც ამასწინათ ვერ გაიხსენა, თავისთავად ამოცივტივდა: „ღეიდა, ეგ ტანკი არ გადაავლო, არ არის გაფუჭებული, ელემენტი აკლია“... პირკატა ეტგერათ თითქოს, ეს ხომ სიმშრიდან „მატროსკიანი“ პაგარა ბიჭუნა იყო. დიდი ოთახის კარს ჰკრა ფეხი, ყურთაზე გაბლო. იქვე სინათლები აანთო, თუქცა ოთახში მშე კარგა ხანია შემოსულიყო; სარკეს დაუბრუნდა, მაგრამ არავინ და არაფერი დახვდა თეთრხალათიანი, შემინებული თვალებით საკუთარი გამოსახულების გარდა. მთელ ბინაში აგეჯი გამოცევალეს, როგორც დაბარა, სარკე, როიალი და საათი დატოვეს მხოლოდ და ახლად შეამჩნია, რომ ჰოლში გუმბოღ დარჩენილი. მივარდა, გამოაღო და შიგ სთაიამაშო დატგერული ტანკი ეგლო. კონვულსიურად აიღო ხელში, მიჭყლელო გვერდს ხალბავი გადასცლოდა. ელემენტიც მონათავსებელი ადგილი სადაც აქ უნდა ყოფილიყო, ის მართლაც ცარიელი აღმოჩნდა; პირველი, რაც თავში მოუვიდა, ჩეისისტი გელეფონით დაუკავშირდა და ყვირილით იხივდა: - „ჰოლში გუმბოღ დატოვებით იმ შენს იდიოტებს“. - „რა გუმბო?“ - ვერ მისვდა ჩეისისტი. „როგორ რა, ხომ გთხოვე, ყველაფერი გაიტანეთ-მეთქი, გუმბო რატომ დატოვეს?“ - „რა მოხდა, მე კარგო აბამიანო, დარჩათ, ეგყობა; შენც აიღე და გარეთ გაიწლო“. „ამ ხალხის პატრონები მუშლავურები იყვნენ?“ - „სამხედროები, მაგრამ არა მუშლავურები“. - „ბავშვი სად არის მათი?“ - „არ ვიცი“. - „მატროსკა ესურა?“ - „უცნაურ რამეს შეკითხები, მე ისინი თვალითაც არ მინახავა“.

ყურშილი დაკიდა, სწრაფად ჩაიწვა, ქუჩაში გამოვიდა, პირველივე ჯიხურში ბაგარები იკითხა, იქვე ელექტრომალამია მასწავლეს. დაკეცილი აღმოჩნდა, კარგე ბარაკიდა: „მსევენება 1-2 სთ.“ თითქმის ერთი საათი მოუწევდა ცდა. გვერდით, პურის მალამაში ურჩიეს, უნივერსალისტის მიეკითხა, იქ იყილება ბაგარები და მსევენებაც 3-4

სათამაშლო. გაახსენდა, რომ არც იცის, რომელი ბაკარუა ესაჭიროება, ვერც მორგებას შესძლებს, ამიგომ სჯობდა, სათამაშო წამოიღო, თვით გამოცდილი გასინჯავდა ადგილზე, სახლო დაბრუნდა, სათამაშო ილიაში ამოიხარა და უნივერსიტეტისკენ გაქანდა. ელექტროგანყოფილებაში ახალგაზრდა ქალმა შეხება სათამაშოს, ბრგველი ელემენტი მოიტანა და ბალერინას თხოვნით სათამაშოს გაუკეთა, ტანკის წინა ნათურები აინთენ, ბალერინასაც სახეზე წამოახსურა, გამოსტაცა და წასვლა დააპირა; - „ადგილზე, აქ, ჩვენთან იხდიან“ - მრდილობიანად შეახსენა გამყიდველმა. - „ბოდიში, ბოდიში, დამაფიწყდა“ - თქვა ბალერინამ, რაღაც ფული დაგოვა დახლმზე, გარეთ გამოვარდა. ხელში სათამაშო ისე ეკავა, თითქოს, ეს-ესაა, უნდა აფეთქებულიყო, მერე ჯისურში გაბეთები იყიდა და შიგ გაახვია. ტაქსი აიფანა, სახლში შეიარა, მანქანა ელოდებოდა, კიბე აირბინა; კარს ვერ აკვდა - სათამაშო უშლიდა ხელს. ძირს დადო, კარი გააღო თუ არა, სათამაშო ბინაში შეაგდო; თვითონ კიბეზე დაეშვა, ოპერისკენ მოაგრიალებინა მანქანა. სამორიგეოდან ჩეკისგ ტელეფონით დაურეკა. - „დღეს სადამოსთვის ოპერაში დაგვოდები, გამოიპირა, ერთად წაივლით სახლში“. - „მე შეიძლება შემაგვიანდეს, ასე რომ, ჯობს, უჩემოდ წახვიდე და მეც, როგორც კი გაეთავისუფლები, მოვალ“. - „არა, არა, უშენოდ მე არ წავალ, აქ დაგვოდები!“ - უთხრა და დაუკავდა ყურმილი.

რეჟისორი და თეატრის პარტკომი ცეკას იდეოლოგიურ განყოფილებაში დაიბარეს. განყოფილების გამგის კახინგში მძიმე საუბარი შედგა. წაუკითხეს საკუთმრო ცეკას მდივნის საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც ქვეყანაში ანგისახლური, ანგისახლოთა, დასავლეთის გამრყენელი გავლენის გამოვლენას შეეხებოდა. ცენგრაფურ ქალაქებში, მოსკოვსა და ლენინგრადში, უკვე მხლდებული რიგი მწერლებისა, კომპოზიტორებისა და თეატრალური მუშაკებისა, რომელნიც თავისი ანგისახლური საქმიანობით ძირს უთხრიდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას, უგულვებლყოფდნენ პარტიის კულტურული პოლიტიკის ფუძემდებლურ მეთოდს სოციალისტური რეალიზმისა და, კერძოდ, თეატრში ფორმალისმის დამკვიდრებას ცდილობდნენ. ეს ძველი კონგრეგაციული იდეო-

ლოგიური დივერსიაა, ჯერ კიდევ ლენინის მიერ განქიქებული პროლეტკულტის რეციდივი. მხადლება ცეკას დადგენილება და მის შუქზე საქართველოშიც აუცილებელია გამოუმუერდეს ხელოვნების მოგიერთი ცნობილი მუშაკის მავნებლური საქმიანობა. საქართველოს ცეკას ბუროში გადაწყდა, მთელი სერიოზულობით მოეკიდოს ხელი საქართველოში ანგისახლური, ნაციონალისტური და კოსმოპოლისტური რეციდივისის აღმოფხვრას. ასეთ ერთ-ერთ კერად მიჩნეულია მათი თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი კამიგალისტური წყობილების გაღმონანთის წარმოადგენს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა პუშკერმა საბჭოთა ხელისუფლებამ და პარტიამ საკმარისი ყურადღება და დრო დაუთმო ძველი დეკადენტური და უიდეო პლაგფორმიდან მის მობრუნებას, იგი დღესაც ანგისახლური საქმიანობით არის დაკავებული, ცდილობს, დასავლეთის გამრყენელი გავლენა ახალგაზრდობას თავს მოახვიოს. საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობა არამც და არამც არ დაუშვებენ ამ ძირგამოთხრულ პროცესების განვითარებას. მხილებული უნდა იქნეს ეს ჯგუფი; საჭიროა, ანგისახლური ელემენტების წინააღმდეგ გაჩაღდეს მძლავრი კამპანია, უპირატესი ყოვლისა, ეს მათი თეატრიდან უნდა დაიწყოს. პარტიამ იცის, რომ თეატრში მოიძებნება ჯანსაღი ძალები, რომლებიც აღუდგებიან უიდეობის, კოსმოპოლიტიზმის და დეკადენტური გენდენციების გავლენებს. - „თქვენ, როგორც კომუნისტებს და თეატრის ხელმძღვანელობას, გვეალბათ, წამოიწყით ეს კამპანია და აზხილოთ დამნაშავეები“. - ასეთი მოწოდებით დაამთავრა თავისი ურეტელი საბრძოლვეო სიტყვა განყოფილების გამგეც. შემდეგ ინსტრუქტორი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩუხად იჯდა, კონკრეტული ღონისძიებების ჩაგარებაზე შეუთანხმდა პარტკომს. ვადაწყვიტეს, ამ დღებში მოეწვიათ გაფართოებულ პარტიული კრება მოემშადლებინათ გამოძსელები და გამოეშკარავედნინათ თეატრში განვითარებული მანკიერი პროცესები. კერძოდ, სამხატვრო ხელმძღვანელის - მავსტროს მიერ დაჯგუფების შექმნისა და კლერვიკალურ-რელიგიურ ჭაობში ახალგაზრდების ჩათრევის ფაქტები გამოეგანათ საჯარო განხილვაზე. - „ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენ



დიდი ავტორიტეტი მოიპოვეთ ამ ბოლო ხანს თეატრში“ - მიუბრუნდა იგი რეჟისორს, - და, როგორც კომუნისტი, პარტიულ კომიტეტთან ერთად დირსეულად ჩაატარებთ ამ კამპანიას“. - „საერთოდ, დროს უკვე, თეატრის ხელმძღვანელობაში მოვიდეს ახვამრლობა“, - დაასკვნა განყოფილების გამგემ. - „აბა, თქვენ იცით, აზხანავებო: ცეკას დაღვნილების შუქზე...“ - აღარ აცალა ამრის გამოთქმა შეფიქრიანებულ რეჟისორს, წამოღდა, ხელი ჩამოართვა და ამით აუღიფიცია დამთავრებულად ჩათვალა. შეხვედრით და ახალი უფლებამოსილებით გაგულისებული პარტკომი გზაში ენერგიულად უმბარებდა ასეთი დირსეულობაში მოვლენის შესახებ თავის შიშბეჭდილებას, თვითიშაყოფილებით იხსენებდა თავის პოლიტიკურ აზლის და არც იმას იფიქვებდა, რომ მან თავის დროზე გააფრთხილა რეჟისორი იმ უსისკავისობის გამო, რომელსაც ჩადიოდა ეს ჭკუიდან გადასული ბერიკაცი. რეჟისორმა თეატრში დაბრუნება არ ისურვა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და დაუმშვიდობებლად გაშორდა პარტკომს. დათრგუნვილი ბრუნდებოდა სასტუმროში. მოხდა ის, რისი შიშიცა ჰქონდა, მაგრამ ასეთ სერიოზულ დარცმას არ მოელოდა, მაესტროს ავტორიტეტის იმდენი იმასაც ფიქრობდა, რომ რაღაც კომპრომისული ვარიანტით აიცილებდნენ თავიდან ყოველგვარ უსიამოვნებას. ხოლო ეცეობა ახლა აღარ დააეციონ და აქ თვით მაესტროში ან სექტაკალში კი არ იქნება საქმე. ეს ფართომასშტაბიანი პოლიტიკა, საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი კამპანიური ეტაპი და, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით მაესტროს ყველაზე კარგი ობიექტი აღმოჩნდა: სახელოვანი, უპარტიო, სხვებთან შედარებით დამოუკიდებლობით მოქმედი. ისე, კაცმა რომ თქვას, რად უნდოდა ეს რაღაც ბაბლიური თემა - ეს ხომ გამოწვევას ნიშნავს, თანაც ისეთ დროს, როცა არც თეატრშია დალაგებულად საქმე. შედიმედ სექტაკალში დაუკავებულმა მსახიობებმა დაჯგუფებები შექმნეს. ყველაფერში მაესტროს ადანაშაულებდნენ. ჭორებით, ბეზლობით სურთ, მოცილონ მაესტრო და ისეთი კაცი მოიყვანონ ხელმძღვანელობაში, რომელიც, იმედი აქვით, როლებს დაურიგებს, ვერც ერთ მსახიობს ხომ ვერ დაარწმუნებ, რომ სხვაზე ნაკლებია. განსაკუთრებით განაწყნებულვითა ქალები,

ჯერ იმის გამო, რომ პეროლიადა გამონდა თეატრში და იქვე მთავარი როლი მიიღო. მეორეც - ბალერინას მოწვევაზე სულ ვალდირივნენ, რა საქმე აქვს ოპერის მსახიობს - მოცეკვავეს დრამატულ თეატრში. სტატისტიკისთვის მთავარი როლის მიცემა ხომ ყველას პირზე ეკურა. ჯერ კაცს ეპიზოდური როლი არ უთამაშია, სცენაზე ხმა არ გაგვივია მისი, საერთოდ ყრუ-მუნჯი გვევინა, არავითარი თეატრალური განათლება არ გააჩნია და თავზე უნდა დაგვიფიფსო. ასეთ დროს თეატრში საჭირო იყო ისეთი პიესის დაღვმა, რომელიც მეტ-ნაკლებად ამ პრობლემებს მოხსნიდა და არა, პირიქით, კიდეთ ერთ უძლიერეს მეტრს გაგვიჩენდა ხელისუფლების სახით. ცეკას იმ გამჭვირვალე წინადადებათ, რომ მან პარტკომთან ერთად უნდა ითავოს ამ კამპანიის ჩატარება და შერე თეატრის ხელმძღვანელი გახდება, შეურაცხყოფილი დატოვა. მართალია, დიდი ხანია ემზადება ამისთვის, მაგრამ ეს თავისთავად უნდა მოხდარყოფილი და არა ასეთი საჩოთირო ვებით. ისე კი დირსია, ჯიუცი და თავდაჯერებული ვინმეა. კი, ბატონო, სახელუფანი რეჟისორია, მაგრამ ხომ არ შეიძლება, არავის არ დაუჯერო ან ეს რაღაც არც პიესა, არც ლიტერატურული ნაწარმოები არა უნდოდა, ვის რაშია აინტერესებს დღეს იოანე ნათლისმცემელი; რაღაც პაროდი რომ გაეკეთებინა, კიდევ მოითმენდა კაცი. ასე ფიქრობდა რეჟისორი, თუმცა ვადაწვევები ჯერ არ ჰქონდა, რა პოზიცია დაეკავებინა. მდებრე აქტივობა უერხული იქნებოდა, სულ გაჩუმებას კი არავეს არც დაბეჭდის და არც აპატიებს. იგივე პარტკომი საჯაროდ გაკიცხავს და ჩაივლებს ხელში ხელმძღვანელობას. მაშინ ხომ დაიღუპება თეატრი! პაპულგის თამაში და დაგეგმა უნდა; ერთხელ მაესტრო შეეკითხა, სიკვდილზე თუ გიფიქრიაო, შეურაცხყოფად მიიღო. ასეთ სისულელეებზე არ ვფიქრობო. - შე ყურმუნალი, პაპულგის დაღვმა გხურს და სიკვდილზე არ გიფიქრიაო. ერთი სიტყვით, არავითარი დიპლომატიის ნიჭი არ გააჩნია ამ კაცს. გასაკვირია, საერთოდ როგორ მიადწია თეატრალურ სამყაროში, ამ გაუვალ ჯუნგლებში, ასეთ სიმაღლეს ასეთმა მოურიდებელმა კაცმა.

პეროლიადა იმ ამბავი საქმიანად მიიღო: „ვერაფერს ესეღავ ამაში არანორმალურს,

აღარ იქნება სამხატვრო ხელმძღვანელი, რა მოხდა, მართლაც ამბობენ - თანამედროვე ცხოვრება სულ სხვა მოთხოვნებს აყენებს. შენ მაინც თავიდანვე მიაჩნდი მეპევიდრედ, ახლა ეს პროცესი დაჩქარდება, რა არის ამაში ცუდი". - „ი, მაგრამ, თეატრში რომც დაგმოვ, თვითონ არ ვაჩქარებ“, - თავის თავს თუ პეროლიადას შეეწინააღმდეგა სუსტად. - „ეგ მისი საქმეა“, - თქვა დაუნდობლად პეროლიადამ. რეისორს მოუნდა, ეთქვა, რომ არავინ იცის, იქნებ უარესი რამე მოხდება სულ მალე, მაგრამ გადაიფიქრა და ამ თემაზე საუბარი შეწყვიტა. თეატრში მაესტროს გარდა, ყველამ ყველაფერი იცოდა და დიდი მითქმა-მოთქმა მიდიოდა. გამოითქმებოდა სხვადასხვა პროგნოზები. ამბობდნენ, რომ პარტკომი ვახდებოდა თეატრის ხელმძღვანელი, შოგი სამხატვრო ხელმძღვანელის ახალ რანგში რეისორის მოვლინებას წინასწარმეტყველებდა. ლოგიკური დაბეჯითებით ავრცელებდა მძახს, ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოჰყავთ მოსკოვიდანო, იმასაც ამბობდნენ, რა მოხდება, თუ დაგვშალეს და სხვადასხვა თეატრებში გადაგვანაწილესო. აბა, რა იქნებოდა, ჩურჩულებდნენ ერთნი, ვაჟავსეს თეატრი დილენანტებითა და უნიჭოებით; ბიჭს, რომელმაც ხალიჩების შემოკანა-გაგანის მეტეა ჯერ არაფერი იცის, ჭკუა აურიეს. ქალები მოჰყავთ, როცა ჩვენი უნიჭოები მსახიობები წლობით დაუსაქმებელი ჰყავთო. ბოლოს ის ხმაც დაიწყო, რომ ბალერინა და მისი საყვარელი დიდი ჩეიკისი დააპატიმრესო. პარტკომმა დახურული პარტიული სხდომა ჩააგარა, სადაც აქტივისტებს გააცნო ცეკას დავალება. და აახა კონკრეტული ღონისძიებები, გადაწყდა, მოეწყობა დიდი პარტიული კრება დასის მთელ შემადგენლობა-სთან. სხდომას, რასაკვირვებია, დაესწრებოდა ახანაგებიც ცეკადან და რაიკოვიდან. მოგადა მოხსენებით, ალბათ, გამოეცა ცეკას ინსტრუქტორი, კონკრეტულად კი ყველა პარტიულმა უნდა დაგმოს თეატრში იდეოლოგიური დივერსიის და ანგისაბჭოთა დაჯგუფებების შექმნის პრაქტიკა. სიკვით გამოძახებულები იქნებოდა რეისორი და წამყვანი მსახიობები, აგრეთვე, ყველა ის, ვისაც სხვადასხვა პრევენციები გააჩნდა ხელმძღვანელობის და, კერძოდ, მაესტროს მიმართ.

რეისორი ახლა უკვე რაიკომის მდივანმა დაიბარა. საუბარს, გარდა იდეოლოგიური

დარგის მდივანისა, ესწრებოდა ვიღაც უცნობი რომელსაც კრისხი არ დაუძრავს, მხოლოდ რაღაცას იწერდა პაატარა ბლოკნოტში: რაიკომის მდივანმა თითქმის სიგვეხისიკვით გაიბეჭრა ის, რაც ცეკას განყოფილებით გამგემ. რეისორიც, როგორც ცეკამ, ახლაც მღუმარედ იჯდა, თქმეცა რაიკომის მდივანის პირველი ფრაზებიდანვე გადაერთო მაესტროს მიერ ერთხელ მოყოლილ ამბავში. 1937 წელს დაწყებული რეპრესიები უკვე მთავრდებოდა; ხალხი დამაფრული, ფსიქოპათიურ შოკში იმყოფებოდა. ერთი დიდი ეგაპათილის სტალინიმა თავისი საქმე გააკეთა. ყოველგვარი განსხვავებული აზრი უნდა ამოძირკველიყო. ყოველ შემთხვევაში, იგი არ უნდა გამოთქმულიყო, რაც საბოლოოდ თავის თავში ჩაკედილას ნიშნავდა. ყველას უნდა სცილდოდა არა მხოლოდ ის, რა უნდა გაეკეთებინა, არამედ, როგორ უნდა გაეკეთებინა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ყველა პუბლიცისტურ დარგს, მათ შორის თეატრსაც. მხოლოდ სიცილიანსტურ რეალიზმს, როგორც მხატვრულ იდეურ მეთოდს და მხოლოდ სტანისლავსკის კლასიკურ-რეალისტურ სკოლას უნდა ჰქონოდა არსებობის უფლება. ეს არ იყო შემთხვევითი კომუნისტური დოგმატიზმი. ყოფითი რეალიზმი, რომელიც ცალმხრივად მიაწერეს სტანისლავსკის ე.წ. სისტემას, იმდროულად ამრთა და განწყობილებათა პროპაგანდის კონტროლის საშუალებას, როცა ფორმების სხვადასხვაობა, რაც ფორმალისტმა მონათლეს კომუნისტებმა, სხვადასხვა შინაარსის მქონე მოვლენაა, სიმბოლოებით ამროვნება არასასურველი განსჯის, წინააღმდეგობის პოტენციისა და მან-იმულირების საშუალებას ქმნის. ყველა გოგალივარული რეჟიმის დამახასიათებელი ფსიქოლოგია ცინიზმა - ხშირად უთქვამს მაესტროს: მეგროლი, არა მხოლოდ სამოვალდებურად; არამედ მხატვრული თვალსაზრისით, დიდი რევოლუციონერი იყო და სწორედ მას დაავალეს რევოლუციონერებმა, ის თეატრალური რევოლუცია, რომლის მამადაც ითვლებოდა, თვითონვე დაემგმო. მაესტრო დედალურად აღწერდა ამ ფაქტს.

მთელი დარბაზი შფოთიან სიჩუქეს მოეცა. ჩვენ მოწმენი უნდა გავმხდარიყავით აუტოლაფემე უფრო შავნული ბოროტებისა, მსოფლიო თეატრის ვარსკვლავს, გენიალურ რეისორს მეგრძოდლს საჯაროდ უნდა დაე-

გმო თავისი ხელოვნება. იგი ჩმუჭნით ავიდა ტრიბუნაზე და სახამიონ ფრაგებით მართლაც დაიწყო თავისი სიტყვა. შეგონა, რომ მიწა გამოსკდებოდა და შიგ ჩამტანდა. ხელები დაეყენა, შუბლზე ცემა ოფლმა დამასხა, პირი გამიშრა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მას შეეცდებოდა ვიღაც ეკა და იქიდან ყრუდ ისროდა სიტყვებს. არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გრძელდებოდა, კიდევ ცოცხალი იქნებოდა თუ იქიდან გამიცანდნენ, ალბათ. უკებ შეერპოლი, გინდაც სიმშრისგან გამოფხიზლდით და ჩემს მდგომარეობაში შევიდა, წელიმ გასწორდა, ფეხები გადაიყარა, მაღალი მტკიცე ხმით თავისი მოხსენების პირველ ნაწილს სისულელე უწოდა, ისიც თქვა, რომ, თუ ვინმეს ჰგონია მისი შემსენება შეიძლება, ძალიან ცდება. სიხარულით კიეინი მომხნდა, მაგრამ დარბაზში ათოსუნთქა და გონს მომიყვანა. მეორე დღეს შეერპოლი და მისი ოჯახი ამოხოცილი სახეს საკუთარ სახლში. რეისორი ახლა თვითონაც იმ დარბაზში იჯდა, რაიკომის მდივანი კი ისევ იმ ფრაგითა სისტემას აგრივლდა, რომლითაც შეერპოლს უნდა შეეჩვენებინა საკუთარი შემოქმედება და ცეკას განყოფილების უფროსის კაბინეტში მოისმინა. რაიკომის მდივანმაკ ხელი ჩამოართვა და გაფართოებულ კრებაზე დასწრებას დაჰპირდა. მაინც რა ჯიუტი კაცი, ყველაფერი იცის, თავისი თვალთი უნახავს, თავის შურგზე ვადაუკანია - მაინც ჰკუბ ვერ ისწავლა, თვითონ სულელი იყოს, ჩვენ რაღა დავაშავეთ, რამდენჯერ ვუთხარი, დელიკატურად გაფაურთხილე, თავის თავს დააბრალოს, ბოლოს და ბოლოს, მაგის გულისთვის. ხომ ვერ დავუშავეთ თეატრს.

დიდი ჩეიისგის დაჰაგმირების შესახებ გავრცელებული ხმა, როგორც ჩანდა, მართალი უნდა ყოფილიყო. ბალერინამ თეატრში დარეკა და დაიბარა, რომ ვადაუდებელი საქმის გამო რეპეტიციას ვერ დაესწრებოდა. რეპეტიციამ არც შეუძლიადა წამოჰყვა რეჟისორს. - „თქვი, შეუძლოდ არის თქო“. თავისთვის გადაწყვეტა, დინებას მიჰყოლოდა, ამოუკიდებლად ერთი ნაბიჯიც არ გადაედგა, ანდა რა აზრი ჰქონდა, შეეცლიდა რამეს? მართალია ღია კრება დღეისათვის დადგინდა. საკვირველი ის ვახლავთ, რომ მანესტრო არავის გაუფრთხილებია. თეატრში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საკუთარ

განხილვას აპირებდნენ და სამხატვრო ხელმძღვანელმა არაფერი იცოდა. ასე ვადაუწყვიტა პარტკომში, რამე ექსიციების თავიდან ასაცილებლად პირდაპირ ფაქტის წინაშე დაეყენებინათ. მაგრამ ვანა თეატრში შეიძლება რამე დაიბალოს, ბევრმა იცოდა, რამი იყო საქმე. ელისაბედსაც ყური ჰქონდა მოკრული, ხოლო, თეატრში ყოველთვის ჰქონებოდა და მითქმა-მითქმას შეჩვეულს, არ მიაჩნდა აუცილებლად გუნება-განწყობა აქმდებოდა მანესტროსათვის. სტაგისგმა საერთოდ არაფერი იცოდა. მართალია, ამ ბოლო დღეებში სულ უფრო და უფრო მოურიდებლად დასცილდნენ და მანესტროსაც უპატივცემულოდ ისხვიებდნენ, მაგრამ სტაგისგმა ამას თავის უნებლიე აღმეგებას მიაწერდა და არა მანესტროს თავს დატრიალებულ სამიშროებას. ასე რომ, რეპეტიცია ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, მანესტრო კი გატაცებით კითხვობდა:

...რაიმ ვაღვიდა იოანე, ვერ მიმხვდარიყო. ორი დღის წინ მოწაფეებს შეახვედრეს, ბროწეულის ბაღში გაიყვანეს, ხელბორკილი შეუსხნეს და მერე აღარ დაუღვიათ. დღეს კი ახალგაზრდა მეთვალყურე ვეღური თაფლი მოუტანა, ვინდა თუ არა, იერუსალიმიდან გამოგვიგზავნეს, უნდა აიღო, ისე გულიანად ეხეწებოდა, აღარ ვაწმილა და გამოართვა, თვალები ღია ჰქონდა, მარადიულობაში ჩამირული - სიმუქეს უსმენდა. დარწმუნებულს, რომ ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც წერილშია მოცემული, სადაღე აზრად ისიც გაუეღებდა, ხომ არ მოხდება ისე - მისმა გყვეობამ რამე შეუფრხება გამოიწვიოს ან ქრისტესაქვე მოქცევა თავდაპირველად ისე მასობრივად არ გამოდგეს. აქ, რაღა თქმა უნდა, ხალხის გადარჩენაზე უწუბა. მერე თავის თავს უწყრებოდა, ეს მომიმეშებას ჰგავდა. სუსტია მაინც აღაშინანი, გრძობაშია სამყარო ვანუშეორებელი. იოშაფატის ბავშვივით გაბუგვა და მოწაფეების გრძინადები ახალისებდა, ერთგვარად უმისოდ წელიღში მოქცეულები ნაწყენები იყვნენ. მისი გყვეობაც უსამართლოდ მიმჩნდათ. ეცინებოდა, მაშ რა, სამართლიანად უნდა ჩავედით დღევგში?! დაეუშვათ, გაუშვათ პეროდებ, მერე რა ნუღა გააკეთოს, რაღა საქმე აქვს ამ ქვეყანაზე? და ვანა ქრისტემ არ იცის ეს ან იქნებ არ ძალუქს, წამში დაიხსნას იგი. მრავალჯერ გაფრთხილა საკუთარი თავი,

პეროლემე არ ეფიქრა, გარნა მისი დამოკიდებულების ცვალებადობა გაურკვეველი ჩანდა. თუ მას გადაწყვეტილი აქვს მისი მოკვლინება - ჯობს, მოხდეს რაც შეიძლება მაღლ. მას ხომ საიქიოსე დიდი მისია აქოსრია. თუმცა კონკრეტულად როგორ, რა ვითარებაში მოხდებოდა ეს, იმედოვნებდა, თვით უფალი ჩაავიწყებდა, ალბათ ყველაფერს, როცა საჭირო გახდებოდა. გალავნიდან გამყვივანი ხმა შემოესმა: „ყარაულო, ღამის რომელია, ყარაულო! ღამის რომელია?“ - „ღილა დგება და ღამეა მაინც“. - მეცხოვნების ფხიშლობის გადაძახილი იყო. მიწაზე გაგებული ფარაჯა გაისწორა, დედა ელისაბედი გაახსენდა, ნაზად გადაუსვა ხელი, წამოიწია. ირგვლივ საიბრკველზე ზურგით მიყუდებული, ხილაბანდებით თვალეწაკრული ფეხებგამოშლით წინასწარმეყველები ისხნენ. - „ღამეა, გარნა დილა დგება“, - ახარა მათ. სოფონიამ დაიწყო: უფალი შენი ღმერთი შენს წიადმისა“. - „ვერც წინა თაობებმა და ვერც ახალმა თაობამ ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა“, - ჩამოართვა სიტყვა ბარუქმა. - „მან ითოვა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს თავის მორჩილს და ისრაელს“. შემდეგ ესაიაბ იკითხა: - „ვის სიბოვა რჩევა, რომ განსწავლულიყო, ვინ აცოდინა მას სიბართლის გზა, ვინ აოცდინა სიბრძნე და გონების გზა ვინ ჩაავიწყა?“ - იყურა ყველამ. ისევ ესაიაბ ახმიანდა: - „რჯული სიონიდან გამოვიდა და უფლის სიტყვა იერუსალიმიდან-მეთქი, ვაია, ბრძანის თავიანთი თვალში და გონიერთ თავიანთი ჭკვიით“. - „თუნდაც მიუშვიროს ლოყა მის მცემელს, გაძღენ ვინებით“, - ჩაიყინა იერემიამ. - „ვისაც სიმშარი აქვს, იამბოს სიმშარივით, ვისაც ჩემი სიტყვა აქვს, რწმენით ოლაპარაკოს, რამეთუ არაფერს ვამბობ ჩემით“. - „მე თავად გადავარჩენ ჩემს ცხვარს და აღარ იქნება დატაცებული. მე ვიქნები მსაჯული ცხვარსა და ცხვარს შორის - იყო უფლის სიტყვა ჩემზე“, - თქვა ეშეკიელმა, - „და ააა, მოვიდა“.

- „ის დამწყესავს უფლის ძალით, უფლის თავის ღმერთის სახელის დიდებით და მობრუნდებიან, რადგან ამიერიდან იდიდებს ეს ქვეყანა კიდედღე“, - დაასკენა მქაამ.

გარედან მშარდებული ხმაური ვისცა. თვალის წინასწარმეყველებს შეავლო, უხემ რეალობაში მათი ჩართვა სულაც

არ სურდა, იქნებ წასულიყვნენ, ვიდრე დღე-ღამე ასე უდროოდ დროს ვინმე გამოჩნდებოდა. მხოლოდ ერთი წამოდგა, რომელიც აქამდე უსიკვლოდ იჯდა, ხილაბანდი მოიხსნა, ეს მამა მაქარია იყო: - „მე იქ დაგლოდებით“, - თქვა მან. - „მამა!“ - კინაღამ წამოსცდა იოანეს, წაიწია მისკენ. - „ჩვენ შენთანა ვართ, იოანე!“ - ჩაილაპარაკა მტკიცედ იერემიამ, - „უშენოდ აქედან ფეხს არ მოვიცივლით“. - თაფლუჭვით ტკბილმა და მათობებულა აღმურება დაუარა. უამრავი ოქროს ვარსკვლავი აცემივდა ირგვლივ, განათდა მზრწყინავი წყვედიადი. კარზე მიყუდებული ლოდი გადაგორდა. ჩირაღდნებით ხელში პეროლეს დატყის რამდენიმე მუომარს შუა ჩაფხუკიანი ჯალათი განოჩნდა. ბუკის ცემა, ჩანგისა და ქნარის, დაფისა და ებნის, სგვირისა და წინწილის არეული ჰანგები ისმოდა შორიდან. - „მოვიდა შენი აღსასრული, იოანე, გამოდი!“ - აძრახდა იგი. ფრთასავით ბოლოვანიერი მახვილი მოიმარჯვა: - „დიდება შენ, უფალი, რომ შეისმინე ჩემი გულისნადები“ - ორიოდ ნაბიჯი გადადგა კარისკენ იოანემ, მუხლებზე დაეშვა, ქელი მოიდრიკა, გულზე ხელები დაიკრიფა, კისერი წაივრძელა და თავი კიბის საფეხურზე დადო.

სარეჟეციოში დასის გამგე შემოვიდა და ყველა კრებაზე მიიწვია. - „რა კრებაა?“ - დაინტერესდა მავსტრო. - „ღია პარტიული კრებაა - დასწრება აუცილებელია“. - „მე პარტიული არა ვარ, ასე რომ, ჩემი დასწრება არ არის სავალდებულო, ჯერ ერთი, უნდა გავეფრთხილებინეთ და რეჟეციიას არ დავნიშნავდი“. - ეცეკას ინსუექტორი და რაიკომის მდივანი არიან მოსული“. - თქვა მოწივებით დასის გამგემ, - „მით უქებია“. დავიანდა მავსტრო, წამოდგა, დასთარი ელისაბედს გადააწოლა: - „თქვენ რომ უსიამოვნება არ შეგხვდეთ, წადით, შემდეგი რეჟეციის დღეს ხვალ გამოოვაცხადებ“. - თითქოს განგებ იქცევა ასე გამოშვევად, გაიფიქრა რეისორმა. მავსტრო თაგრადიან მიდიოდა და არ იცოდა, რომ აღმარასოდეს დაბრუნდებოდა არა მარტო თეატრში, არამედ - არსად.

კრებას პარტიკოში თავმჯდომარეობდა: - „ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად, რომლითაც, დარწმუნებული ვარ, ბო-

ლო წლის განმავლობაში ყველა თქვენგანი შეწყვეტილია. საქმე ეხება ჩვენს თეატრში მანკიერ, ანგისაბჭოთა დაჯგუფებასა და დასავლეთის მომწამელები უღიბობის პროპაგანდას, რომლის ორგანიზატორი, საბუედუროდ, ჩვენი მავსტრო გამოვდა. მისი დამოკიდებულება თეატრის ბელისადმი იმაში იყ ჩანს, რომ დემონსტრაციულად არ მოსურვავა დღეს კრებაზე დასწრება“. დარბაზში გამოცოცხლდა. სიტყვას გადავცემ ექვას წარმომაღვენელს, თქვა მან და ტაში დაუკრა. მეჩხერი აპოლოსმენგების შემდეგ სიჩუმი ჩამოვარდა. - „ამხანაგებო!“ - გადაშალა საქალაქე ექვას ინსპექტორმა და მოხსენების კითხვა დაიწყო: - „საბჭოთა ისტორიის მთელ პერიოდში ქართული თეატრი იყო ჩვენი საყვარელი პარტიის და ხელისუფლების იდეოლოგიის მთავარი რუპორი, ჩვენი მხატვრული ინტელიგენცია მონოპოლიურად დარბაზში ჩვენი პარტიის ირგვლივ. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში ასეთი ძვევანოსილი გამარჯვება მოიპოვა და ასეთი წარმატებები აქვს საბჭოთა ქვეყანას ყველა სფეროში, ჩვენი არაქვის მივცემთ უფლებას, სული აუმღერიის ჩვენს ახალგაზრდობას, აღზრდილს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებზე. მიუხედავად იმისა, რომ თეატრმა დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის კომუნისტური ხელისუფლების ჩამოყალიბებაში და არა ერთი მხატვრული გამარჯვება იმეიმა, მისი ბოლო წლების მოღვაწეობა საჭიროა განვიხილოთ საკაშირო ექვას დაღვენების შუქზე“. - ამ შესავალი სიტყვის შემდეგ ინსტრუქტორი საქმეზე გადავიდა და მავსტროს საქმიანობას შეეხო. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა ის, თუ რითი იყო ოციან წლებში დაკავებული მავსტრო, რომ იგი ლიბერალურისა და ხელოვნების მანკიერ ვადახრანში მონაწილეობდა და პროლეტკულტის აქტივისტი იყო, ისე კარგად იცის ხელმძღვანელობამ, თუ რა ანგისაბჭური ლომუნეთი - „ხელოვნება - ხელოვნებისათვის“ მოქმედება წლების განმავლობაში. „თანამედროვე ეგაპზე“ მავსტრო დააბანაშაულა ანგისაბჭოთა მოქმედებაში, ახალგაზრდობის გარყვნასა და საბჭოთა წყობილების ცილისწამებაში. ახალ დაღვაძეუ

ილაბარაკა, რომელიც - მისი თქმით - ახალგაზრდობის რელიგიის ჭაობში ჩაფლავასა და ანგისაბჭოთა პროპაგანდას ისახავდა მიზნად. შემდეგი გამოხსენების ძიებაში მცირედი შეფერხება გამოიწვია. თავმჯდომარემ რამდენჯერმე გაიძიო: - „ამხანაგებო, ვის სურს გამოთქვას აზრი?“ - და, რადგანაც მოხალისეები არ ჩანდნენ, პირდაპირ დაავადლებულა: „თხოვე ჩვენს მთავარ რეჟისორს“. - რეჟისორი გამოვიდა, ღრმად ამოისუნთქა თუ ამოიხსრა, დაბალი ხმით დაიწყო: - „ჩემთვის ცოტა ძნელია ლაბარაკი, ვასაგები მიმეშვების გამო, მაგრამ სიმართლეს ვერსად წახევა, თეატრში, როგორც ყოველ შემოქმედების კოლექტივში, აუცილებელია თანამოაზრეთა ყოფნა, სამწუხაროდ, ბოლო წლის განმავლობაში თეატრში ვერ მოხერხდა თანამოაზრეთა ჩამოყალიბება“. - „ანგისაბჭოთა თანამოაზრეთა ჯგუფი ძალიან კარგად ჩამოყალიბდა“, - ისროლა რეჟისორი პარტიკომმა. - „ახლა მე ამას ვერ დავამტკიცებ, რომ მან ანგისაბჭოთა ჯგუფი ჩამოყალიბდა“. - „მამ, ის პიესა, რომელსაც ამჟამად გარკვეულ ჯგუფთან და, სხვათა შორის, თქვენც ამ ჯგუფის წევრი იყავით, კომუნისტური იდეოლოგიას ემსახურებოდა? ან სოციალისტური რეალიზმის მეთოდს იყენებდა?“ - იკითხა მწყრალად რაიკომის მდივანმა. - „არა, მე მაგას არ ვამბობ, მე, უბრალოდ, ვიღრე არ დამოაზრდებოდა მუშაობა, ასე ხელაღებით არ მსურდა დამეხასიათებინა შექმნილი ვითარება“. - „პარტია ხელაღებით არასოდეს არაფერს აკეთებს, სათანადო მასალაც გამოვევიგავეთ კომპეტენტურმა ორგანოებმა იმის შესახებ, თუ რა ანგისაბჭოთა მავალითები და ანეკლოები გამოიყენებოდა რეპეტიციებზე“, - გაწიწმავდა „ექვას“ ინსტრუქტორი - „არა, მე სხვა რამეს ვამბობ“, - დიბნა რეჟისორი. - „ის რასაკვირველია, დამირისპირებული აღმოჩნდა კოლექტივთან. მე თუ არ ვიციცი, ამას სხვები მაინც იციციან. მისი საქმეები დასაგმობია, რასაკვირველია, ის ჩვენ თანამოაზრედ არ შეიძლება იყოს...“ უკანა რიგებიდან ვიღაცამ რაღაც წამოიძახა და აცდა ხმაური. ეს სტაგისტი იყო, რომელიც ჩაჩუმეს და სასწრაფოდ გაიყვანეს. ცუდად შეიქმნა ასევე ელისაბედი და ისიც გაიყვანეს. ტრბუნანზე დასის გამეგ გაჟიეროდა: - „მე მძიმე წლები იმიტომ კი არ გავიარე ომში, იმიტომ კი

არ დავიჭერი ორჯერ, რომ ახლა აქ თვალი დაგზუტო ჩვენი საბჭოთა ქვეყნის, დიდი პარტიის საწინააღმდეგო, ძირგამომთხრელ მუშაობაზე. აქ, როცა ამდენი ნიჭიერი მსახიობია ჩვენს თეატრში, რაში გვეჩრდება ვიღაცების მოწვევა. მე ორი წელია არავითარი როლი არ მითამაშია, რატომ? იმიტომ, რომ იციან, მე წინააღმდეგობა ყოველგვარ დიურ გადახრებს, მე ფრონტზე ვაგხდი კომუნისტი, სისხლით დავიცავი მშობლიური ქვეყანა. - უნებ თითქმის ყველა მთხოვრვა სიგვეით გამოსვლა. გინდაე ჯინაზე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. სიგვეა თეატრის ღომზე აილო: - „მე, როგორც კი შევნიშნე, რაღაც არაჯანსაღი სუნი ამ შეკრებებს, - მე ამას რეპეტიციებს ვერ დაფარქმევ, ვინაიდან არავითარი პიესა არ არსებობდა, რაღაც რევიგიის გაკვეთილები და ლექციები - იმ დღიდანვე ვცდილობდი, ავირდიებოდი ამ შავ საქმეს...“ სიგვეში ქალები გამოვიდნენ, უმთავრესად ილაპარაკეს თეატრში არაჯანსაღ ატმოსფეროზე, იმაზე, რომ მათ როლებს არ აძლევდნენ და დაეგუფებებია შექმნილი. შემაჯამებელი სიგვეა რაიკომის მდივანმა წარმოთქვა და საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეუქმნეს შესთავაზა კრებას თეატრში შექმნილი მდგომარეობა არაჯანსაღად, კომუნისტური იდეოლოგიის დივერსიის ფაქტად მიეჩნიათ. მავსტროს მიერ ჩამოყალიბებული ანგისალხური, ანგისაბჭოთა და ანტიმუქმელებითი ჯგუფი მონათლა შავრამბელებად, რელიგიური და კლერიკალური იდეების გამავრცელებლად და კრებას მოუწოდა, მიეღო გადაწყვეტილება შემდგომ ორგანოებში შეეცანათ შუამდგომლობა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გადაყენების შესახებ. ასეც მოხდა. შედგა კრების ოქმი, სადაც გრაფაში - „მოისმინეს“ ჩამოთვლილი იყვნენ გამომსვლელები მათი სიგვეების მოკლე ანოტაციებით, გრაფაში კი - „დაადგინეს“, შეიტანეს მავსტროს თანამდებობიდან განთავისუფლების მოთხოვნა.

მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ მავსტრომ პარტიულ ქრისტეს როლზე დანიშნა სტაგისტი, უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, გინდაც დახუთულ გარემოცვაში, როცა მხუერი ესუსა გაგუდავს, ანაზღად ყურთამდე გამოვიდნენ დაგმანულ ფანჯარას, შემოჭრილი გრილი პაერი ერთბაშად გაგვისხნა სუნთქ-

ვას, ნეტარ თავბრუს დაგახვევს. ორი წელი უმუშევარი დადიოდა. მილიციამაც კი მოაკითხა რამდენჯერმე, ხელწერილი ჩამოართოვს, დაბეჭდნენ - თუ საქართველო არ დაიწყებ სავაჭო მუშაობას, დაგაპატიმრებთ, როგორც მუქიაბოზას. ისტორიკოსის დიპლომი დაიცვა, მაგრამ საკუთარი თავი უვიც-მე უვიცად მიანდა. უნივერსიტეტში გატარებულ ხუთ წელს ნახევრად დაკარგულ დროდ თვლიდა. სპეციალობის წამყვანი საგნები სქოლასტიკურ ფრაზათა სისტემადა ჩაუღწია თითქოს თავში. ამპირებიზინდენ, რით განსხვავდება მარქსის დიალექტიკური მეთოდი პეგელის დიალექტიკური მეთოდისაგან. ე. წ. მეტკობის (მეცნიერული კომუნიზმი) სამ წყაროსა და სამ შემადგენელ ნაწილს. ვაყოფა-გამრავლების გაბუღასავით უნდა გცოდნოდა კომუნისტური პარტიის ყრილობების ქრონოლოგია, რომელსაც სკულენტური მახვილგონიერება იმით იმასხორედა, რომ თერთმეტი წლით ჩამორჩებოდა ქრისტიანულ წელთაღრიცხვას; მეთორმეტი ყრილობა ჩატარდა 1923 წელს, მეცამეტე 1924 წელს და ა. შ. იყო გამონაკლისიც, მაგრამ ამაზე უკვე შეკარდა აღარ მოგეადგებოდნენ. მეზოდან დაგვეგმილი სკულენტური გასართობი ღონისძიებები, მიუხედავად შემსრულებლობა ახალგაზრდული სილადისა, სახანო სილამპლით გამოირჩეოდა. ორგანიზატორებად ყოველთვის ის მატრაკვეცა კომკავშირელები მოველინებოდნენ, რომლებიც არასრულფასოვნების კომპლექსით იყვნენ აღნიშნული; მეტწილად პროვინციიდან ჩამოსულინი, ან სპორტში, ბიჭობაში, ან სწავლაში გაბთურებულინი, ისინი, ვინც კომკავშირული მოვალეობის პარალელურად ახერხებდნენ ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა, ლექტორების პოლიტიკური მანტაჟირებით მეცნიერებისა და თანამდებობებისაკენ გზის გაკავებას. მათ ევალებოდათ, გაეხსნათ ეს შეკრებები კომკავშირული შაბლონური წინასიტყვაობით, სტალინისა და პარტიისაღმად მადლიერების გამოხატვით, რაც სტაგისტის ე. წ. „მოქალაქეობრივ შეგნებას“ ვერაფრით ახალისებდა და კომკავშირულ პაგრიტიზმს ვერ კეზებდა. ის კი არადა, სამი წლის საწევროს გადასუღვლობის გამო კომკავშირიდანაც კი გამოაგდეს და ძალიანაც კარგა ქნეს. სკულენტური პერიოდის გახსენებისას, ერთი, რაც ემაყოფილებას ანიჭებდა, საჯარო



ბიბლიოთეკა იყო. საათობით იჯდა და ჩა-  
პირკიცებდა ბიბლიას, რომელსაც დიდი  
დაყვედრებით, როგორც შინაურს, აძლევდნენ  
ბიბლიოთეკის თანამშრომლები, თანაც აფრ-  
თხილებდნენ, არავისთან არაფერი წამოხე-  
დნოდა ამის შესახებ. მრავალი გაუგებარი  
აღვლები რჩებოდა დიად, არ იცოდა, ვისთ-  
ვის მიეკითხა, ვინ განუმარტავდა ან სად  
შეიძლება სათანადო ლიტერატურის მო-  
ვნა. ირგვლივ რელიგიამის ფრთხილი ან  
აღვებული, მეტწილად მაისინ მგრული დამ-  
ოკიდებულება სუფევდა. ძალაუნებურად შინ-  
გამოჩეილ ეგზეტიკას უნდა მისცემოდა. ახ-  
ლა კი სასწაულად არათუ სამუშაო იშოვა,  
რელიგიაში განსწავლული კაცი - მაესტრო  
შეხება ხელმძღვანელად და, რაც გასაოგნებ-  
ელია, ქრისტეს როლის შესრულება მაინდო.  
- „შთავარი როლი მოგეცე ბიჭო, ამ პიესაში?“  
- ირონიული დიმილით ეღაბებუებოდნენ  
მსახიობები. კმაყოფილებას ვერ შალავდა,  
თავს უკრავდა, იცინოდა, გუნებაში კი ფიქ-  
რობდა, რომ ქრისტეს პიესაში კი არა, მიელ  
სამყაროში შთავარი როლია. უნივერსიტე-  
ტის დამთავრების შემდეგ პატრონი არ  
ჰყავდა და ქალაქ მაგაღანში, კალიშაში გა-  
ნაწილდა. ნაცნობები ექილკებოდნენ, კაცი  
რომ მოგეკლა მაგაგე მეტს კი არ მოგე-  
სჯიდნენო. მერე ღელამ ცნობილი უშოვა კომ-  
ისისათვის, ღელა ინებლიდია, მომეღელი  
ჩემს მეტი არავინ ჰყავსო. არადა, ღელამისი  
მონაგარიმედ მსახურობდა და, არა მხოლოდ  
უღლიდა, - არჩენდა კიდე. მერე ევლარსად  
მოეწყო და უსაქმურის სახელი დაიმკვიდრა.  
რომელიდაც პერიოდში იმაზე ფიქრობდა,  
იქნებ საერთოდ გასცლოდა აქაურობას,  
გაქვეუღიყო საზღვარგარეთ, მაგრამ, გარდა  
იმისა, რომ ამას სათანადო წაღნობობა ან,  
უბრალოდ ჯერ საზღვრამდე წაღწევის პირო-  
ბების, მერე თვით საზღვრის მღვრმარეობის  
ეღღნა ესაჭიროებოდა, ისიც ემაგებოდა, და  
ეს, ალბათ, ყველაზე ძლიერი არგუმენტი  
გახლათ, რომ ღელას ვერ გაიმეგებდა. თე-  
აგრში შემთხვევითი მოხვდა, მეზობელმა, რო-  
მელიც ეგმნათებლად მუშაობდა, დაბადა  
და შტაგარემედ მიადებინა, თეატრს სალი-  
ანგო სეენებში მონაწილეობისათვის ესაჭი-  
როებოდა ახალგაზრდები. მიღიეიამი წარ-  
სადგენი ცნობა რომ მიეღო, იძულებული  
ლეს უთმობს ადგილს... დედაჩემი ჯერ ცოცხალია. ღორა ნემსის მოსაგანად წავიდა. მე საწოლთან ვზივარ და უკვე ვიცი, რომ ეს უკანასკნელი ნემსიც დედას არ უშველობს... და უცებ დედა ლოვინიდან წამოიწია, დასუსტებული ხელი მხარზე დამადო და მითხრა: „მოიცა... რაღაც უნდა გითხრა... კარგად მომიხიდე და დაიმახსოვრე...“ იგი სულს დაუფავს, ნაწვევებ-ნაწვევებად წარმოთქვამს სიტყვებს. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მითხრას, რაღაც ისეთი, რისი თქმაც სიკვდილამდე უნდა მოასწროს... მაგრამ ამ დროს კარი იღება და პალატაში მოხუცი პროფესორი შემოდის. მე კარისკენ მურგმეტყვეით ვზივარ და ვერ ვხედავ, დედას კი მის დანახვამე მშერა უშემდება, თავის სათქმელს ივიწყებს და... „არა გრცხვინია, ბიჭო, უფროსი შემოვიდა, შენ კი მისარ... ალექსი, სკამი დაუთმე...“ - ეს მისი უკანასკნელი სიტყვებია.

ჩემი იყავ, უხმოლ ჭირთა მთქენი და შენ ისე განელე შარა დღეთა, რომ სიკვდილიც ვერ შენიშნე შენი, ჩვენზე მრუნვას აყოლილო, დედაც... საავადმყოფოდან რომ გამოვედიო, პროფესორმა მამამო: „სანამ დედაშენ იმოლაგორში გადაიყვანდნენ, საერთო პალატაში იწვა. ოპერაციის შემდეგ სამინელი ტკივილები აწუხებდა და, თუმცა უხმოლ ითქმნა, ჩვენს მაინც სპეციალური აპარატით დამოზარებობას ეპყებუქებდით. იქვე, დედაშენის გვერდით, ვიდაც ქალი იწვა, რომელსაც აგრეთვე ტკივილი აწუხებდა, მაგრამ ის სულ კენესოდა და მოითხოვდა, გამაყურებელი აპარატი მისთვისაც გაეკეთებინათ, მაგრამ ასეთი ხელსაწყო საავადმყოფოში მხოლოდ ერთი იყო... და იცო, დედაშენმა რა ქნა? ექთანს დაუძახა და უთხრა, იმ ქალს, ეგვობა, ჩემზე მეტად უჭირს და ჩემი აპარატი მისა გაუკეთეთო... დედაშენს აპარატი მოუხსნეს, იმ ქალს გაუკეთეს, ის დამშვიდა, დედაშენი კი ტკივილისგან შოკში ჩაჯარდა და ძლივს მოეასულიერეთ...“

#### მსოფრების გაკვეთილი

იმ „უმაღლეს სასწავლებელში“ რასაც ცხოვრება ჰქვია, ჩემი მშობლების გარდა სხვა მასწავლებლებიც მყავდნენ და ზოგი

მათგანი მინდა გავიხსენო...

ჩარგალში ვიყავი, ვეპა-ფშაველას იუბილემე. მოსკოვიდან ჩამოსული ახალგაზრდა კაცი, სიმონ ჩიქოვანმა, - მწერალთა კავშირის მამინდელმა თავმჯდომარემ, - თავისი მანქანით წამიყვანა (ბაგონ სიმონზე კიდევ მექნება საუბარი)...

საშვიმო მიგინვი გვიან დამთავრდა. ბანკებზე კარგად მოვიხსინე, გვარიანადაც დაფთვერი და, როცა მანქანიანი თბილისელი სტუმრები მიმოიფანტნენ, „ადგილობრივ მოსახლეობასთან“ ერთად შარას გავყევი,

თიანეთში არავის ვინცობდი. ნახვამ კაცს, მოგესხენებათ, ლაპარაკის სადერდელი აეშლება, ამიგომ გზაზე გამოფენილი ხალხის ხან ერთ ჯგუფს მივეგმასნებოდი, ხან მეორეს, თან გაფაციცებით ვუსმენდი მათ საუბარს, ყველაფერი მაინტერესებდა...

ერთ ჯგუფში ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა მოხუცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. განდაბალი კაცი იყო, მაგრამ იმ სიგრძე ხანჯალი და ხმალი ეყიდა, თან ისე ამაყად მიბაძეებდა ახალგაზრდებს შორის და მოსწრებულად „კაფიოდა“, დაეინტერესდი, წამოფეწვი და გვერდში ამოვუდექი. არ ვიცი, რით დამეწყო საუბარი და პირველივე, რაც თავში მომივიდა, წამოვუყარანგაღე: რა ღამაში გოგოები გაყავთ-მეთი თიანეთში! მოხუცი შეჩერდა, ამომხედა და მშვიდად მკითხა: შენ დედამკედარი ხომ არ ხარ, შეილოო? მე გავმგერდი: საიდან იცი-მეთი? ეგრე რომ თქვი, იმიტომა გკითხოვ. ვინა ხარ და სადაურიო? ჩაეებლაუკე იმ მოხუცს და აღარ მოვეუხე. ვუთხარი, ვინც ვიყავი, საიდან ჩამოვედი, ღამის მთელი ჩემი ბიოგრაფია მოვეუყევი და შევატყევი, მისი სიმპათია თუ არა, ყურადღება მაინც დაეიმსახურე. ყოველ შემთხვევაში, მოხუცმა თავის სახლში წამიყვანა და ღამე გამათევინა. დარიბულად ცხოვრობდნენ ისა და მისი დედაბერი: რიყის ქვით ნაგები, ძველი შენობა (ეგყობა, ყოფილი მარანი) ალაგ-ალაგ დაზარული იყო, კრამიტებმაცეცილი სახურავიც შეკეთებას მოითხოვდა, ოთახშიც სინესკის სუნე იდგა, მაგრამ გულუხვად გამამასპინძლდნენ: ერთოკერები შემეწვეს, ეპიგაურეც დასამოყვინეს და ბოლოს ჩემი თხოვნით ლოგინი ავიანზე გამომალეს - ისეთი სუფთა, რომ გახამებულ მეწარსა და საბანს სულ ვაშლის სურნელი

აუდიოდა!..

ღილით დარე მასპინძელი დოქთი ხელში თავზე დამადგა: მოდი, პირი დაიბანო. მერე ჯიბიდან ავტობუსის ბილეთი ამოიღო: თბილისის მანქანა ერთ საათში გავა, ვისაუშმით და გაგაცილებო. თან ისიც მკითხა: ჩემი სტუმარი ბრძანდები და კიდევ რითი ვასიამოვნო?.. სროლა მინდა-მეთი. „რას უნდა ესროლო, შეილო?“ გავკვირდა გლხის „ნიშნში ვისერი“. მოხუცს გაუღმა, ძველი ჩავენგებული სანადირო თოფი გამომიტანა და გამასროლინა. ამის შემდეგ სურას მიუესხელით. ისევე გადაეკარი ეპიგაური, წუხანდელ ხასიათზე დაღვეტი და ავჭიკიკი... ამ დროს კვლავად დაკვირვებულ ხანჯალს მოვკარი თვალი. შეიძლება ვნახო-მეთი? ნახეო. ჩამოგესხენი იარაღი და, მოვერცხილი ქარქაშიდან ხანჯალი რომ ამოვიღე, ოთახი თითქოს ვანათდა: ისეთი ღამაში გავდიოდა ხუთდარიან, ძველებურ ფოლას!.. არც დაფიქრებულვარ, უმაღვე ვოჯახე ჩემს მასპინძელს: ეს ხანჯალი მაჩუქე-მეთი! მოხუცს სახეზე ჩრდილმა გადაუარა, ერთხანს ჩუმად იყო, ჭიქას ხელში ატრიალებდა და ფიქრობდა. ბიჭო მითხრა: „ნება ეგ სიგყე არ გეთქვა, ბიჭო, და რაც ვინა, გავკეთებინა... შე დლოციელო, გუშინდელს აქეთია აქ ხარ, ჩემთან ვეძინა, ერთად პური ვჭამეთ, რაზე არ ვილაპარაკეთ და. ჩემი სახელი ერთხელ არ გკითხავს! ასა ამ მამაპაპურ ხანჯალსა მოხე?.. იყოღ, ეგ ხანჯალი უკვე შენია, რაკი მოხოვე, მაგრამ წუღანდელივით ქუჩაში კი არ გამოუმენაურო, ჩამოდი ჩემთან და წაიღე!.. აქაურები პაპა ნიკოს მოგასწავლის!..“

რასაკვირველია, თიანეთში აღარ ჩავსულვარ და ის „ჩემი ხანჯალი“ დღესაც პაპა ნიკოს სტუმართმოყვარე ქოხის კვლავზე ჰკიდა!..

ერთი მეტად მნიშვნელოვანი „ცხოვრების გაკვეთილი“ უნივერსიტეტის პროფესორმა, ბნ გრიგოლ კიკნაძემაც მომცა... მე მაშინ ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ბატონი გრიგოლი კი ლექციებს ვილოლოგებს უკითხავდა, რომელთა შორის არა ერთი და ორი თავყანისმცემელი მყავდა. ძალიან მოსწონდათ (განსაკუთრებით გოგონებს!) ჩემი ლირიკული ლექსები და ხშირად მკვი-



თხებდნენ უნივერსიტეტის ემოსი ან დერეფანში...

ბატონ გრიგოლს თავის სტუდენტებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ისინი პროფესორს არამარტო აუდიტორიაში ხვდებოდნენ, მასთან სახლშიც დადიოდნენ და ერთხელ მეც წამიყვანეს... მანამდე კი ყური გამოუჭადეს ჩემი ქება-დიდებათ, ძალიან განათლებული ყმაწვილიაო, „გენიალურ“ ლექსებს წერსო, თან ხატავსო, თავისი ლექსები შეპირად იცისო, - მოკლედ „ფენომენიაო“. იმდენი რამ უთხრეს, ბატონი გრიგოლი დაინტერესდა „ჩემი ფენომენით“ და თვითონვე სოსოვა სტუდენტებს: შინ მომიყვანეთო.

სინამდვილეში კი რას წარმოვადგენდი? იმდენს არაფერს. ჩემი გოლებისაგან განათლებით მართლა გამოვივრჩედი - ბევრს ვკითხოვლობდი ქართულადაც და რუსულადაც, უნივერსიტეტში პირველსავე კურსზე, „სტალინურ სტიპენდიაზე“ წარმადგინეს, რაც შეეხება ჩემს პოეტობას... ერთი ლამაზი გოგონა არ მეგულვებოდა თბილისში, მასზე ლექსი რომ არ დამეწერა! პოემიის მთავარ დაწინაურებულ მშენებელი სქეის ფიმიკური ღირსებების აღწერა და ქება-დიდება მიმართინდა და ამას იქით არაფერი მაინტერესებდა! ვუმღერდი „ჭროლა თუთისფერ თვალებს“, „რიყის ქვებითი მკვრივი, ამბოურეულ ტუპუებს“, „აივნის რიკულებითი ჩამოქნილ წვივებს“ და მთელ ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტად ვაჭა-ფშაველას და სიმონ ჩიქოვანის სტრიქონები მომწონდა: „საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“ და „ქალი გვიდან აივნისაკენ მუხამბაზითი წაიღებს თეძოს...“

მოკლედ, „სექსუალური საზრუნავით“ შეპყრობილი ყმაწვილი ვახლდით - ასეთი იყო მაშინ ჩემი პოეტური „კრედი“! ჩემს ახალგაზრდა მსმენელებსაც სწორედ ამგვარი საგრფიალო ლექსები მოსწონდათ. თითქმის ყოველ საღამოს, ჩვენ ბიჭები და გოგოები, საოპერო თეატრში ვიკრიბებოდით და, მე მგონი იმ შენობაში არც ერთი სვეტი, არც ერთი კუნჭული არ დარჩენილა, სადაც თქვენს მონა-მორჩილს თავისი ლექსები არ წაეკითხოს!.. მაღლობა დემთოს, რომ იმ ბიჭებსა და გოგოებს ჩემი უმწიფარი „ეკამერისები“ მოსწონდათ, რადგან ეს იყო ჩემთვის ერთადერთი გამამხნეველები სტიმული იმისთვის, რომ მეწერა, მეწერა და, ბოლოს,

როგორც ნათქვამია, მწერალი თუ არ ვახდებოდი, „წერას მაინც ვისწავლიდი“!

ბატონმა გრიგოლმა ცალკე თოხანში გამიყვანა და მითხრა: ჩემი სტუდენტები მეტ-მეტად ვაქებენ, წამიკითხე შენი ლექსებიო... ყველაფერი წავეკირე, რაც მახსოვდა. ყურადღებით მისმენდა, ჭკვიანი მგერა ჩემთვის არ მოუცილებია. როცა ჩაცხრა ჩემს მიერ თოხანში ქარბუქითი დაყენებული „ჭროლა თვალბის“, „მკვრივი ტუპუებს“, „მარწყვივითი ტუჩებს“ და „რიკულებითი ჩამოქნილი წვივების“ კორიანგელი, მითხრა: ჩემო შიშა, შენ ლექსის წერა გციონია და შესაძლოა მართლაც პოეტი გამოიხვიდე... მაგრამ, აბა თვალით შენს ნაწერს და ფხიზრად შეაფასე... თითქმის ყველა ლექსში, რაც მოვისმინე, გრძნობადამშვეული კაცის თვალით უყურებ ქალს, მომხმარებლის თვალით! მე შენზე ბევრად უფროსი ვარ, ოჯახიც მყავს, მაგრამ ქუჩაში ლამაზ გოგონას რომ დავიხანახავ, რა დასამალია და მაჯისცემა მიჩქარდება, თვალსაც გავაყოლებ ხოლმე. ეს მამაკაცის ბუნებრივი მოთხოვნებია და ამისი არც მრცხვენია. მაგრამ შენგან განსხვავებით, ქალში, მისი ფიმიკური ღირსებების გარდა, ვედილობ, სხვა, უფრო მეტი დაინახო, რადგან ქალიც ხომ ადამიანია? შენ მხოლოდ ლამაზ თვალებს, მკერდს, განის მიმოხრას, რიკულებითი ჩამოქნილ წვივებს ამჩნევ, ამას მეც ვხედავ, მეც ეს მალეღვებს, მაგრამ, შენგან განსხვავებით, მე იმასაც ვხედავ, რომ ეს ქალიშვილი, რომელმაც გუშის სკოლა დაამთავრა, ეცყომა ღარიბი ოჯახიდან არის, შესაძლოა, საკუთარი ფეხსაცმელიც კი არ გააჩნია და თავისი უფროსი დეი და ღელის დიდი მოშის ფეხსაცმელი აცვია, ეშინია, ფეხიდან არ გატყვოს, ფეხის თითებს ღანჩას აჭერს და ამიკომაე აქვს ასეთი ლამაზად დაკუნთული წვივები!.. მაშინ ბატონ გრიგოლის სიგყვიბი უფროსი კაცის ჩვეულებრივ ჭკუა-ღარიგებად მომეჩვენა, მაგრამ გავიდა ხანი, გავიზარდე, საკუთარი ჭირ-ვარამაც გამოვეცი, სხვისიც გავიზარე, ჩემს პოემიას უფრო სერიოზული მიზანი გაუნდა და მივხვდი, რასაც გულისხმობდა ბატონი გრიგოლი. თურმე მართლაც „მომხმარებლის თვალით“ ვუყურებდი მშენებელი სქეის წარმომადგენლებს და ჩემი ვადაჭარბებული ინტერესი მათი ფიმიკური ღირსებებისადმი სწორედ ამით იყო გამოწვეული...

ასაკმა და ცხოვრების გამოცდილებამ ჩემში „ლაშაში ქალის“ სახე, საყვარელი არსების ხაგით შეეცალა და განსხვავებული ლექსიე მოითხოვა, თუნდაც - ასეთი: „სულ მენაგრები, მაშინაჲ კი, როცა ვართ ერთად, /და ჩემს გარშემო და ჩემს გვერდით შენა ხარ მარგო/. მუდამ და ყველგან - ძილშიც, ცხადშიც, უშენოდ, შენთან/ სულ განუწყვეტლივ მენაგრები და შენზე ვდარდობ...“

თურმე ქალი, რომელიც მოგწონს და შენად გინდა გაიხალო, ბრუნვას და დარდსაც მოითხოვს შენგან!..

გრძელო კინაძის გაკვეთილი რომ არა, რა დამაწერინებდა ოდესღაც „შიშველი მუხლებისა „და „ძუძუს კერტების“ მაღიღებელ პოეტს ასეთ სტრიქონებს:

საჩუქარი ხარ ბედისა? რა ხარ?

თუ სასჯელი ხარ მაცდური ბედის?

და შენ იმიტომ მოხვედი ახლა,

როცა თავლება ჩემი ცხოვრება,

რომ კიდევ უფრო გამწარდეს ჩემთვის

წუთისოფელთან გამოთხოვება?!  
.....

კიდევ ერთი ცხოვრების გაკვეთილი მაგონდება - რომანტიკული გაკვეთილი. ნურაინ დაიკვებნის, თითქოს ცოდავ არ ჩაუღვინა. მეც ბევრჯერ შემეძიღვას. რა გაეწყობა, ადამიანი ვარ და „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“. მით უმეტეს, გრძობათა სფეროში...

ლაშაში ღელაკატები ყოველთვის მომწონდა, ყოველთვის ველოდოდი მათთან დაახლოებას. მოსკოვში ცხოვრების დროს ერთი ებრაელი ჟურნალისტი გავიცანი. ძალიან ლაშაში ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, ციბირიდან ჩამოყვანილი (ეს ქალი მისი პირველი ცოლი იყო, მეორეს და შექაბდა არ ვიცნობდი). ინგა ერქვა. ბიბლიურ ევას ჰგავდა. გრძელი ნაწნავი ლაშის წელამდე სწვდებოდა. თვალები ჰქონდა ცისფერი და შეურყენელი, გან-ფეხი ხომ... მოკლე, ისეთი იყო, რომის პაპსაც შეაქვდნაჲ!.. მისი ქმარი კი, ცნობილი ჟურნალისტი, მოსკოვის კალმოსანთა შორის გაქნილ დონ-ჟუანად და ქალეის მუსუსად თივლებოდა, თუმცა მელოცი იყო, შეუხედავიც და, მე მგონი, ასეთი „მიჯი“ თაყისი ცინიკური მჭევრმეყვე-ვიდით უფრო შეიქმნა, ვიდრე მამაკაცური დირსებებით... ერთი შეხედვით, ცოლ-ქმარი შესმატკბილებულად ცხოვრობდა. შეძლე-

ბული ჟურნალისტი სოფელ მეუღლეს არაფერს აკლებდა, კარგად აცმევდა, მწერალთა პრესტიჟულ სამოგალოებაში გამოჰყავდა, საკუთარი შავი „ვოლგით“ დაბასირნებდა, მაგრამ სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, საქმე სხვაგვარად იყო: ქმარი ცოლს და-ლაგობდა, თან იშვითად კი არა, რეგულბრულად! მეუღლეს სახლში ტოვებდა ან სა-ღმე გასიტუმრებდა, თვითონ კი საყვარლებთან დროს ატარებდა. ინგა ყველაფერს ხელებოდა, მით უმეტეს, რომ შენ დაბრუნებულს არა ერთხელ აღმოუჩენია პომადით გასერილი სიგარეტის ნამწვები და პირსახოციები... ყოველივე ეს თვითონვე მაიბო, უფრო სწორად, შემომჩივდა, როცა ჩვენ ქალაქ-არეთ, მოსკოვის მწერალთა შემოქმედებით სახლში შევხვდით. მე და ჟურნალისტი, ორიენი იქ ვისვენებდით. მისი ცოლიც იქ გავიცანი და ძალიან დავახლოვდით. არ ვიცი, ქალის სიმარტოვისა და მოწყვნილობის გამო მოხდა ეს თუ მართლად მოვეწონე, საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენს ფიზიკურ დაახლოებას აღარაფერი აკლდა...

იმ დღეს ქმარი ქალაქგარეთ წავიდა, ინგა კი მოსკოვში დარჩა. მეც, რასაკვირველია, აქ ველოდებოდი: წინასწარ შეთანხმებული ვიყავით, რომ ამ საღამოს მის სახლში შევხვდებოდით. ქალმა მითხრა: ჩემი ქმარი დღამდე შინ არ მოვა, მთელი დამე ჩვენს განკარგულებაში იქნებათ... და მეც ეს მიხლოდა!

შუაღამე გადავიდა, ჩვენ უკვე სრულ განცრომაში ვიყავით, როცა მოულოდნელად კარზე დააკაკუნეს. „გულმა რეჩხი მიყო“, რომ ვითხრა, სწორი არ იქნება, „რეჩხი“ “კი არა, ჩემმა გულმა ელვის სისწრაფით მთელი სხეული მიიბრინა და ბოლოს საღ-ღაც ყანყრაგოში გამეჩხირა! გონს რომ მო-ვედი, პირველი ჩემი საზრუნავი იყო, სწრაფად ტანზე ჩამეცვა და ადამიანური იერი მიმელო. თუ მომკლავს ბარემ კოტურად მოვეკდე-მეთქი, - ვიფიქრე და თოხანში ჯარსახავი დაგვტრიალდი. ინგა კი მშვილად ადგა, შიშველ ტანზე სააბაზანო ხალათი წამოიხსნა, სარკეში ჩახედეაც მოასწრო და დერეფნისკენ გაე-მართა, საიდანაც კარზე გამაყრუებელი ბრახუნა და ქმრის ყვირილი ისმოდა...

გაიხსაკუნა კლიტე და კარი გაიღო.

ალბათ, გინახავთ (ტელევიზორში მაინც) ესპანური კორიდა, როცა გამმეინვარებული

ხარი არენაზე შემორბის, სადაც მას გორუ-  
აღორი ელოდება?! სწორედ ასეთ ხარს გაე-  
და ეურნალისტი, როცა ოთახში შემოიჭრა  
(ახლა რომ შავონღება, ასე მგონია, მის მე-  
ლოც თავს რქებიც კი ამშვენივდა).

განსვავებით ქართული ქმრისგან, რომ-  
ელიც, ალბათ, იქვე გაათავებდა ცოლის საყ-  
ვარულს, ეურნალისტს ჩემკენ არც გამო-  
უხედავს - ცოლს ეცა და მასთან „ურთიერ-  
თობის გარკვევა“ დაიწყო. უყურადღებოდ  
დარჩენილი ერთხანს ვუცდიდი, ჩემთვის რო-  
დის მოიცილდნენ, მერმე მოეგრიადლი და  
კარისკენ გავემართე. ქმარი გამომეღვენა,  
მაგრამ კიბეზე ბნელოდა, ეცეკობა, შეეშინდა:  
ამ გიჟა ქართულმა არაფერი დამაწიოსო  
და ისევ შინ შებრუნდა, რომ მეუღლესთან  
„ურთიერთობის გარკვევა“ გაეგრძელებინა!.

გვიანი ღამე იყო. გრანსპორტი არ მუშა-  
ობდა, ტაქსის ფულიც არ მქონდა. ფეხით  
მივიდიდი და ვფიქრობდი. და უნებ გამახ-  
სენდა ინგას სიტყვები, კარგა ხნის წინათ,  
ჩვენი „რომანის“ დასაწყისში რომ მიიხრა  
(მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე, ახლა  
კი მისი ნათქვამის შინაარსი უნებ გაეხადდა  
ჩემს გონებაში)... მახსოვს, აივანზე ბანქოს  
ეთანამოებლი, ცალ ხელში კარგი მკვირა,  
მეორე ხელი კი მაგიდის ქვეშ მუხლ-  
ებზე მდო. ინგა თავის ოჯახურ გასაჭირს  
მიზიარებდა, მოლაღატე ქმარს აუკად ასხე-  
ნებდა და ბოლოს თქვა: „მე მას დავემუქრე-  
იცოლე, სამაგიეროს გაღაგისხი-მეთქი! ო,  
რა მწარედ გაღაგისხი! შენ სხვა ქალებში  
ლაძერები და მე არ ვიცი, ვისთან მღალატობ,  
მე კი ისე ვიშამ, რომ შენ გეცოდნებო, ვისთან  
გღალატე!“

მაშინ ყურადღება არ მივაქციე ამ ფრაზას,  
ახლა კი მიხვდი რა სიქექაქლის მონაწილე  
გამხადეს. იმ ღამით ინგამ წინასწარ იცოდა,  
რომ ქმარი შინ დაბრუნდებოდა და აკი თავზე  
დამაყენა კიდეც! ესეც ჩემთვის კარგი გაკვე-  
თილი იყო!

ქართული კინოსტუდია დაღესტნის მაღა-  
ლმითან აულში ფილმს იღებდა. ფილმისთვის  
13-14 წლის გოგონა დასჭირდათ და  
რეჟისორმა ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ნაგო  
ამოირჩია. მაშინ ჩვენ მოსკოვში ვცხოვრო-  
ბოდი. ჩამოყვავანე ნაგო და მამა-შვილმა  
ერთ მარტოვლა დღებაერთად, ვინმე ქიფთი-  
ნასთან დავიდეთ ბინა. თითქმის მთელი შაფ-

ხული იქ გავატარეთ... საკვირველი ქალი  
იყო ქიფთინა - თთარაანთ ქერივის დაღე-  
სტნური განსახიერება! ოთხი ვაჟიშვილი  
ჰყავდა და ოთხივე სამაქრო ომში დაეღუპა.  
ერთი შვილიშვილმა დარჩენილი, პატარა  
გოგო, და იმას შრიდა. ვერ გაიფიქრა, ვინ  
ვის უვლიდა: ბებია შვილიშვილს თუ პირი-  
ქით... ქიფთინა დარე მასწავლებლობდა, და-  
წყებით კლასებში რუსულს ასწავლიდა, ახლა  
კი პენსიანზე გავსული, სახლიდან ფეხს არ  
იცივლიდა. შემზობლებთანაც არავითარი კავ-  
შირი არ მქონდა. თუ დაელაპარაკებოდა  
ვინმეს, მარტო შვილიშვილსა და შოგჯერ  
მეც, როცა აუცილებელი იყო... აი, ეგეთი  
ქალი გახლდათ ქიფთინა ზალოვა, ვისაც  
აულში ყველა იცნობდა და პატივს სცემდა  
(თუნდაც იმიტომ, რომ იქაური მოსახლეების  
ნახევარზე მეტი „ზალოვის“ ვეარს ატარ-  
ებდა)...

ერთხელ ჩვენს რეჟისორს ფილმისთვის  
დაღესტნური ჭელური ხელოვნების ნიმუშები  
დასჭირდა (როგორც ვიცი, დაღესტანი ამ  
მხრივ განთქმულია) და თანამშრომლებს  
დაავალა, შევეროვნებინათ აულში, რაც კი  
მოიპოვებოდა: ვერცხლის სამაჯურები, ყელ-  
საბამები, საყურეები, ქაშრები, ჭურჭლები,  
ავრეთვე იარაღი - ხმლები, ხანჯლები და ა.  
შ. ყოველივე ამას ფილმში გადაიღებდნენ  
და მოსახლეობას დაუბრუნებდნენ, თანაც  
ფულს გადაუხდიდნენ... რეჟისორის წარგ-  
მავნილები ჩვენთანაც მოვიდნენ და ქიფთი-  
ნამ, ჩემი შუამავლობის წყალობით, ვერც-  
ხლის პორტსიგარი გაატანა... ძალიან ღამაში  
და ორიგინალური ნაკეთობა იყო, მე ვი-  
ცყოდი, მეთვრამეტე საუკუნის დაღესტნური  
საიუველირო ხელოვნების შედეგია. ასეთი  
რამ მხოლოდ მუშოვნებს მინახავს!.

რეჟისორმა, როგორც განათლებულმა  
კაცმა, სიძველის ფასი კარგად იცოდა, დაი-  
ნახა თუ არა პორტსიგარი, ქიფთინას შეუ-  
თვალა: ეს ნივთი მომყიდე და რამდენსაც  
ვინდა გადაგიხდიო. მეც იქ ვიყავი, როცა  
მისი სურვილი ქიფთინას გადასცეს. ქალმა  
გაიდიმა და მოკლედ უკახუხა: პორტსიგარი  
პაპიჩემის დანატოვარია და არ იყიდებაო...  
რეჟისორმა მეორედ და მესამედც მოუგზავნა  
ხალხი, რაღაც ასტრონომიულ თანხას დაჰ-  
პირდა, მაგრამ ჩემი სახლის პატრონი ხელ  
იმას ვაიძახოდა: პაპიჩემის სახსოვარია და  
ვერ გავყიდიო. მაშინ გაგულსებულმა რეჟის-

ორმა თავის თანამშრომლებს დაავალა, ქიფთინასთვის გადაეტათ, თითქოს პორტსიგარი დაიკარგა და კინოგაგუფი შობდა არის, აუნაზღაუროს პაგროს მისი საფასური! ეს რომ გავიგე, იმავე საღამოს ვურჩიე ქიფთინას პორტსიგარი მინ წამოვღო.

გავიდა დრო. ფილმის გადაღება გაჭიანურდა, ჩემს შვილს სკოლამ აგვიანდებოდა, ნერვიულად და ბოლოს ავად გახდა. შუალაშისას ცხვირიდან სისხლი წასკდა. რა არ ვიღონე, შუბლზე ცივ ტილოსაც ვაფენდი, ნესტოებში ბაშბის ქულებსაც ვეჩრიდი, მაგრამ სისხლდენა ვერ იქნა და ვერ შევაჩერე! წვეთ-წვეთად კი არა, ნაკადად მოედინებოდა სისხლი და, არ ვიცოდი, რა შექნა!... ჩვენს აურზაურზე ქიფთინას გაელეობა. ოთახში შემოვიდა, მაგრამ, აბა, რას მიშველიდა? სოფელში ექიმი არ ჰყავდათ, მანქანაც არ იყო, არც ტელეფონი, რომ რაიონული ცენტრიდან სასწრაფო დახმარება გამოემეძახა... ერთადერთი, რაც შემიძლო, ჩემს შვილს ვეფერებოდი და მასთან ერთად ვტიროდი, ქიფთინა კი, ბუსკავით, ტაბურეტზე წამოძვადარიყო და თავისი ჭკუით მამშიედებდა: არაფერია, მიშა, იდინოს, ეგ ცუდი სისხლია, რაც მეგი გამოვა უკეთესიაო... მოკლედ ვიღუპებოდი! ამასობაში უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდი. მაგრამ შე მაინც მოვასწარი: სველი პირსახოცის კუთხეები (უკვე მერამდენედ!) ნესტოებში შევტენე ბაეშვს, გულში ჩავიკარი და... აღარ მახსოვს, მგონი, ვლოცულობდი, მაგრამ სისხლდენა შეწყდა და ჩვენ ორივეს ჩაგვეძინა.

მეორე დღეს დიდიანვე ნაცნობ შოფერს შევეუთანხმდი, ბარგი ჩავალაგე და მახაჩყალაში გასამგზავრებლად მოვექმნა. გამომშვიდობება არავისთან მინდოდა...

ამ სამზადისში რომ ვიყავი, ოთახში ქიფთინა შემოვიდა. რაღაც უცნაური, მისთვის შეუფერებელი საბეიშო გამომგეგუვდა ელო სახეზე, სკამზე ჩამოჯდა და მითხრა: მიშა, შენ, მგონი მოგეწონა ის პორტსიგარიო? სწორედ ამ დროს ჩემოდანს თასმებს ვუჭერდი, თან ნატოს ჭკუას ვარიგებდი, რა უნდა ჩაეცვა, რომ გზაში არ გაცივებულიყო, ამიტომ ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე: „ძალიან ძვირფასი რამეა, გაუფრთხილდი... ეგეთ ნაკეთობას მუზეუმში თუ ნახავ... მაგ შენს პორტსიგარს, რომ იცოდე, ფასი არ აქვს, მილიონ

ნიც რომ მოგეცენ, არ გაყიდო!!! ქიფთინამ აიკეცა ქვედა კაბის კალთა, საიდანღაც ამოაძვრინა პორტსიგარი და გამომიწოდა: „აილე... წუხელ ჩემი თვალით ვნახე, როგორი მამა ყოფილხარ... გამომართვი, სახსოვრად გქონდეს.“

მთავრობის ოთხი ჯილდო მაქვს მიღებული, მათ შორის, „დირსების ორდენიც“, მაგრამ ასეთი ძვირფასი საჩუქარი არც მანამდე, არც მერე ჩემთვის არავის უბოძებია!

თბილისიდან მოსკოვში უბინაოს გამოწაველი (ეს უკვე გაიმპეტი). მოსკოვიდან თბილისში რომ დავბრუნდი, ბინა ისევ არ მქონდა და სხვის კარზე ვცხოვრობდი იმ იმედით, რომ ჩემი ერთოთახიანი კოოპერატიული ბინა მალე აშენდებოდა. დიდი არაფერი იყო, მაგრამ ის „ჩემი“ საკუთარი ბუნავი იქნებოდა და ცოლ-შვილთან ერთად იქ დამოუკიდებლად ვიცხოვრებდი...

ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი სახლის მშენებლობა დამთავრდა და ჩემი კუთვნილი „აპარტამენტების“ სანახავად მივედი. ვნახე, მაგრამ რა ვნახე! „ბინას“ კარი არ მქონდა, კარის მავივრად მუყათ იყო აფარებული. შიგნით არც იატაკი დაეგოთ, არც კარფანჯრების ჩარჩოები ჩაესვათ (მინებს ვიდა ჩივის!), კედლებიც კი არ შეეღესა! განსაკუთრებით დაშაშხსოვრდა ოთახის შუაგულში მძლ... ბოლისში, ექსკრემენტების გროვა (მშენებლები, ეგყობა, ჩემს „ბინას“ საინაფარემოდაც იყენებდნენ).. მოკლედ, თავის მოკვლა მომიხდა! სად წავსულიყავი, რა შექნა? ფული არ მქონდა, არადა, დღე-ღამე ბავშვის დაბადებას ველოდი (ცოლი უკვე სამშობიაროში იწვა). გაფარდალავებულ, უკარფანჯრო და უიატაკო სახლში ჩვილ ხომ ვერ მოვიყვანდი?! ვინ უნდა დამხმარებოდა? მთავრობა? მთავრობას ჩემთვის სად ექალა?! ერთადერთი აღაშინა, დახმარების ხელი რომ გამომიწოდა, ოთარ ნოღია იყო (ღმერთმა გაანათლოს მისი სული), ვინც სამსახურში მიმიღო და თითქმის სამი წლის განმავლობაში საკმაოდ კარგ ხელფასს მაძლევდა, მაშინ, როდესაც თბილისში ჩაწერილიც კი არ ვიყავი და პასპორტის მიხედვით მოსკოვის მაცხოვრებლად ვითვლებოდი! (ასეთი საქციელი ცეკას „ნომენკლატურული“ მუშაკის მხრით, ვისაც წამდაუწუმ აკონტროლებდნენ, გპირობას უდრიდა!); მაგრამ

საბედნიეროდ, ოთარი მარტო არ აღმოჩნდა, „ცხოვრების გაკვეთილი“ დაუფიქრებია სანდრო გულერჯიძემაც მომცა...

ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი ყმაწვილი იყო - ცნობილი კალათბურთელი. ქუჩაში რომ გაივლიდა, შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა, განსაკუთრებით, მანდილოსნებს. მაგრამ ქალებს რომ თავი დაგანებოთ, ეს ბიჭი, ეგეობა, პარტიულმა ხელმძღვანელებმაც შეამჩნიეს და „დააწინაურეს“, მით უმეტეს, რომ კარგი სპეციალისტი იყო - ინჟინერი და მშენებელი... მოწყვიტეს სპორტსაც, სამშენებლო პრაქტიკასაც და მიხისცრალ დანიშნეს. მერმე კი ცეკაპივი გალაიყვანეს და... ერთი სიტყვით „კაბინეტის კაცად“ აქციეს! მაგრამ სანდრო სრულებით არ შეეცვლილა: ისეთივე დარჩა, როგორც მას მეგობრები და ნათესავები იცნობდნენ. ლაღი და თავისუფალი, ცოტა დარდიმანიდი, მაგრამ უადრესად საქმიანი და, რაც მთავარია, პატიოსანი. განსხვავებით სხვა „ხელმძღვანელი ამხანაგებისგან“, სანდრო კაბინეტში ტელეფონის ყურმილს ყოველთვის თვითონ იღებდა და „რეფერენტების“ და „პირადი მდივნების“ მურგს მოფარებული არ ემაღლებოდა მოსახლეობას (სხვათა შორის, ალბათ, ისიც უნდა ვთქვა, რომ შორეულ ნათესავად მერგებოდა: ჩემი სიძის, ერთ დროს განთქმული განმწივრჯიშის, დიმიტრი ახვლედიანის დის შვილი იყო...).

მოსკოვში ცხოვრების დროს სანდროს ხშირად ვხვდებოდი. ჩემთან სახლშიც ყოფილა. განსვენებულ ჩემ მუდღესაც იცნობდა... მაგრამ თბილისში ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მისი „დაწინაურების“ ამბავი რომ გავიგე, რადაცნობილად შეხვედვლობიდა დაშეკარგა. ქუჩაში ვეღარ ვხვდებოდი, წიქს სიძესთანაც იშვიათად ღაღიოდა, სამინისტროში დარეკვა კი შერიდებოდა, რადგან „ჩემი სანდრიკა“ უკვე „ამხანაგ გულერჯიძედ“ იწოდებოდა... მოულოდნელად თვითონ დამირეკა და მიითხრა: მგონი, რაღაც გაგჭირვებია ბინის თაობაზე და წააიღებო, ვნახოთ, იქნებ შემიძლია დაგეხმარო? მივედით და ვნახეთ. მე ვუთხარი: აი, სანდრო... ერთადერთი, რაც შევქელი, რკინის კარი დაკვიციე, უკანასკნელი ფული ამაში მივეცი... მიგინთ ბინაში არაფერია, ჭერისა და კედლების გარდა...

მე კარი გასაღებით ვგავაღე და ბინაში შევედი. სანდრომ სასწრაფოდ ცხვირსახოცი

ამოიღო და ცხვირზე აიფარა. მე კი განვაგრძე: „ერთ თვეში მედიკო და ბავშვი სამშობიაროდან უნდა გამოვიყვანო... თუ შევიძლია, მხოლოდ იმით დამეხმარე, რომ ლოჯია შევქელი, თორემ მაშინათი მიღის და გააცივებლებიან... დანარჩენს თვითონ გავაკეთებ, წიგნის პონორარს დაველოდები და...“ სანდრომ აღარ დამაბთავებინა: „რისი გამკეთებელი ხარ, მიშიკ? გასაღები მოიტა და ერთი თვე აქ აღარ გამოჩნდე, მე თვითონ დაგირეკავ, როცა საჭირო იქნება“.

სანდრო წავიდა. მე, მართლაც, აღარ მივსულვარ ბინაში, ამასობაში პატარა გიორგიც განსდა და მეცა და მედიკოსაც ახალი სამუშაოები გავეჩინა. სამივენი სიღერს შევეკვლევი და სანდროს ტელეფონის მარს ველოდებოდი. ბოლოს დარეკა: „ბინა აღარ გჭირდება? აქა ვარ, შენს სახლთან, მოდი და ჩაიბარე“. მე ისე დავიბენი, ღამის ფლოსტების ამარა გავვარდი ქუჩაში, გავაჩერე მანქანა და ორ წუთში ჩემ სახლთან გავჩნდი. სანდრო, იმ სასწაულმოქმედი „პარუნ აღრამიდივით“, გაღიმებული სახით კართან შელოდებოდა. თვითონ გამიღო რკინის კარი და წინ გამატარა... თვალებს არ დაუჯერე, მეგობარ, სხვაგან მოხედი, - უცხოეთის რომელიმე სასტუმროს კომპორტულ ნომერში! იატაკზე პარკები ეგო, კედლებზე ღამაში შალაური გაეკრათ, ლოჯიის შემინული ფანჯრებიდან მშის შუქი იღვრებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭერში ჭაღაც კი ეკიდა! სანდრომ შუქი ჩართო და ოთახი გაანათა: ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავდა: სამჭარეულოც, სააბაზანოც, გულეტეც...

მადლობის თქმა ვერ მოვახერხე, შუა ოთახში უღონოდ იატაკზე დავეშვი და სანდროს ეუთხარი: სიცოცხლის მეტი არაფერი მაქვს, თუ დაგჭირდება, მოდი და წაიღე-მეთქი!.. სანდრომ გამიღიმა, დაიჭიო! გასაღები გადმომივლო და წავიდა.

სანდრო გარდაიცვალა... ახლა ჩემს ბინაში კედლდან მისი სურათი მიღიმის და ეს დიმილია, ჩემს სსოვნაში არასდროს რომ არ წაიშლება...

„ცხოვრების გაკვეთილებს“ რომ ვისვენებ, გზადაგმა უფრო და უფრო მიპყრობს უკმარისობის გრძნობა. ალბათ, თავის დროზე თუთორსა და შავს კარგად ვერ ვანსხვავებდი და

ამიგომ მოგიერთი რამ, რაც მოგონების ღირსია, დამავიწყდა. არადა, კარგი მახსოვს, ცუდი მახსოვს და, თუ ასეა, ერთი „ცუდი გაკვეთილი“ გავივსნოთ...

იმ კაცის სახელს არ ვიყვი, „მელექსე“ დავარქვათ, საკმარისია ისიც, რომ ჩემი გოლია, ჩემსავით პოეტია და თან ცნობილი... მაშინ მე მოსკოვში ქართულ მწერლობას ვემსახურებოდი, თვალყურს ვადევნებდი ჩემი კოლეგების წიგნების რუსულად თარგმნას, დაბეჭდვას... საკავშირო სახელის მოხვეჭას ყველა ცდილობდა, ამიგომ ქართველ მწერალთა შორის მოსკოვში წიგნის გამოცემის მსურველი ბევრი იყო... ჩვეულებრივად ასე ხდებოდა: ქართველი მწერალი მოსკოვის გამოძიებლობაში აგზავნიდა თავის წიგნსა და განცხადებას ამ წიგნის გამოცემის თაობაზე. წიგნზე რეცენზია იწერებოდა და მოწონების შემთხვევაში გეგმაში შექმნიდათ. მერმე ავგორთან ხელშეკრულებას დებდნენ, ქართული ტექსტის ბჭარული კეთლებოდა და ნაწარმოებს, - ლექსები იყო თუ პროზა - რუსი მწერლები თარგმნიდნენ. ამის შემდეგ წიგნი სტამბაში იგზავნებოდა, ხოლო მის ავტორს საქართველოში ფულს ურიცხავდნენ (საკმაოდ დიდ თანხას, რაც გირაზე იყო დამოკიდებული)...

მე ამას დაწვრილებით იმიგომ ვყვები, რომ მკითხველისთვის გასაგები გახდეს ის, რასაც შემდეგ მოგახსენებთ.

ერთხელ თბილისიდან ჩამოსულმა მწერლებმა შემაგვობინეს, რომ „მელექსე“ მძიმედ ავად გახდა, საავადმყოფოში დააწვიეს და ოპერაციას ელოდებოდა, რამაც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. ის „მელექსე“ ჩემი მეგობარი არ იყო, მაგრამ ძალიან მეუწუხდი. მისმა ზღვომარეობამ კიდევ უფრო იმიგომ დამაბოლხა, რომ თბილისელებმა თქვეს: მისი ოჯახი ხელმოკლეობას განიცდის და სახსრები არ აქვთ, რომ ავადმყოფი სამკურნალო სადმე მოსკოვში ან ჩეხოსლოვაკიაში წაიყვანონ, სადაც თბილისელ ექიმებზე უკეთესი სპეციალისტები არიან და მკურნალობის ახალი მეთოდებიც გააჩნიათ... რა შექნა? რითი დაეხმარებოდი გაჭირვებაში ჩავარდნილ კოლეგას? ბევრი არ მივიქრია: გამოძიებლობა „სოვეტსკი პისაგლდის“ ღირექტორთან კაბინეტში შევედი და ეუთხარი: „ჩემთან, მწერალთა კავშირში, თქვენს სახელზე განცხადება მოვიდა

ცნობილი ქართველი პოეტისგან („მელექსეს“ სახელი და გვარი ვუთხარი) იგი თავისი ლექსების კრებულის გამოცემას ითხოვს. საკვირველია, რომ ამ დიდებული პოეტის ნაწარმოებებს დღემდე არ იყინოს ჩუმი მკითხველი!“ და ღირექტორს მაგიდაზე ჩემი ხელით დაწერილი ვითომ „მელექსის“ განცხადება დავუდე. მერე „მელექსის“ ლექსების ქართული კრებულიც დავანახე, ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკიდან წამოღებული... თქი ბაკონო, - თქვა ღირექტორმა, - რაკი თქვენ შუამდგომლობთ... გადაეცით მისი წიგნი რედაქციას, სასწრაფოდ გაუგზავნონ რეცენზენტს“. „რეცენზიასაც მე თვითონ დავწერ და, თუ გნებავთ, ბჭკარულებსაც გავაკეთებ...“ ღირექტორი ყველაფერზე დამთანხმდა, რადგან ქართული ლიტერატურის ოფიციალური წარმომადგენელი ვიყავი და ჩემს სიგვეს წონა ჰქონდა...

და დაგრიალდა როგორც იყვიან კარუსელი: ბჭკარულებიც გაკეთდა, თარგმანებიც, ხელშეკრულებაც გაფორმა, რომელსაც „მელექსეს“ მაგივრად ხელი მე მოვაწერე და წიგნიც უკვე იბეჭდებოდა, როცა გამოძიებლობის ბუღალტერიამ, ჩემი თანდასწრებით, „მელექსეს“ თბილისში პირობარი გადაურიცხა...

პასუხად წერილი მომივიდა (სამწუხაროდ, ის წერილი დამეკარგა). „მელექსე“ მწერდა, რომ მას უკვე „იმედი არ ჰქონდა თუ ქართველთა შორის კეთილშობილი ადამიანი მოიძებნებოდა“, რომ მწერლებზე უფრო „ჩათლახი და შურიანი“ ხალხი არ არსებობს, რომ მას, სანამ პირში სული უდგას, „ბრასდროს დაავიწყდება ჩემი სიკეთე“, რომ „ჩემი მოულოდნელი დახმარების წყალობით იგი, შესაძლოა, ფეხზე აღდგეს“ და სხვა და სხვა... გავიდა დრო, მე თბილისში დავბრუნდი და, „მელექსეს“ რომ შევხვდი, პირველი და ერთადერთი, რაც მითხრა: მოსკოვში ძალიან ცუდი წიგნი გამომიცეს და, შე კაცო, იქ არ იყავი, რაკომ არ მიხედო?..

ნათქვამია, კეთილი საქუერი არასდროს დაუსკელი არ რჩება. ამ უფრო სხვანაირად ვიგყოლი: „ვირო, მადლიო...“

და მაინც კარგია, რომ ჩემი ურთიერთობა „მელექსისთან“ (ანუ, როგორც მე მას ვეძახი, „ჭადარა ჩოლკიან მელასთან“) ნაცნობობის სამღვრებს არ გასცილებია!



## მამაჩემი

ისევ წვიმს გულის გამაწყალებულად...  
გარედან ისმის ქვაფენილებზე  
დაცემული წყლის ცივი გლაშუნი -  
იგი დახურულ ფანჯრებშიც აგანს...

მოხუცი კაცი ღვას ფანჯარასთან,  
მას მხრებზე პალგო აქვს მოხურული  
და იგი ისმენს წვეთების რახუნს  
თუნუქის წითელ სახურავეებზე.

მოხუცი ხედავს: ქუჩა მილიანად  
მოფენილია სველი ფოთლებით,  
ღია ყვითელი და მოწითალო  
ყოველ ხის ძირას ფოთლები ყრია  
და გახვეული ფოთლების ალში  
გამავეებულან გოგები ხისა...

და კაცი ფიქრობს: რა საამოა  
მისი ოთახის მშრალი სიწუმე,  
და მყუდროება ბამბისმაგვარი,  
რასაც თან ახლავს ასე ნაცნობი  
ნაფტალინის და სიძველის სუნე...

მარტოა კაცი და მის კედლიდან  
უხმოლ დასცქერის ორი სურათი:  
ჩაფიქრებული სახე ცოლისა,  
რომელიც უკვე გარდაიცვალა  
და მეთენებე თვალები შეილის,  
ვინც ახლა ძლიერ შორსაა მისგან...

გარეთ კი გულის გამაწყალებულად  
წვიმს... და ეს წვიმა აღარ თაველებ!

ასეთი იყო მამაჩემი თბილისიდან ჩემი  
წასვლის შემდეგ... მიძიმედ გახიცილდა სიბე-  
რესა და მარტოობას. მეუღლე გარდაეცვალა,  
უფროსი შვილი ომში მოუკლეს, მეც მოსკო-  
ვში გადავსახლდი, მარტო ჩემი დაიკო და  
მისი პაგარა შვილი ღარჩნენ მის გვერდით.  
სახლიდან თითქმის არ ვაღივად ოდესღაც  
ენერგიული, მშრომელი კაცი. თავის პენსიას  
ჯერდებოდა და პაგარა სახდროს მწყემ-  
სავდა: აჭმევდა, ასმევდა, აძინებდა, გარეთ  
ასეირნებდა... ჩემმა დამ მიაშპო, თურქი ჩემი  
ძმის დაღუპვის ცნობა სულ მუდამ გულის-  
ჯიბებში უღო და არ იმორებდა... ღვინოს  
რომ დაღევდა, ამოიღებდა გაყვითლებულ,

გაცრეცილ ქალაღს, დახედავდა და ოხვრო-  
ბისევი ჯიბეში ჩააბრუნებდა...

მართალია, მე თბილისში ხშირად ჩამო-  
ვდიოდი, მაგრამ სკოლისა და ბავშვობის  
მეგობრები ჯერ კიდევ ცოცხლები მყავდნენ  
და მთელ დროს მათთან ვაგარებდი, იმ-  
ვითად შევირბენდი მამასთან, ისიც მამინ,  
როცა ან ტაქსის ფული დამაკლდებოდა, ან  
სიგარეტი გამითავედებოდა. არასდროს უარი  
არ უთქვამს, თვითონ თუ ქესაგად იყო,  
მეზობლებს გამოართმევდა. არადა, რა  
ქონდა საწყალს?! მხოლოდ პენსია, რო-  
მელიც ჩემი დის, მუსიკის მასწავლებლის  
ხელფასთან ერთად, მათი პაგარა ოჯახის  
ბიუჯეტს შეადგენდა. ხშირად მომხდარა,  
ბავშვობისთვის რძის საყვადელი ფული არა  
ქონიათ!... როგორ დამაიფიცებდა ის დღე,  
როცა მამას სიგარეტის ფული ვთხოვე-  
დერეფანში გამაიფანა და ჩუპად, ისე რომ  
ჩემს დას არ დაენახა, უკანასკნელი სამა-  
ნეთიანი ჯიბეში ჩაშიღო! მერე, როცა მამას  
ვუთხარი, მამას ფული გამოვართვი-მეთქი,  
გაიკვრება: უყურე შენ, რძის ფული ვთხოვე  
და არა შექვსო... როგორ მყვარებიხარ?"

ერთხელაც, მახსოვს, ჩემს დასთან რომ  
შევიბინე და ისევ გაქცევის ვაპირებდი,  
მამამ პიჯაკის კალთაში ხელი ჩამხრეო და  
მითხრა: „ცოგა ხანს მოიცადე, შვილო, დაჯ-  
ექი, დამელაპარაკე, სიმარტოვისგან მთლად  
გამოვყრუდი!“ შემცხვა და გადაეწყვიტა-  
მამა გამეხალისებინა, თუნდაც აბანოში წაპ-  
ყვანა, რადგან გოგირდიანი წყალი ძალიან  
ყვარდა, ბავშვობაში მე და ჩემ მამას სულ  
იქ დაგვაგარებდა...

ჩემს ბედად იმ დღეს რედაქციაში პო-  
ნორარი მომცეს. მამას კარგა მექსევი უქვი-  
რავე, მოხუცი დასაღეს, დასაანეს, მასაყვი  
გაკუთეს და ჩვენ ორივენი ნასიამოვნები  
შინ წამოვედით. გზაში მამას ენა არ გაუჩე-  
რებია, ძალიან ადგმნებული ჩანდა. გაიხსენა  
თავისი ახალგაზრდობა, პეტერბურგში გაგა-  
რებული წლები, თბილისელი მეგობრები და  
თანამშრომლები, რომელთა უმრავლესობა  
30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა. ომის-  
დროინდელი ქერჩის გრაგელიც გაიხსენა,  
რომლის მონაწილე თვითონ იყო... ჩვენ  
სახლს რომ ევახლოვდებოდით, კიკე გაჩ-  
უმდა და ფიცის მიეცა, ეცემა, თუკი რაღ-  
ვის ვახსენებს ცელიობა ან ჩემობა,  
ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდოდა ეთქვა,

მაგრამ ვერ ბედავდა... რამდენჯერმე თავისთვის ჩაიხინა, დაიწყო კიდევ: „იცი რა, შეილო...“, მაგრამ აღარ გააგრძელა. „რა იყო, მამა? შენ რაღაც გაწუხებს?“ - ვკითხე და მამამ, როგორც იქნა, გაბედა: „პოლა, მეც ამ სიბერეში... არ გავეცინოს, მაგრამ შენსავე მგონი, პოეტო გავხდი!“ მოხუცმა არაბუნებრივად ჩაიხინა და მე გულში ვიფიქრე „ღმერთო, ნუთუ ამ ინჟინერმა კაცმა მართლა ლექსების წერა დაიწყო?“ მამა კი განაგრძობდა: „გუშინ გროლეიუსით რუსთაველზე გავედი და, „პიონერთა სასახლეს“ რომ ეძახიან, იქ სკამზე ჩამოვიჯექი... დიდხანს ვიჯექი და ხალხს ვათვალღერებდი, მაგრამ ერთმა ნაცნობამაც არ გამოიარა! წარმოგიდგენია, ერთი საათი ვიჯექი და არავინ... არავინ გამოჩნდა! სულ უცხო ხალხი დადის თბილისში!“ - მამას ისევ გაეცინა და მიეხვიდი, რომ ამ სიცილით გულსტკივილის დაფარვას ცდილობს, თან ჩემი შეწუხებაც არ უნდა თავისი „პოეტური“ განცდებით, რადგან ვიზნია, მწერალი შეილის თვალში სახაცილო არ გამოჩნდეს... „იცი, ბიჭო, რა გავიფიქრე? ჰაი გიდი-მეთქი, გოგი ქელივიძეც, ადრე შენს ქალაქში ყველა ვიცნობდა, ახლა კი ქუჩაში რომ წაიქცე და ფეხი გაჭიმო, კაციშვილი არ გაგიჩინრდება და არ იცყვის, ეს ხომ გოგი ქელივიძეაო! „ვგრუზავიკი“ ჩაგაგდებენ და შორეში გაგაქანებენ!“... მამა იყინოდა, სიცილისგან ცრემლიც კი მოაღვა თვალზე, მე კი... მართლა გირილი მინდოდა.

ამის შემდეგ მამას დიდხანს არ უცოცხლია. მისი უკანასკნელი გოგირდის აბანოც ის იყო და შეიღთან უკანასკნელი გულახდილი საუბარიც...

ასე განჩნდა ეს მეორე ლექსი მამაჩემზე, ღმერთმა რომ დამაწერინა:

ნაწვიმარია... მოაწმინდაზე თეთრი ნისლი წვეს, /ჯერ არ გამშრდება ქვაყვინღაზე სველი ლაქები, /ქუჩაში მიდის მამაჩემი - გოგი ქელივიძე/ ერთ ღროს ცნობილი ინჟინერი და ქალაქელი./ მას ძველმოდური გატრეცილი პალტო აცვია/ ჭადარა თავზე ქალაქური „კარგუმი“ ხურავს/ მიდის ქუჩაში მარტო-ხელა ბერიკაცი და /შვავს უცხო სახლში ალაბულად მოხვედრილ სტუმარს... /მახსოვს მოსკოვში გამოგზავნილ წერილში მწერდა/ „ვერა გავუკვ ვერაფერი ახალ ცხოვრებას, /გადავიღალე ჭიდაობით ავბედით წლებთან/ და ვგრძნობ აშკარად დასასრულის მოახლო-

ებას.../ თბილისში ვცხოვრობ და ქალაქურ ადამ-წესს ვნატრობ/ და აღარ მესმის: ვინ ვინ არის ან მე ვინა ვარ.../ გუშინ, მთელი დღე რუსთაველზე ვიდექი მარტო/ და, იყი, ერთმა ნაცნობამაც არ გამოიარა! /ეცყობა, ჩემი დრო წასულა, არ ვარ საჭირო/ უკანასკნელი, ქალაქს შევერჩი, როგორც მძევალი/ და მის ქუჩებში, დღეს რომ საღამე ფეხი გაჭიმო, /არავინ იცყვის: ეს ხომ გოგი ქელივიძე არი!./ არადა, შეილო ნუ ჩამითვლი ამ სიცყვეს კევხნაღ/ დრო იყო ქალაქს ამშვენებდა ჩემი კაცობა.../ მამაჩემივით, რუსთაველზე მე ვდგავარ ეხლა/ და უცუდი, იქნებ გაიაროს ვინმე ნაცნობა?!

## მე და მინჟურა

1925 წელს დავიბადა (ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ). სკოლაში 1931 წელს შევედი (ეს იყო ბოლშევიკური რეპრესიების დასაწყისი). სკოლა დავათმავრე 1941 წელს (როცა ომი დაიწყო). ლექსების პირველი წიგნი კი 1952 წელს გამოვიდა (ერთი წლით ადრე სტალინის გარდაცვალებამდე). ახლა როცა ამ ჩემს „მთავარ წიგნს“ ვწერ, 74 წლისა ვარ...

1925 წლიდან 1952 წლამდე, ჩემი დაბადებიდან პირველი წიგნის გამოსვლამდე, „პიროვნების კულტის“ (ანუ, როგორც რუსები ამბობენ, „სტალინშჩინის“) პირობებში ჩამოყალიბდი მოქალაქედ და პოეტად...

მე მაგონდება ბავშვობა ჩემი: დედა. ნაძვის ხე. ქუთურუშა. „ბრემი“. სკოლა. წიგნები. ისევ წიგნები. წაითხულ დღეთა ათასი გომი... მოულოდნელი *ოცნაზილმეტი* და მეორე - *ომი*.

ამ გამარტივებულ, სქემამდე დაყვანილ ლექსში ჩემი ბავშვობისა და სიყრმის ნიშანსევტები ჩამოთვლილი: დედა - პირველი სასწაული, საახალწლო ნაძვის ხე - პირველი სიხარული, ქუთურუშა - პირველი განსაცდელი და ბრემის სურათებიანი „ცხოველთა სამყარო“ (პირველი წიგნი, რომელსაც მხოლოდ ვათვალღერებდი). მერმე იყო სკოლა, წიგნები, ისევ წიგნები, ე. ი. სულიერი საზრდო, რომლის მაღლი სიბერემდე გამყვაც; ამის შემდეგ კი დაღვა ჩემთვის მოულოდნელი

ოცდანიმეტი წელი თავისი შიშით, მწუხარებით, რეპრესიებით და ბოლოს დაიწყო ომი, რამაც წერტილი დაუსვა ჩემს ბავშვობასა და ყრმობას!..

ჩვენს ემში ერთადერთ ორსართულიან სახლში ჩვენ ვცხოვრობდით და არ ვიცი, რაგომ, - იქნებ იმიგომ, რომ მეორე სართული გვეკავა ან იმიგომ, რომ ინგლისელები ვიყავით, ემში მცხოვრები რუსები, ქურთები სომხები და თათრები, „ბურკუებს“ გვეძახებდნენ. მაშინ არ შესმოდა, რაგომ ვიყავით „ბურკუები“ (ბინა ჩვეულებრივი გექონდა, არც შეძლებით გამოვიჩრდილო). მოგვიანებით კი, გავიგე, რომ თურმე იმ დროს, 30-იანი წლებში, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ხანაში, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში, ჩვენ, „ინგლისელები“, ქვეყნის უკანონო შეილებად ვითვლებოდით...

აღბათ, მაშინვე, იმ „კლასობრივი ანტიგონიზმის“ გამო, რასაც ჩვენს მიმართ მეზობლები იჩენდნენ, ჩემში ობობასავით შიში ჩასახლდა და დროთა განმავლობაში ამ „ობობამ“ ფართოდ გაშალა თავისი ქსელი...

მასხოვს, სკოლიდან დაბრუნებული ფეხაკრებით მივიპარებოდი ჩვენი სახლის კიბეზე, რომლის ქვეშ მიწურ-იბაკიანი სარდაფში ერთი აისორი ცხოვრობდა. იგი სულ კარგუმითა და გალიფე-შარვლით დადიოდა, გვიან დამით მიდიოდა სამსახურში, გათენებისას ბრუნდებოდა და, როგორც მეზობლები ამობდნენ, „იმ დაწვესებულებაში“ მუშაობდა. აისორისას ყველას ეშინოდა, მე კი, პაგარას რატომღაც მეგონა, რომ ეს კაცი მამაჩემს დაიჭერდა და თავისი სარდაფიდან ჩვენს ბინაში გადმოსახლებოდა... 1938 წელს მამა მართლაც დააპატიმრეს.

ლექსების წერა, ადრე დაიწყო, 14-15 წლის ასაკში. ჩემი პირველი სათაყვანო პოეტი გალაკიონ ტაბიძე იყო. გატაკებით უკითხულობდი გიციანისა და პაოლოს აკრძალულ ლექსებს. ყველაზე მეტად კი „დეკადენტ“ ტერენტი გრანელი მომწონდა, რომლის პატარა წიგნი მოხუცმა ხარკომ ვარდლისპეღმა მანუქა და მიითხრა: ეს არის, რასაც ლექსი ჰქვია. იკითხე და ისწავლეო... მაგრამ ჩემი „უნივერსიტეტების“ სია ამით არ ამოიწურება. რუსული ენა ბავშვობიდანვე ვიცოდი, ამგომ იმ ოსტატებს შორის, ვინც პოეზია შემაყვარა და ლექსის წერა დამაწყობინა, პუშკინი, ბლოკი, ესენინი, შეძვეცი, კი, ასაკში

რომ შევედი - გიუტჩევი, პასტერნაკი და ანა ახმატოვა იყვნენ. ამ ქართველმა და რუსმა პოეტებმა გააფართოვეს ჩემი თვალსაწიერი, დახვეწეს გემოვნება და, რაც მთავარია, სრულყოფისკენ სწრაფვის სურვილი ჩამინერგეს!..

სკოლაში საბჭოთა პოეზიის პროგრამა ძირითადად „დეკადენტ“ ლექსებისგან შედგებოდა. გალაკიონის „მერი“, „ვეფხურა“ ან „დედო ღვთისაჲ, მშო მარიამ!“ ჩვენთვის არავის უსწავლებია და, თუ მასწავლებელი გავკრით ახსენებდა ამ შედეგებს, უმაღვე შეგვატყობინებდა მაშინდელი „წამყვანი“ კრიტიკოსების: ვლენგის, რადიანის, ჭილაიას და სხვათა შეხედულებებს გალაკიონის „დეკადენტური პირველი პერიოდისა“ და „საბჭოთა ხალხისთვის მიუღებელი პესიმინიზმის“ შესახებ... სამაგიეროდ, დღემდე მასხოვს „დროშები ჩქარა!“, „კოლექტივო, მხარამხარს!“ და უფროსი კლასის პროგრამაში შეტანილი პაროდიული ლექსი:

სტალინი ბეღალია და  
მხატვარი უღიადესი,  
ქარტიით გააღიდა  
გმა ნაჭვილი და ნათესი...

პატივებს ვთხოვ გალაკიონის ნათელსულს ამ უკადრისი სტრიქონების გახსენებისთვის, მაგრამ, დემერო, რუსული, მათი ირონიული ბუნება მაშინაც ცხადი იყო ჩემთვის და ახლაც ეჭვს არ იწვევს! მაღლობს ვუთვლი ოსტატს, რომ მან ამ სტრიქონებით სახობგო პოეზიის უნაყოფობაც და პოეზიის, როგორც უკუდმართობასთან ბრძოლის იარაღის, უსაძვრო შესაძლებლობაც დამანახა! (დიდად საწყენია, რომ გალაკიონის მკვლევართა შორის არავის მიუხედავად ვერაღებია, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მის შემოქმედლებაში დაფარული ირონიას და სარკამუს. გავიხსენით თუნდაც: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ ან კიდევ: „არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო“ და სხვა)...

სანამ მწერლობა კავშირში მიმიღებდნენ, სკოლის ეკლდებში, მერმე კი უნივერსიტეტში და სამხატვრო აკადემიაში ისეთ ლექსებს ვწერდი, მათი საჯაროდ წაკითხვა სამიში იყო. იმ 30-იან და 40-იან წლებში ადამიანური ფიქრისა და გრძნობის გამოხატვა, (რასაც „სუბიექტივიზმი“ და „აპოლიტიკურობა“ ერქვა!) სახელმწიფო, პოლიტიკურ დანა-

შაულად ითვლებოდა. ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ, ყოველ სიტყვაში „კრამოლას“ ეძებდნენ (ცნობილია, როცა სტალინიმა ერთხელ იკითხა: გერონტი ქიქოძე რას აკეთებოდა და უპასუხეს: საკუთარს არააფერს წერს, მხოლოდ თარგმნის; ხალხთა ბუღალმა წარბი შეიკრა და ჩაილაპარაკა: მამასა-ღამე, საბჭოთა ხელისუფლება არ მოსწონს).

და მაინც, მიუხედავად სიძნელეებისა, მწერალთა კავშირში მიმიღეს. 1946 წლის ერთ მშვენიერ დღეს კავშირის მამინდელმა თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა (ინტელიგენციის დიდმა ქომაგმა) სამგორში წამიყვანა, იქაური არხის მშენებლობა მაჩვენა, რაღაც-რაღაცები მიამბო და ფაქტურად „შთაბავროს“ პირველად ჩემს ცხოვრებაში მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ლექსის დაწერა! მერმე ბაკონმა სიმონმა ეს ლექსი, „სამგორი“, ჩემს სხვა ლექსებთან ერთად „ლიტერატურულ საქართველოში“, გამოაქვეყნა და ამ ერთადერთი და პირველი საგამეოთა პუბლიკაციის საფუძველზე 21 წლის ბიჭი კავშირში მიმიღო...

რაკი ლექსი „სამგორი“ ვახსენე, რამდენიმე სიტყვა ამგვარ „იდეურ“ ლექსებზე, ანუ „პარავოზებზე“ მინდა მოგახსენოთ. „პარავოზებს“ ჩვენ, ახალგაზრდები, ბუღალზე, პარტიამე, კომუნისტის მშენებლობაზე და სხვა ოფიციალურ თემებზე დაწერილ ლექსებს ვეძახდით! მათ გარეშე წიგნის გამოცემა ან პრესაში ლექსების გამოქვეყნება შეუძლებელი იყო. ასეთი ლექსი იმ დროს ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“ წარმოადგენდა, რომელიც მთავრობის თვალში პოეტის პოლიტიკურ „ლოიალობას“ ადასტურებდა... ცხადია, ამ პირობებში გამოცემული წიგნი პირველი იქნა (1952 წელს) თითქმის მთლიანად „პარავოზებისგან“ შედგენილი: იმ უღლეური კრებულის გამოსვლამ მაშინვე მაფიქრებინა, რომ საბჭოთა კავშირში მწერლის „პირველი“ წიგნი ის კი არ არის, ყველაზე ადრე რომ გამოიცა; ცენზურის შეტყობილი „სიფხიმლის“ გამო მწერალი თავის „პირველ“ წიგნს შეიძლება მეორე, მესამე და მოგვიერ უკანასკნელი გამოცემის დროს ეღაროს! ამის დასტური ახლა, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში ბევრია: პაოლოს, გიციანის, გერენგის გრანელის და თუნდაც ივივე გალაკტიონის (რუსეთში კი ბულგაკოვის, პლაგონოვის, სლუცკის და სხვთა) ფაქტო-

ბრივად ნამდვილი პირველი წიგნები მხოლოდ ახლა გამოდის...

„მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“, - უთქვამს პოეტს და ჩემს მრწამსზე ყოველთვის ეს იყო.

სიმართლის მსახურება კიმივე გვირთია, იგი ნიჭსა და გაბედულობას მოითხოვს. მწერალმა (თუ ის ნამდვილი მწერალია!) მკვლევარვით უნდა აღმოაჩინოს ცხოვრების წიაღში დამალული სიმართლე და, თავისი ნიჭის შესაბამისად, რა ძნელი და სასიფთოე უნდა იყოს, ხალხს უთხრას, მწერლის საქმე უპირატესად „აღმოჩენა“ და არა მხატვრული ფაქტობაა! მახსოვს, ჩემს ვითომ „პირველ“ წიგნში სულ 15 ლექსი შევიდა (მეტი „პარავოზი“ არ გამაჩნდა!), საწერი მაგიდა კი გამოტენილი მქონდა „უკრის პაკამრების“ ხელნაწერებით, რომელთა შორის ჩემთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი სამი ლექსი იყო: „სევდიანი ბალადა“, „მოგზაურობა „აღთქმულ ქვეყანაში“ და „ჩემი თაობა“...

რომელ პოეტს იუვენალიუსს უთქვამს „ლექსს განრისხება ბაღებსო. მე კი მგონია, შთავოვნების პირველი ბიჭვი აკრძალული სიმართლის თქმის სურვილია...

„სევდიანი ბალადაში“ ასეთი აშმაკი გადმოცემული: პაკიმარს გამოძიებულმა დაკითხვის დროს - ძალით თუ მოგყუებით, - ყალბი ჩვენება დააწერინა. შეიგნო რა ეს, კაცმა თავი მოიკლა. უფრო სწორად, თავის თავში ის „მეორე“ მოჰკლა, ვინც სისუსტე გამოიჩინა და უშეგობა ჩაიბინა... ამ ლექსს რომ ეწერდი, „ოცდაჩვიდმეტის“ ამბებზე ვფიქრობდი და თვალწინ ჩემი სათაყვანო ქართველ პოეტი პაოლო მედგა... დანარჩენი ორი ლექსი, უმჯობესია, თავად წაიკითხოთ:

### მოგზაურობა „აღთქმულ ქვეყანაში“

ფანჯრები გირიან ირიბი ცრემლებით, ვიდაცა გულისჯავრს პაპიროსს აყოლებს. დნავიან ბაღები და მატარებელი „აღთქმული ქვეყნისკენ“ ყველას

მიგვაქროლებს. დახუთულ ვაგონში ძნელია მგზავრობა და უკვე დაირღვა მგზავრების ერთობა: ვიდაცა არაყს სვამს, ვიდაცა ბარათს წერს,



ვიდაცა შემთხვევით ჩამოგვრჩა ბაქანზე და ყველა შეძლებისდაგვარად ერთობა! ვაგონის გამყოლნი (იციან, ვინცა ვართ!) მგზავრებს გვამშვიდებენ: ნუ ხართ!

მწყრალები!

აიმ მთას გავედებით თუ არა, იქიდან გამოჩნდებიანო, - ყველაფერს

ვიოქვართ! -

„აღთქმული მიწა-წყლის“ მათია

მწვერვალები!

მგზავრებს კი არ გვეოფნის შეგი

მთომინება,

რადგანაც პაერი საოცრად მძიძეა (ამასთან დღიით-ღღე იმრღება ხარჯები!) და უკვე ვიდაცა მწარედ ეცინება, და უკვე ვიდაცა ჩუმაღ იცინება და წვიმის ცრემლებით გირიან ფანჯრები...

### ჩემი თაობა

ჩვენ ყოველ ღამის ვაილებით ოხვრით და ყოველ ოხვრას ღამილით ვამკობთ. გავვიტკბა ყოფნა ასე, ქედმოხრით, - არაფერს ვაბობთ!

მიყვებით ქუჩებს კუსტად, დარცხვნიით, არ ვიცით, რომელ ღმერთს ვუპიაროთ. ერთია ჩვენთვის - მარჯვნივ თუ მარცხნივ, ოღონდ ვიაროთ!

ვიაროთ! ქარი გავაპოთ მკერდით, უამინდობა ფიქრს შევადაროთ, ცას ჩამოვწყვიტოთ ვარსკვლავი ერთი და სიკვდილამდე უბით ვატაროთ!

ბუერი რამ მსურდა ამ ლექსებით მეთქვა! მათში ჩემი წუხილიც იყო, აღმფოთებაც უსამართლოდ დასჯილი ხალხის გამო, პროტესტი მოძალადეთა წინააღმდეგ და, რაც მთავარია, ყალბი ლომუნგებითა და ფუყე დაპირებებით გაბრუნებული ჩემი თაობის უკმაყოფილება. მსურდა გამომეხატა ყოველივე ის, რასაც სხვებიც ხელავდნენ, სხვებიც განიცდიდნენ, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდნენ! დავწერე ეს ლექსები და... შემეშინდა! იმდენად შემეშინდა, მე თვითონვე გამოვეტახე განაჩენი ხელნაწერს და უჯრაში დავაშწყვიდე (როგორც მაშინ შეგონა - სამუდამოდ!).

გავიდა დრო. გარდაიცვალა სგაღინი.

ოდნავ განიმუხტა დაძმომებული პაერი, მაგრამ ხალხის ცხოვრება მაინცდამაინც არ შეცვლილა: ქვეყნის მართვის მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სტილი დარჩა. „ბელადომანია“ ხრუშჩოვსაც შეეყვარა და დაიწყო ის, რასაც ახლა „ვოლუნტარიზმის“ პერიოდს უწოდებენ.

ამ დროს ლიგერატურაში რამდენიმე მართალი და მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამოჩნდა. მაგრამ ეს საფუძველს არ იძლეოდა მედმეტი სითამამისთვის (აქვე მინდა შევნიშნო, რომ ლიგერატურულ ამინდს საბჭოთა კავშირში რუსეთი ქმნიდა და ამიტომ მავალითები რუსული ლიგერატურიდან მომყავეს). თვით გვარდლოვსკიმაც კი ვერ შეძლო მაშინ თავისი დიდებული „გასილი გიორკინის“ მეორე ნაწილის გამოქვეყნება და შეეწირა „სოვი მირში“ რედაქტორულ მიღვაწეობას. ასეთივე ბედი ეწიათ ა. იაშინს, ე. გროსმანს, ელ. ლუდინცევს, ა. ბუკს... საკმაოდისია გავისხვნიით რომ სწორედ ამ ხანებში (60-იანი წლების ბოლოს) „დააპატიმრეს“ ვასილ გროსმანის რომანი „ცხოვრება და ბედისწერა“ და ეს ეპოქალური ნაწარმოები მხოლოდ ახლა, ამდენი წლის შემდეგ გამოქვეყნდა!

ყოველივე ამის მომსწრე (მაშინ მოსკოვში ცხოვრობდი), მეც, რასაკვირველია, ვერ ვბედავი ჩემი „უჯრის პატიმრების“ განთავისუფლებას, არადა, სწორედ ამ დროს გამოიმეძლობა „საბჭოთა საქართველოში“ ჩემი კრებული მშადღებობა, სადაც ჩემს საკუთარ ლექსებთან ერთად ფედერიკო გარსია ლორკას თარგმანების შეგანასაც ვაპირებდი და... იმდენად ძლიერი იყო ჩემში „უჯრაში დააპატიმრებული“ ლექსების ბუგდის სურვილი, ისე ძლიერ მინდობდა შენახა გინოგრაფიული წესით აწყობილი ეს ჩემი „სულის ყვილი“, რომ აუღქე და რედაქტორს გამოეუგვანე მოსკოვიდან, თან შევეუთავლე; ეს ლექსებიც თარგმანებია, მათი ავტორი თანამედროვე ესპანელი პოეტი ბლას დე ოგეროთა-მუიტი (ასეთი მწერალი მართლა არსებობდა ფრანკისტულ ესპანეთში, მაგრამ მე მის პოეზიას სრულებით არ ვიცნობდი)... წიგნი გამოვიდა. იმ ზანყოფილებაში, „ესპანური მოციგვი“ რომ ჰქვია, ლორკას თარგმანების გვერდით, „ბლას დე ოგეროს“ ავტორობით ჩემი საკუთარი ლექსებია დაბეჭდილი! ხოლო ესპანელი პოეტის სახელს



სქოლიოში ასეთი განმარტება აქვს: „ბლას დე ოტერო - ანტიფაშისტის პოეტი, ფრანკოს სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლი!“

მე უკვე ვახსენე „პარაოზები“, რომლებსაც პოეტები ორთქლშავლებივით აბამდნენ ლექსების შემადგენლობას, რომ ისინი ჟურნალ-გამოთვებში ან წიგნებში „გაერთიანდებიან“. ცენტრის თვალის ასახვევად სხვა ხერხებსაც მიმართავდნენ: ე. წ. „ემოქს ენას“ ანუ ქარავაგულ ნათქვამს, ანდა სათაურს უცვლიდნენ ლექსს, რომ მასში ჩადებული ამრი შეენიღებოთ.

ასეთ იღვთებს იყენებდნენ ჩვენი ნამღვილი პოეტები არა მარტო „პიროვნების კულტის“ წლებში, არამედ „ეოლუნტარიზმისა“ და „უძრაობის“ ხანაშიც: მაგალითად მამაჩემის დაპატიმრებისთან დაკავშირებულ ლექსს თავდაპირველად „1937“ დავარქვი, მაგრამ როცა დაბეჭდვაზე მიდგა საქმე, იძულებული ვაყავი, ნამღვილი სათაური ნეიტრალური „შემოდგომის სიმღერით“ შემიცვალა...

ეს აღსარებაა და უნდა ვაღიარო, რომ ჩემდა სამარცხვინოდ, შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მეც არა ერთხელ ავეყოლივარ ჩემი დამფრთხალი „შინაზანი რედაქტორის“ (გვარდოვსკის ტერმინია) კარნახს და სხვადასხვაგვარი „კომპრომისები“ ჩამიდინა.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1. სამამულო ომზე დაწერილ ლექსს, სადაც უპოზო მსხვერპლის ფასად მოპოვებული გამარჯვება გრადიკულ ფერებში მაქვს დახატული, წარწერა ფრანსისკო გოიას სურათზე“ დავარქვი... გოია, რასაკვირველია, არაფერ შეაშია, მაგრამ სხვანაირად ლექსი არ დაბეჭდებოდა.

2. პიროვნული თავისუფლების საღიღებელ მონოლოგს („ხელში კვერთხივით მიჭირავს ჯოხი, წელზე მარცხია სელის ბაწარი, მე ტყვეში მიღვას პაგარა ქოხი - თავისუფლების დანი გაძმარი“) სათაურად „პანი“ წაუქმდვარე და ბუნების წარმართულ ღვთაებას მივაწერე ჩემი ფიქრები და გრძნობები!

3. ჩემი უკმაყოფილება არსებულით, პირველ რიგში კი საკუთარი ხვედრით, ჩემი სინანული გატყვებული იმედების გამო არც ერთი ლექსში არ გამომითქვამს ისეთი პირდაპირობითა და სიმძაფრით, როგორც „ბარათამფილის მონოლოგში“! ალბათ,

იკითხა: რატომ მივაწერე ბარათამფილის ჩემი გულისნაღები? ეს კითხვა მაშინდელი ლიგურატურული გაზთვის რედაქტორს უნდა დავუსვით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაბეჭდავდა ასეთ „პესიმისტურ“ ნაწარმოებს, მისი ლირიკული გმირი საბჭოთა აღამიანი, მიხედვით ქვლივიძე რომ ყოფილიყო! ცნობებულ ბარათამფილს კი დავეჭვებოდა და სინანული ეპატიებოდა - ის ხომ ცარიზმის შავებულ ეპოქაში ცხოვრობდა და მას შეეძლო ეთქვა:

ვერ გადავაქციე ცხოვრებად სიცოცხლე და ცის ქვეშ ვერ ვნახე საჩემო ადგილი!..

4. რა დაამავა მეფის მთავრობის მიერ გაციმბირებულმა ჭოლა ლომთათიძემ, რომ მას მივაწერე რუსეთში ცხოვრებით გამოწვეული ჩემი ნოსტალგიური სევდა?

აქ ეა ჩვარსა მგავს - ფეხის ვასაწმენდს, რომ დაუვლიათ საღაღე კარებში.

ნუთუ ბუნება ასე ვასწავლეს იმ შენს დიდებულ ქართულ მხარეში? ნუთუ იმისთვის ფურცლავი საბას და გული სიგვეის ეშხი დნებოდა, რომ თოვლის ქურქში ვახვეულ არბაგს შენი „მდრავსკეუჯგე“ არ დაჰკლებოდა?!

5. ან რატომ დავარქვი ერთ ლექსს „პიპების“ სიმღერა? სად არიან ჩვენში „პიპები“? არადა, ეს ლექსი ხომ ჩვენს სინამდვილეზეა დაწერილი იმ მომაკვინებელი „უძრაობის“ წლებში, როცა ქვეყანას „მაღალია მემლიას“ ბელოვლათი ავტორი მართავდა:

წუთისოფელი... წუთისოფელი... მანქანას მართავს ცული შოფერი! აღარც კაცი და არც უფალი, არც უფლება აქვს და არც წოდება განწირულია დასაღუპავად და აღარავინ არ ეცოდება!..

6. ან ეს რაა - ლექსების ციკლი საერთო სათაურით „უცხოეთის ცის ქვეშ“? განა მე კაპიტალისტურ ქვეყნებში მიცხოვრია? ანდა რატომ აქვს ლექსს „ფერწასული კაციები“ ასეთი ეპიგრაფი: „ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეოდალური ბიუროს აგენტების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა“-ო? განა ჩვენში ცოტანი იყვნენ „ფერწასული კაციები“,

„ღამღამობით რომ გულმოდგინედ წერდნენ ბარათებს და სადაც ჯერ არს, ვისაც ჯერ არს, აწვდიდნენ ცნობებს“?! ამ მწარე სიმაართლის თქმა მხოლოდ შენიღბული სახით შეიძლება.

7. ყველას გვახსოვს, რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს. მთელი საქართველო შეძრა მტკვრის სანაპიროზე მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ, მაგრამ ხმა არავის ამოუღია, ხალხს ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყო!.. მე მაშინ ლექსი დავწერე, წარმოიდგინეთ, გამოვაქვეყნე კიდეც, მაგრამ... შოი, სირცხვილო! ლექსს „პუშკინის მონოლოგი“ დავარქე და მეტი „ღამაჯერებლობისთვის“ პუშკინის ეპიგრავიცი წავუძღვარე, სადაც „დეკაბრისტების“ დახვრეტამე იყო ლაპარაკი...

8. ლექსი „გაგრძელება იქნება“ 60-იან წლებში დავწერე. იქ ასეთი სტრიქონებია:

...და მიემღეება საკადრისი კეთილს და  
ბოროტს,  
და მოელება ბოლო ყოყმანს და გაორებას,  
და საკმარისი აღმონნდება სტრიქონი  
მხოლოდ,  
ერთი მართალი, გაბედული სტრიქონი  
მხოლოდ,  
რომ გამართლება მონებას კაცის  
ცხოვრებას!

სწორედ ეს ტაქტი ამოიღო ცენზურამ ჩემი ლექსიდან და მე აღვადგინე იგი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც „ამერიკის ხმამ“ რადიოში საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საქართველოში ცენზურა სიგყვა „სიმართლეს“ ებრძვის იმ დროს, როცა სსრკ-ს ცენტრალურ გამგეთს „პრაგმა“ ჰქვია!

9. იოლი საქმეა ლექსის სათაურის შეცვლა ან უსათაურო ლექსის ქარაგმულად დასათაურება, მაგრამ ამ ხერხს შეუძლია არა მარტო ცენზორსაც აუხვიოს თვალი, არამედ მკითხველიც დააბნოს. ერთი ჩემი ლექსი მინდა გავიხსენო:

სულ დამნაშავედ რატომღაც მთელი და  
გაშუერილი მაქვს შენკენ კისერი.  
მე ვიცი ჩემთვის სიკეთე გინდა,  
მაგრამ - როგორი? ნუთუ ისეთი,  
უსახარულოდ რომ დამაბერებს,  
ცხოვრების ხეზე შემახმობს კვირგად, -

არც გამაცინებს და არც მამღერებს  
როგორც მინდა და როდესაც მინდა?!  
მე კი მოკეთეს ისეთი ვინაგრი  
(ამბს, მგონია, ყველა ინაგრებს!),  
ვინც უკუყარი სულის სინათლით  
თვალს კი არ მომჭრის, გზას გამინათებს;  
ისეთი მივიღებ და შევიფერებ  
უუნაშესი სულის ფერებით,  
რომელიც არ „გამაბედნიერებს“  
იძულებითი ბედნიერებით!

ეს ლექსი საბჭოთა ხელისუფლების დამორგუნველი ძალის წინააღმდეგ არის მიმართული, მოქალაქეთა ბედს რომ განაგებს, აქ დამონებული დამაინანის პროტესტია გამოთქმული... თვითღან ლექსი უსათაურო იყო, ვფიქრობდი: მკითხველი ისედაც მიხვდება - ვის და რას ვუბნები. მაგრამ მე რე, როცა რედაქციაში მივიგანე, მეცისმეცი „სიფრთხილე“ გამოვიჩინე და ლექსს მიძღვნიით სათაური გავუკეთე „N-ს“ და უცებ ყველაფერი შეიკვალა: გამოვიდა ისე, თითქოს ვიღაც კონკრეტულ პიროვნებას (კერძოდ ქალს) ვგულისხმობდი, ვინც დამიმონა, თავის ნებაზე მათამაშებს და თან მარწმუნებს ბედნიერი ხარო!.. ამ ლექსს ახლა, ახალ წიგნში, „ჩემს ხელისუფალს“ ჰქვია.

10. სათაური განუყრელი ნაწილია ლექსისა და გავლენას ახდენს ნაწარმოების აღქმამზე. საერთოდ, ხელოვნების ნაწარმოებში ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს, ხშირად - გადაამწყვეტიც. ეს კარგად იციან პოეტებმაც და მათი წიგნების „მედაზმედეველებამ“. ჩემს ლექსში „ავტოპორტრეტი“ ასეთი სტრიქონებია:

რა დროს ლექსებია, რა დროს ლაქლაქია,  
როს თავზე გვექცევა დამპალი ყავარი?  
დღეს კაცი ფასდება მარტოდენ საქმით  
და  
საქმეა, საქმეა, საქმეა მთავარი!

გამომცემლობაში, წიგნის გავლის რომელიც ეგამე, ერთ-ერთმა „მედაზმედეველმა“ სიგყვა „როს“ მაგვირად, „რომ“ ჩასვა და გამოვიდა, თითქოს მე ვამბობდე: ნუ ლაქლაქებთ იმაზე, რომ თავზე გვექცევა დამპალი ყავარი, როცა სინამდვილეში სულ სხვას ვამბობ: რა დროს ლაქლაქია, როდესაც თავზე დამპალი ყავარი გვექცევა-მეთქი!..

ჭკვიან და განათლებულ ადამიანთან, - ცენზორი იქნება თუ წიგნის რედაქტორი, - ყოველთვის სასიამოვნოა ურთიერთობა, მაგრამ... აღარ მახსოვს ახლა „კოლუნგარიზმის“ პერიოდში იყო თუ „უძრავობის ხანაში“, ერთ ჩემს კრებულში ასეთი მინიატურა შევიტანე: „ბოლო დროს ძახილის ნიშანი შევიძულე. ჩემი ნება რომ იყოს, გაგაუქმებდი, მაგრამ ამით რა შეიცვლება?“ დიდი არაფერი მითქვამს: ყალბი პათოსისა და მყვირალა ლოზუნგების წინააღმდეგ გავილაშქრე. წიგნი გააჩერეს, მინიატურის ამოღება მოითხოვეს. მივედი, სადაც საჭიროა და ვეკითხები ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე მდგარ მოხელეს: „რაგომ უნდა ამოვიღო?“ - იმიგომ, - მუუბნება ცენზორი, რომ თქვენი მინიატურა ისეთ შინაბეჭდილებას გოვებს, თითქოს თქვენ ჩვენი პროლეტარული ლოზუნგის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“-ის წინააღმდეგი ხართო! დიდება, შენდა ღმერთო!

ყველა დროისა და ეპოქის კარგი მწერალი ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მკაფიოდ და გასაგებად ეთქვა ის მთავარი, რისთვისაც იწერება ნაწარმოები. ჩვენი კარგი მწერლები კი წლების მანძილზე მთელ თავის ნიჭს და ენერგიას იმას ანდობდნენ, რაც შეიძლება საიმედოდ შეენიღბათ მთავარი სათქმელი. თან მიამიგდა სჯეროდათ: მკითხველი თვითონ გაშიფრავს ქარაგმას და მიხვდება, რისი თქმა (ან დაშალვა) უნდოდა ავტორს!.. მაგრამ, საბუნდობლოდ, შენიღბება ყოველთვის საჭირო არ იყო - ცენზორებიც გყუდებოდნენ და მაშინ ასეთი სტრიქონებიც იბეჭდებოდა:

„დაკვირვებისხარო, მეგობრებო, მელსართავ სახელს: /არსებით სახელს როგორ უცვლის ამრსა და სახეს?! წარმოთქვამს კაცი, მაგალითად: „რა მშვიდი მღვაჲ“, /სიგყვა „მშვიდს“ შეეცვლით „მღელვარეთი“ და... უკვე სხვაჲ/ და უკვე ნაპირს ეხეთქება გალღა ველური /და გალღის ხმაში ისმის წყველა და საყვედური!./ ან, მაგალითად რომელიმე მოღვაწის სახელს /დაუმატებენ ჩვეულებრივ მელსართავ სახელს /და იგი, ვინაჲ „დედაენას“ კითხულობს ძნელად/ „განათლებლა“ და „სწავლულ“ კაცად იქცევა ხელათ!./ მელსართავ სახელს შეუძლია ყველაფრის შეცვლა, /მის ნება-სურვილს ექმონებით მეცა

და შენცა/ განუეთხავე მბრძანებელის უფლებით მოხილს, /მას არც სიმართლე, არც გყუილი ეუცხოება: /თუ მოისურვა, შეუძლია კალმის ერთ მოსმით/ გადააქციოს „სა-ამურად“ ჩვენი ცხოვრება!./ მაგრამ მთავარი „მელსართავი“ მაინც არ არი: /საქმე ისაა, ვის უკვრავს ხელში კალამი?“

ამ ლექსს „გრაზატიკული საკვირველებანი“ ჰქვია. ღმერთმა ქნას, სიმართლის თქმა პოეტს ბუნებრივ მოთხოვნილებად ექცეს, რადგან სიმართლე არსობის პურივით სჭირდება ადამიანს!

## მე და მწერალთა კავშირი

უკვე ვიამბეთ, რა როლი ითამაშა საქართველოს მწერალთა კავშირმა მოსკოვში ჩემი დაფუძნების, სამსახურში ჩადგომის საკითხში. დროთა ვითარებაში კონსულტაციის მოკალეობა მაძიებდა, - მინდოდა თუ არ მინდოდა, - კარგად გავცნობდი ჩვენს მწერლებს და მათ შემოქმედებას. ზოგიერთი მათგანი დაამიახლოვდა კიდეც, მაგრამ გადაჭრით შემძიდა ვიქვ: თბილისელ კოლეგებს შორის მეგობარი არასდროს მყოლია (თუ არ ჩათვლით ქუთაისელ ოთარ მამფორიას, მოსკოვში ლიგერატურულ კურსებზე რომ სწავლობდა და ვასტანგ ჯავახიძეს, რომელიც თბილისის გამომცემლობებში ჩემს წიგნებს მეურევდა). დიდ პატივს ეცემდი ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ კვინიძე, რემო ჭეიშვილი, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არ იყვნენ, - მათთან მხოლოდ მკითხველის ინტერესი, ლიგერატურის სიყვარული მაკავშირებდა...

ძალიან საინტერესო, რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება იყო ირაკლი აბაშიძე - პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე („თავმჯდომარე“, თუნდაც იმ გაგებით, რომ მამინდლი გოგალიგარული რეჟიმის პირობებში, „თავს აჯდა“ ქართველ მწერლებს და ერთპიროვნულად განაგებდა მწერლობის საქმეს).

ჩემი ურთიერთობა, უფრო სწორად დაპირისპირება ირაკლი აბაშიძესთან უნივერსიტეტში გაპართული პოეზიის სადამოს შემდეგ დაიწყო, სადაც ირაკლიმ თავისი ცნობილი

„ხმა კაგამონთან“ წაიკითხა. აბაშიძის პაგ-  
როიტულმა ლექსმა აღაფრთოვანა სკულენ-  
გები, ტაშისცემა დიდხანს არ წყდებოდა.  
ამის შემდეგ მე გამოვედი და - არც ვაციე,  
არც ვაცხელე. - ჩემი „აბსუხი ირაკლი აბა-  
შიძის“ ვგლიჯე:

მამ, შენ ამბობ, რომ არ პყოლია მგრები  
რუსთაველს,  
არ გააქცივია სამშობლოდან  
სულთაშხუთავეს  
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის  
ბრაღია,  
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული  
დალია?!

.....  
არა! ქართველთა გზა როდია ასე იოლი,  
თვითმკვლელობაა დიდი საქმის ჩვენში  
დაწყება...  
სარკმელს გააღებს აძღვრული  
გალაკტიონი  
და ქვაფენილებს შურდულივით  
დაენარცხება!

ისეთი ქარიშხალი აგყდა დარბაზში, შემე-  
შინდა კიდევ. ტრიბუნიდან ჩამოსვლა არ  
მაკალეს, ახალგაზრდები მომცივიდნენ და  
ლამის ხელში ატარებულნი ჩემს ადგილზე  
დამაბრუნეს. მერმე სხვებმა წაიკითხეს  
ლექსები, მათ შორის მუხრანმაყ. იმასაც  
დიდი წარმატება ერგო. მერმე ბანკეტი გა-  
იმართა, სადაც ირაკლი აბაშიძე თამადაობდა,  
ყველანი მხიარულობდნენ, მხოლოდ თამადა  
იყო მოღუშული და დაეინებოთ რაღაცას  
ფიქრობდა... უცებ ადგა, წკაპი ხმაურით  
გასწია და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. მე  
მისგან მოშორებით, სუფრის ბოლოში ვიჯ-  
ექი, ალექსი გომიამშვილის გვერდით. ალექსი-  
მ გადმოჩურჩულა: ე, ბიჭო, მგონი შენთან  
მოდის, ცუდადაა შენი საქმეო! ირაკლი მურგ-  
იდან მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო  
ისე მძიმედ, რომ მობრუნების საშუალება  
არ მომცა და მითხრა: „მამ ჩემზე უკეთ  
გცოდნია რუსთაველის ამბავი?“ არა, ირა-  
კლი, - მშველად ვუპასუხე, თუმცა ველავდი.  
- უბრალოდ, შენ შენი ამრი გაქვს, მე  
ჩემებურად ვფიქრობ: რუსთაველი არავითარ  
უიმედო სიყვარულს არ გადაუხევევას, სახე-

ლმწიფო ინტრიგების მსხვერპლი ვახდა-მეო-  
ქი. ირაკიმ ამითობრა, მერმე, ვითომ მე-  
გობრულად, მაგრამ აშკარა მუქარით, კბილ-  
ებში გამოსკრა: პაგ, შე თათართო! და  
გამშორდა... ეს იყო პირველი „ხელთათმანის  
დაგდება“. ამას ჩვენი ხანგრძლივი დუელიც  
მოჰყვა.

მე ვედილობ, ყველაფერი თანამიმედვერუ-  
ლად გავიხსენო...

საქართველოს მწერალთა კავშირის თავ-  
მჯდომარე მოსკოვში იმყოფებოდა. კარგ  
გუნებაზე იყო. სამუშაო ბევრი არაფერი  
ქონდა, ხელფასი, პრივილეგიები და უფლ-  
ებები კი - განუსაზღვრელი. სასტუმრო „მო-  
სკოვის“ ლექსში ცხოვრობდა და თავის ნე-  
ბაზე დროს აგარებდა. სამუშაო დღის დამ-  
თავრების შემდეგ ზოგჯერ ლიგერატორთა  
კლუბში შევილიდა, ერთ ბოთლ ღვინოს  
დალევდა ვინმესთან ერთად, თან ჩემგან  
საჭირო ინფორმაციასაც მიიღებდა...

იმ დღეს ირაკლი ჩვეულებრივზე უფრო  
ნასიამოვნები გამოიყურებოდა. მაგიდას რომ  
მივუსხედით, ჩინებული სუფრა გაამლეგინა,  
ერთი ბოთლი ნაცვლად სამი მოატანინა,  
დარდმანდულად თვალი ჩამიკრა და მით-  
ხრა: მოდი მე და შენ ქუთაისურად მოვილხ-  
ინოთო! მეუ გამოვეცხადე, გავმხიარული,  
ქუთაისურად რომ ვთქვათ, „ავგინგიციო“  
და გადავწყვიტე, თავმჯდომარისთვის ჩემი  
ბოლოდროინდელი სიხარული გამეზიარე-  
ბინა. საქმე ის არის, რომ უბის ჯიბეში იგ-  
ალიაში გამოცემული საკუთარი ლექსების  
კრებული მეღო. ამოვიღე ეს წიგნი და  
ირაკლის გავწოდე: „აი, ნახე... ახლახან  
გამომიცხს“. ირაკიმ მეხედა, ჩემი გვარი  
ამოიკითხა და... ვინმე სხვას რომ ვთქვა,  
არაფრით დაგვიჯერებდა: გამაველა! დაიხ,  
სწორედ გამაველა! ფერმკრთალ ლოყებზე  
ჯერ სიწითლემ გადაურბინა, მერე სიწი-  
თლეს სილურჯე შეემატა და ბოლოს სახე  
მთლად იისფერი გაუხდა!..

სწრაფად ადგა და შევივლილი ხმით მით-  
ხრა (თან ხელი მუცელზე მოისვია): ცუდად  
ვარ, ალბათ, რაღაცამ მაწყინა... სასტუმროში  
წავალ, დავწვიმ, შენ, თუ გინდა, გაავრძე-  
ლეო! ირაკიმ მაგივამზე ფული დააგდო  
და წავიდა... მეც, რასაკვირველია, მივატოვე  
გაწყობილი სუფრა... დარწმუნებული ვიყავი,  
ჩვენი დუელის მორიგი რაუნდი უახლოეს  
ხანში შედგებოდა...

ამასობაში მოსკოვში ცხოვრება ჩემთვის სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ბინაც მქონდა, კარგი ხელფასიც, სახელიც და პოპულარობაც, მაგრამ ჩემი ქართველი მკითხველი არ მყავდა გვერდით და, რაც მთავარია, შვილები მირუსდებოდნენ!

ღმერთმა უწყის, რამდენი წერილი მივწერე საქართველოს მწერალთა კავშირს, პირადად ირაკლი აბაშიძეს: ვიხოვედი, ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, თბილისში დამაბრუნეთ-მეთქი, მხოლოდ რაიმე სამსახურიც მიმოვიძებნე, რომ ხელფასი მქონდეს და ოჯახი შევიხანხო... არავისგან პასუხი არ მიმიღია, - არც შეპირი, არც წერილობითი... რაში იყო საქმე? ნუთუ ისეთი უმაქნისი ვიყავი, რომ ჩემს ქვეყანას ვერაფერში გამოვიადგებოდი? ან იქნებ ვიღაცას ხელს არ აძლევდა ჩემი თბილისში დაბრუნება? რატომ? სასოწარკვეთილებამდე მისული ყველაფერში ირაკლი აბაშიძეს ვაღიანაშაულებდი: იგი საქართველოს თავკაცის ანუ. მეგავანაძის უახლოესი მეგობარი იყო, ყველაფერი მას ექვემდებარებოდა და თითოც არ გაუნძნევია, რომ დამხმარებოდა! მაინც რა კაცი იყო ირაკლი აბაშიძე? პოეტი, რომ იყო, ამაში ეჭვი არ შეპარებოდა. თან, ამავე დროს, მთავრობის ერთგული მსახურიც. შრომა და გარჯა არ უყვარდა; ერთადერთი, რაც შესანიშნავად იცოდა: შთაბეჭდილების მოხდენა! ამ ხელოვნებას შედმიწვევით ფლობდა! დროზე გაიყინებდა, დროზე გაიხუმრებდა, დროზე გაბრაზდებოდა... ერთი სიყვითი, ყველაფერს თავის დროზე და სადაც საჭიროა, აკეთებდა. მომხიბლავმა, ნიჭიერმა და იუმორით აღსავსე ხონელმა კაცმა, მე მგონი, ამით გაიკეთა კარიერა - ოღონდ საზოგადოებრივი და არა ლიტერატურული, რადგან მართლაც ნიჭიერი პოეტი იყო... საქართველოს მთავრობისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის თანამდებობები ეკავა და ორ სავარძელში ერთდროულად გამოვიძული... მწერლებისთვის არაფერს აკეთებდა! ლექსებსაც იშვიათად წერდა და თავის ნებაზე დროს აგარებდა! და კიდევ, როგორც გითხარით, ხალხზე, საზოგადოებაზე, თავის უფროსებზე და ქვეშევრდომებზე შთაბეჭდილებას ახდენდა! ძირითადად ეს იყო მისი „ამჟღავნება“... მაამებლები და მლიქვნელები არასდროს დაჰკლებია, ბევრი ემაღლიერებოდნენ: მისი პროტექციით საქართველოში არა ერთი

მინისტრი და რაიკომის მდივანი დაინიშნა (და მათი წყალობით, მის ოჯახს და მას თვითონ არაფერი აკლდა), მაგრამ ირაკლი მაინც, პირველ ყოვლისა პოეტი იყო და ყველა თავის თანამდებობას, წოდებას და შემოსავალსაც ლექსის ერთი გამართული სტრიქონი ერჩია! (ამას გულწრფელად ვამბობ, რადგან არ მიყვარდა ეს ადამიანი, თვალყურს ვადევნებდი და ამიტომ კარგად შევისწავლე). მისი პოეტური შურიანობაც აქედან გამომდინარებოდა (გახსოვთ ეპიზოდი მოსკოვის ლიტერატურთა სახლში?). დიდიომატიც იყო, თუმცა თავის საზოგადოებრივ პრესტიჟს მაინცდამაინც არ უფრთხილდებოდა: ანუ. მეგავანაძესთან მეგობრობდა, მასთან ჰქამდა, სვამდა, სანადიროდ დადიოდა, მზრგეს უკან ჯი დასცინოდა და მეტსახელად „ყვარყვარე“ შეარქვა, რაც მთელმა საქართველოში იცოდა...

არ მიყვარდა-მეთქი ირ. აბაშიძე, მაგრამ სიპართლეს ვერსად გავექცევი: ნამდვილი პოეტი იყო, (მარტო უხინთლო მამაზე დაწერილი ლექსი რად ღირდა ან იგივე „ხმა კატამონთან?“)...

ბედით განებიერებულ მწერლების თავმჯდომარეს მახვილ იუმორთან ერთად ცინიზმიც არ აკლდა. მწერალთა კავშირში, მისი კაბინეტის მოსაცდელ ოთახში მთხოვნელები არ ილევდნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ! ზოგს თანამდებობის მიღება სურდა, ზოგი „ვოლგის“ გამოყვანას თხოვდა, ზოგი უბედულეს სასწავლებელში შვილის მოწყობას, ზოგი ბინის მიღებას... ყველას რაღაც უნდოდა და ირაკლის შემწეობას თხოვდნენ. ისიც „საჭირო“ ხალხს ეხმარებოდა, იმათ კი, ვინც არაფერში გამოადგებოდა, ფუჭი დაპირებებით ისტუმრებდა. მაგრამ უარი რომ ეთქვა, ისე ეგყობა, მისთვის არც გააწილებდა და ნასიმოვანებს გაუმყვებდა. ყველაზე ძლიერი მისი იარაღი - ოხუნჯობა - მუდამ მომარჯვებული ჰქონდა! ერთი სასიერო ამაზვს მკვებოდნენ... ირაკლის მდივანმა მოახსენა: დიდიდან ვიღაც კაცი გულვლებათ, უკვე შესამედ მოდის და თუ მიიღებთ? „ვინ არის?“ - იკითხა ირაკლიმ. მამისთვის ვარო... მომიცადოსო! - ბრძანა თავმჯდომარემ. მიიღებთ, ბატონო? - შეეკითხა მდივანი. „არა!“ - უპასუხა ირაკლიმ...

ხანში შესული ირაკლი მაინც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა (მხოლოდ ხმა უღ-



ალაგა, ძლივს გასაგონად ლაპარაკობდა). ერთხელ თურმე ვიღაც ქალს გაარმიყვებია, კაბინეტში დამიბარგოხვდა და, როცა „ისემე“ დაუწირო, ქალმა შეიკვია: რას შერებთ, ბაგნო ირაკლი, ვინმემ რომ შეგიფოსო? „ნუ გეშინია, - დაამშვიდა ირაკლიმ, - ისე ვიზამ, შენ თვითონ ვერ გაიგვბ!“ სხვა შემთხვევაში ირაკლი მანქანის მაძიებელ ახალგაზრდას დაპირდა: „ვოლგას“ გამოგაყვანინებო, მისი თანდასწრებით მიწისგროსაკე დაურეკა და ელაპარაკა, ბიჭს კი უთხრა: წადი ამ კაცთან, ვისაც ახლა ველაპარაკე და ყველაფერს გაგიკეთებოს! ბიჭი წაივდა, მაგრამ ცოცა ხნის შემდეგ დაბრუნდა და მოახსენა: ის კაცი, თურმე, ერთი თვეა, საზღვარგარეთ იმყოფებაო! ირაკლის წარბივ არ შეუხრია: აბა, მე სად ველაპარაკეო!! მთხოვნელ იძენად დაიბნა, მადლობის შეგიველარაფერი უთხრა...

მოკლედ ასეთი კაცი იყო ჩვენი მწერლების „თავს მჯდომარე“ და განა ჩემთვის მოიყლიდა? ფეხებზე ვეკიდეთ მეცა და ჩემნაირი გაჭირებული ხალხიც და სწორედ ამ გარემოებაში - გულარხინი ხელმძღვანელის უყურადღებობაში, - გამაგულისა და მე თვითონვე თავი დავარწმუნე იმაში, რომ ირაკლი აბაშიძე ჩემი პირველი მტერია!

ირაკლი აბაშიძეს კიდევ ერთი „დიდკაცური“ თვისება სჭირდა, რაც განსაკუთრებით მადამიანებდა. მწერალთა კავშირიდან გამოსული თავის „ვოლგას“ რომ მიაშურებდა, გამაში შემთხვევით ვინმე დახვრჩაყვებულ, ყველასთვის უცნობ ახალგაზრდა მწერალს თუ დაინახავდა, აუცილებლად გაუჩერდებოდა, ხელს ჩაბოართმევედა და ფარისევლური დაინტერესებით მოიკითხავდა მასაც, მის მშობლებსაც და ცოლ-შვილსაც... ერთი სიტყვით, წარმატებით გაითამაშებდა „ყურადღებიანი კაცის“ როლს, თუმცა სინამდვილეში, სულ არ დაინტერესებდა არც ის ახალგაზრდა, არც მისი მშობლები და ცოლ-შვილი!..

სწორედ ასევე, მეც აინუნში არ მაგდებდა (არადა, მე ხომ კარგა ხნის განსეპლობაში მოსკოვში ქართველი მწერლების წარმომადგენელი ვიყავი, სადაც დიდ ანგარიშს მიწვედნენ ჩემი რუსი და ქართველი კოლეგები?!). ეგეობა, თბილისში რომ დაებრუნდი და ირაკლის ჩვეულებრივი „ქვეშევრდომი“ გავხდი, აღარაფერი უეიგნავებოდა არც ჩემი პიროვნება, არც ჩემი უბინაობა, არც

უპეშევრობა და არც უსასრობა...

ასეთი მოპყრობა, ჩემთვის, რასაკვირველია, შეურაცხყოფელი იყო და მეც ვალში არ დავრჩენილვარ!.. სადაც შემეძლო და როგორც შემეძლო, ჩემი მეგობრებისა და ნაცნობების წრეში (უფრო ხშირად, სუფრაზე), ავღებულად ვახსენებდი პოეგ-აკადემიკოსს. მან, რასაკვირველია, ეს იცოდა (დამბეჭდვები ჩვენში არასდროს გამოლეულან) და აი, ერთხელაც მწერალთა კავშირში დამიბარა...

იგი თავის კაბინეტში იჯდა, ირგვლივ მთხოვნელები ეხვივნენ. ჩემს გამოჩენაზე ყველანი გაიკრიფნენ. ირაკლის დაჯლომა არ შეუთავაზებია, თავდახრილი რაბაც ქაღალდებს ათვალიერებდა, თან ხმადაბლა მელაპარაკებოდა (მისი სიტყვები და ხმის ინტონაცია კარგად მახსოვს): „ბ-ბიჭო... შენ, თურმე, რადაც-რადაცეებს ლ-ლაპარაკობ ჩ-ჩემზე... ხომ არ დ-დაგავიწყდა, ვინ ვარ?... იც-იცოდე, ენა დამოკლე, თ-თორემ ისე გავიხდი საქმეს, სულ კისრსგვხით ვარნობ აქედან! მოსკოვიც ვერ გიმველის, შ-შენცა და შენს ოჯახსაც ს-სამათხოვროდ გავგიხდით საქმეს!...“ ჯერ ყურს არ დავეჯერე, მერე თავში სისხლ ამივარდა, მაგრამ შევეკიდე, მშობილ მეპასუხა: „შენ ეგ შეგიძლია, ირაკლი... თუ, რა თქმა უნდა, იკადრებ, მაგრამ... შენი არ მემინია! თავისუფალი კაცი ვარ და, რასაც მინდა, იმას ველაპარაკობ. რისთვის გამომიძახე? ეს ვინღოდა გეთქვა?“ ირაკლი კიდევ რადაცას ამბობდა, აღარ ვუსმენდი. ბოლოს თვალის გამისწორად და ჩემი გავითრებული სახე რომ დაინახა, მიხვდა, ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, კიდევ ცოცაც და სამელნეს თავში გავუქანებო! მან მძიმედ ამოიხორცა (სწორედ ეს იყო, როგორც უნივერსიტეტში გამართულ ბანკეტზე) და მიიხრა: წადი, ახლა... დანარჩენი მერე იცოსო... და მე მივხვდი: ამიერიდან მორიგი რაუნდისთვის უნდა მოვემზადო...

ორიოდე დღის შემდეგ ქუჩაში იოსებ ნონეშვილი შემხვდა, ჩვენი პარტორგი, და გამაფრთხილა: „თუ ძმა ხარ, ირაკლის მოეშვი, - შენზე გაცოფებულა! ამასწინათ დამიძახა და მიიხრა: ქვლივიძეს თავის დროზე ცოდვები ექნება ჩადენილი, ვადაქექე მისი პირადი საქმეები და, თუ რამე იპოვნე, მომიგანეო...“ იოსების გაფრთხილება უსაფრთხლო არ აღმოჩნდა. მწერალთა კავშირში რადაც ღო-

ნისიძეებს ვესწრებოდი. მითხრეს: ერთი კაცი გკითხულობსო. ვინ არის-მეთქი? „კაგებენკოაო“ - ღიმილით მიპასუხეს. უშიშროების თანამშრომელი აღმოჩნდა ჩვენი მწერლების „მეთვალყურე“. მან ცალკე ოთახში შემოვიყვანა, წითელი წიგნაკი დამანახა და საუბარი გამიბა (შევეცდები, მუსტად გადმოგვეთ ჩვენი დიალოგი, ოღონდ, თუ შეიძლება, იმ კაცს „სუკას“ დავარქმევ, რაც რუსულად უფრო ესადაგება მის პიროვნებასაც და საქმიანობასაც!

სუკა - გამარჯობათ, ბაგონო მიხილ! ჩვენს ორგანოებში თქვენ კარგად გიცნობენ, შესანიშნავი პოეტი ბრძანდებით და სულ ახლახან მოსკოვიდან ჩამოხვედით. სხვათა შორის, თქვენი ლექსები პირადად მეც მომწონს... ნებას თუ დამრთიავთ, ორიოდე შეკითხვას მოგვემთ.

მე - ბრძანეთ.

(მან ქაღალდი ამოიღო და ვიღაც უცხოელის გვარი დამისახელა)

სუკა - ასეთ კაცს იცნობ?

მე - არა, ვინ არის?

სუკა - ისრაელელი პროფესორია.

მე - არ ვიცნობ, პირველად მესმის მისი სახელი.

სუკა - კი, მაგრამ... მის უბის წიგნაკში თქვენი გვარი და გლეფონის ნომერი რომ აღმოჩნდა?

მე - საიდან იცით?

(სუკას ჩაეცინა).

სუკა - მაშ, არ იცნობთ. შეგიძლიათ ეს აღმიწეროთ?

(სუკას კარნახით დაუწერე, რომ იმ კაცს არ ვიცნობ).

სუკა - კეთილი. მაინც, საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა მასთან თქვენი გვარი?

მე - არ ვიცი... თუმცა, მოიცათ... შარშან პოლონეთში ვიყავი, იქაური მწერლების ყრილობაზე. იქ ბევრი უცხოელი გავიცანი, მათ შორის, ალბათ ეგ პროფესორიც იქნებოდა. მოსკოვში მივიღივარო და ჩემი გლეფონი დაუგოვე... შემძლია წავიდე?

სუკა - მოითმინეთ, მოითმინეთ... ბაგონ ირაკლი აბაშიძესთან რა ურთიერთობა გაქვთ? (მივხვდი, რომ ჩვენი წინამდებარე საუბარი მხოლოდ შესავალი იყო, მთავარი ახლა იწყებოდა).

მე - არაკაცია თქვენი ბაგონი ირაკლი! რაო, თქვენც ხომ არ გემინიათ მისი?

სუკა - ო, რა ენა გაქვით, ბაგონო მიხილ, რა ენა გაქვით?! ყველაფრის თქმა როდი შეიძლება? ბაგონი ირაკლი დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, პოეტი-აკადემიკოსი, ასეთი უპატივემულობა არ გეკადრებათ!..

მე - საფუძველი მაქვს და იმიტომ ვამბობ!

სუკა - მაპატიეთ, მაგრამ თქვენ მოგჯერ ლექსებში აჭარბებთ, ზედმეტი მოვლით... დიახ, დიახ... ის როგორ თქვით: თვითშეკვლელობა დიდი საქმის ჩვენში დაწყებამ? გალაკიონზე ბრძანეთ.

მე - განა მართალი არ არის? აბა, ვის დაუფასა დიდი საქმის წამოწყება საქართველოში? ილია ჭავჭავაძეს?

სუკა - ეგ წარსულში მოხდა, ახლა, საბჭოთა ქვეყანაში...

მე - ახლაც ასე! დიდ საქმეს რომ მოვიკიდება კაცი, თავი გადაღებული უნდა პქონდეს...

სუკა - კარგი, კარგი... ლექსებს მოვეუშვით! მე თქვენ იმისთვის შეგხვდით, ჩემო მიხილ, რომ მეგობრული რჩევა მოგცეთ: თავი გაანებეთ ირაკლი აბაშიძეს, ნუ ეჭიდავებით! დამიჯერეთ, ასე უკეთესი იქნება...

(ამით ამოიწურა ჩვენი საუბარი. ბოლოს, მე და „სუკა“ მეგობრებივით დავცილდით და ლამის გადავკოცნეთ ერთმანეთი).

როგორ გვინიათ რა მოხდა ამის შემდეგ? ამის შემდეგ მოხდა ის, რომ სასწრაფოდ დაუწერე ლექსი „შემრჩება რამე?“ და „ნიანგში“ გამოვაქვეყნე, რათა ირაკლისთვის სამაგიერო გადამიხება! მაგრამ ვიდრე ამ ლექსს წაგაკითხებდეთ, განმარტებისთვის პატარა ინფორმაცია მინდა მოგაწოდოთ. საქმე ისაა, რომ ასეთი სახელწოდების ლექსი აბაშიძეს მართლაც აქვს, სადაც ავტორი უღარღელად გაბარებულ ცხოვრებას იხსენებს და ბოლოს გულისკვირვლით კითხულობს: შემრჩება რამე?.. მე გამოვიყენე ამ ლექსის სათაურიც, სიგყვიერი მასალაც, ინტონაციაც და პაროლია შევქმენი:

გაუპაძლარი ვერ იქნა და ვერ შევლია - ვერ „ქინძმარაულს“, ვერ „გიაბანს“ და ვერ „თელიანს“;

ვერ შევლია პურისჭამას, მაღას  
გადაპყვა,  
ხელპყო ყოველი, რასაც სხვისთვის ელო  
ყადაბა;  
როცა გამოძდა, აქომინდა სუფრასთან  
მიიმედ, -

არც თვითონ ჭამა, არც სუფრასთან მიუშვა ვინმე...  
ახლა კითხულობს, კმაყოფილი, დღეა თუ დამე:  
- „შემრჩება რამე?“

ამ ლექსის პუბლიკაციამ თბილისში დიდი აღაპითი გამოიწვია. მუერარცყოფილ ლექსის ადრესატს ცეკას მდივანი ახს. შეჯანაძე გამოთქემაგა, „ნიანგის“ რედაქტორმა ნოდარ ღუმბაძემ ინფარქტი მოიმიზეზა და ლოგინში ჩაწვა, „ნიანგში“ ჩემს წინააღმდეგ პასკვილი გამოქვეყნდა „ჯეგებე ღუმბაძვას“ ხელმოწერით, სადაც საჯაროდ „პაღლევი“ მიწოდეს და ა. შ. მაგრამ ეს „უკვე სხვა ამბავია, და, თუ დამცალდა შემდეგ მოვიყვებთ...“

მე ისევ ჩემს „მტერ-მოყვარე“ ირაკლის მინდა დავეზურუნდე...

გადიოდა დრო და ცხოვრება იცვლებოდა. საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ ჯერ სამოქალაქო ომი გამოიწვია, მერე მას კომუნისტური კერპების მსხვერველ მოჰყვა. კვარცხლბუკებიდან პანგა-პუნგით ცვლიდნენ: ლენინი, სტალინი, კიროვი, ორჯონიკიძე, ძნელაძე... „ხელმძღვანელ“ ახანაგბეგბეგ“ შიგოვეს თავიანთი კაბინეტები და სავარძლები... მათ შორის, ირაკლი აბაშიძეც აღმოჩნდა: თანამდებობები და წოდებები ჩამოსცილდა და დარჩა მარტო პოეტის სახელი. ავადმყოფობდა და ბერდებოდა... დარღადრო ისევ კარგ ლექსებს წერდა და ერთხელაც გავეყერ და მოსკოვიდან დავერეკე: შენი ახალი ლექსი წაგიკითხე და ძალიან მომეწონა-მეთქი. იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ჩემი ხმის გაგონება, დაინბა, არც მომსალმებდა, არც მადლობა უთქვამს, მხოლოდ ეს კი თქვა: „გაგაშენა ღმერთმა, შიშა, შენს გარდა, არავის დაურეკავსო! მერე მოსკოვში შევხვდი... ამ ჩვენნი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით და, სანამ ცოცხალი ვარ, მინდა სხვებმაც გაიგონ...“

სასტუმრო „როსიდან“ გამოსული უკაცრიელ ქუჩას მივყვებოდი. უცებ შორიდან ჩემკენ მომავალი ირაკლი აბაშიძე დავინახე. მზიანი ამინდი იყო. პოეტს პიჯაკი დარდიშანაღლად მხრებზე წამოეხურა და ვაშლსა ჭამდა, ისე მადლიანად ჯამენდა, მომეკვნენა, თითქოს შორიდანაც გავიგონე მის კბილებში ვაშლის ხრამუნია... ქუჩის სივიწროვის გამო

გვერდს ვერ ავეუქცევი, თორემ დავიმალებოდი, რადგან ამდენი ხნის მგრობისა თუ გაუგებრობის შემდეგ, არ ვიცოდი, რაზე უნდა გველაპარაკა, რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის?

მაგრამ ირაკლიმ თვითონ გამაჩერა. მოულოდნელად მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „ბ-ბიჟო... რაგომ უნდა ვიყოთ მე და შენ მტრები, როცა ამ ქვეყანაზე ამდენი ჩინათლხია? რამდენჯერ მითქვამს ნელისთვის: ნახე, რა კარგი ლექსი და-დაუწერია ამ ოხერსს... ნეტა გამაგებინა, რა უნდა ჩემგან, რაგომ მ-მებრძვის? რა დავეუშავე?“

ურთიერთობის გამოარკვევის დრო არ იყო, თანაც აველელი და ეს ვუთხარი: ალბათ, ღირსეული მტერი მინდოდა მყოლოდა და შენ ამოგირჩიე-მეთქი. იმ წამსვე მიხვდი, რომ ამ იაფუასიან, „სუფრულ“ გამოთქმას ირაკლი „არ ჭამდა“. იგი ჩემგან სხვას ელოდა და გულწრფელად დავინთე: „იცი, ირაკლი... მე თვითონაც არ ვიცი, რაზე გებრძოდი, მაგრამ ნამდვილად რომ გამჭირვებოდა, გეფიცები ყველაფერს, დასახმარებლად ისევ შენთან მოვიდოდი! დამიჯერე, მართლაც გეუბნები!“ ირაკლის სახე გაუნათდა: დღემრთმა ნურაფერი გაგვიჭირვოსო მე და შენ, ჩემო მიხეილ, - ჩიი-ლაპარაკა და გზა განაგრძო...

მას შემდეგ აღარ მინახავს... იგი თბილისში გარდაიცვალა, მე ამ დროს მისკოვში ვიყავი... ირაკლი ახლა დიდუბის პანთეონში ასვენია და თავის მტერ-მოყვრებთან (მათ შორის, ჩემთანაც) შეხვედრას ელოდება...

„ჩვენი ღმერთი“

მთელი ჩემი ცხოვრება (მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავიდი) თბილისში დაბრუნებაზე ვოცნებობდი...

...როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი!

ჩემი ლექსის ეს სტრიქონები ვითომ აკაკი წერეთელს ეხება, სინამდვილეში კი ჩემმა დაწერილი! ცოლი და შვილები თამარილ და ნატო (ვაკლახ, უკვე „გარუსებულები“) მოსკოვში მყავდა, მე კი, თბილისში ჩამოსული, სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე და-

უსახლებულიყავი, რომ ოჯახთან ერთად მე-  
ცხოვრა...

ჩემო პაგარა თამარ,  
ჩემო პაგარა ნაცო,  
თქვენი ქართული მამა  
ცხოვრობს თბილისში მარგო...

„უბინაობა“ - წითელ (თუ სისხლიან?)  
ზოლად გასდევს მთელ ჩემს ცხოვრებას.  
სულთი ხორცამდე ქალაქელი კაცი თბილისში  
ერთი პაგარა ბინის, თავშესაფრის, ბუნავის,  
სოროს უქონლობას ლამის სიგიჟემდე მიეყ-  
ყვანე! ეს „ხაგოვანი“ ფრაზა არ არის: მარ-  
თოლა გაგიყვებამდე მინდოდა „შინ დაბრუ-  
ნება“ მაგრამ... ყველა ჩემი ცლა უშედეგოდ  
მთაურდებოდა. ვისაც შეეძლო ჩემი დახმარ-  
ება, არ მესმარებოდა. ამიტომ იყო, რომ  
წლების განმავლობაში ჯერ მოსკოვში, შემ-  
დე თბილისშიც - სულ ფსიქონევროლოგების  
პაციენტი ვიყავი. ახლა რომ ვიგონებ, რა  
წამლებს არ მასმევდნენ ექიმები... ღმერთო  
ჩემო! ყველაზე უწყინარი იმ ღერესანგებში  
„ელინიუმის“ აბები იყო, ათასობით რომ  
ჩამიყლაპავს! მიკვირს, მართლა რომ არ  
გავგიჟდი, არადა, ამის სიმპტომები იმდრო-  
ინდელ ლექსებში უკვე შეინიშნებოდა:

ვეღარ გავიგე ამ ცხოვრების ვერც  
ასავალი,  
ვერც დასავალი, - გამოვდექი ბრიყვი,  
უბირი...  
გამომიწერეთ, პროფესორო, რამე  
წამალი,  
ისეთი, ჩემში ყოველგვარი ჩაკლას  
სურვილი!

ნორმალური ახალგაზრდა კაცი ასეთ  
სტრიქონებს არ დაწერდა!

მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩემსა და ირაკლი  
აბაშიძის ურთიერთობას...

„ნიანგში“ გამოქვეყნებულ ლექსებში, გარ-  
და „შემრჩება რამე“ - სი, მწერლების თა-  
ვმჯდომარეს ეს სტრიქონებიც ეხებოდა:

მე თქვენგან უკვე არაფერს ვითხოვ,  
თქვენდამი ნდობა გაქრა ბოლივით.  
მე მინდა მხოლოდ, ჩემს დღეში იყოთ,  
ოთახის ძეხნას გადაყოლილი!  
მინდა დაპატივით ეგ კაბინეტი,

გადაიხვეწოთ სულ სხვა მხარეში  
და წლიდან წლამდე ძებნით იმედი  
თქვენისთანების ჩაბქრალ თვალებში!  
და მინდა გვაყვადო ცოლი და შვილი,  
რომ იმათ ნახვას ეშურებოდეთ,  
რომ განუწყვეტლოვ გოვედეთ თბილისს  
და განუწყვეტლოვ უბრუნდებოდეთ!..  
პაგარა კაცო, უამრო კაცო,  
შენ არ გვეგონოს ლექსის ღირსი ხარ,  
სხვებს მინდა შენი თავი გავაცნო,  
რადგან მე ასე კარგად მიცნისხარ!  
ეს შენ იყავი, მრავალჯერ ნაცად,  
უგყუარ ხერხით რომ გამაწვალე.  
შენ დამაიფიცე ლექსი და ნაცვლად  
განცხადებების წერა მასწავლე!  
დამშვიდდი! წყველას არავის ვუთვლი!  
მე გოცნებად ისიც ამყოფა,  
რომ შენი ვიწრო, პაგარა შუბლი,  
ჩემს დიდ ცხოვრებას გადაელობა!..

ალბათ, იკითხაბთ: როგორ მოხდა, რომ  
„ნიანგის“ მთავარმა რედაქტორმა, ნოდარ  
ღუმბაძემ („ჯვებე ღუმბაძე“) ასეთი რამ  
დაბეჭდა? თავი გადადებული პქონდა? ირა-  
კლი აბაშიძე ხომ მისივე „ნომენკლატურული  
კლანის“ წარმომადგენელი ბრძანდებოდა,  
- „ხელმძღვანელი ამხანაგი“, პოეტი-აკადემი-  
კოსი, ექვას მღვინის, აბხ. შავანაძის დაახლ-  
ოებული პირი?! საქმე ისაა, რომ მე მოვაცხევე  
ნოდარი! დიახ, შეცდომაში შევიყვანე! როცა  
მკითხა: ვისგა ეს ლექსებით, ვუპასუხე, რომ  
კონკრეტულად არავისმე, უბრალოდ, გაზუ-  
ღუნული გიმი მყავს დახატული. თანაც ვითო-  
ვე, რაც შეიძლება მალე დაბეჭდა ლექსები,  
რადგან მოსკოვში ვაპირებდი დაბრუნებას  
და ფული არ მქონდა. რედაქტორს, ეგვობა,  
ირ. აბაშიძის ცნობილი ლექსი „შემრჩება  
რამე“ არ მქონდა წაკითხული, ვერაფერს  
მისვდა და ჩემი ლექსები სტამბაში გაგზავნა...

მამინაც ვიცოდი და ახლაც ვიცი, უსაქ-  
ციელობა ჩავიდინე: ჩემი ამხანაგი ნოდარი  
შეეძლოთ დაეხაჯათ და სამსახურიდან მოე-  
ხსნათ, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი,  
რადგან, რაღაც უნდა დამჯდომოდა, ირა-  
კლისთვის საშავიერო უნდა გადამეხადა,  
არადა, რედაქტორისთვის სიმართლე რომ  
მეთქვა, ლექსებს არავითარ შემთხვევაში  
არ დამბეჭდავდნენ! მაგრამ ისიც ხომ უნდა  
მეფიქრა წინასწარ, მერე როგორ მოვიქ-

ცეოლი, როცა სიმართლე გამოაშკარავდებოდა? ესეც ვიცი: მივიდოდი ნოდართან და, როგორც იცხვიან, „ლოყას მიუშვებდი“ - ცემით რომ გავეხეთქე, ხელს არ გავანძრევდი! ღირსი ვიყავი და იმიტომ: „უიმიკური გვემით“ გამოვისცილდა ჩემს დანაშაულს..

მოხდა სხვანაირად. ლექსები გამოქვეყნდა თუ არა, უკვე თვითმურხინავეში ვიჯექი და მოსკოვში ვბრუნდებოდი. თბილისში კი... ირაკლის აშხ. მთავანაძე გამოექომაგა, ნოდარმა სასწრაფოდ „ინფარქტი“ მოიმიზევა, თან, რასაკვირველია, მთავრობას აცნობა, რომ იგი შეცლომაში შეიყვანეს... შეცლომა აპატიეს (მით უმეტეს, რომ ჩემგან, „დისიდენტი“ პოეტისგან, ამაზე უარესსაც მოელოდნენ!), მაგრამ ნოდარმა წინასწარ თავი დამიზღვია და „ნიანგის“ მომდევნო ნომერში პასკვილი გამოაქვეყნა სახელწოდებით: „პალდეცი“ (ეს სიგყვა რუსულად იყო დაბეჭდილი), პასკვილს ხელს აწერდა „ჯეებე ლუმბაეა“...

რა ეწერა ამ პასკვილში? (ლექსი იმდენად უსუსურია, რომ გულს მირევს მისი გადმობეჭდვა, მხოლოდ შინაარსს გადმოვიცემთ): იქ ეწერა, რომ „მხატვარი ვერ გამოვედი და ამიტომ მწერალი ვახვდი“, რომ „ინგრიჯანი“ ვარ, „უჯივო ჯიმის“, რომ „მოყვრის დანდობა არ ვიცი“, ძველსა და ახალ თაობებს ვებრძვი, ცუდი პოეტი ვარ და ჩემს ლექსებს თურმე „პოლონურიდან იგალიურად თარგმნიან“ (იგალიაში გამოცემული ჩემი წიგნიც დამაყვედრეს), რომ სამსახურის ძენაში არავეს ვინდობ („ვინც ვინდათ იგი მოსხენით და რედაქტორად მე დამნიშნეთ!“), რომ „გარეწრის მიზნები მაქვს“ და „ნამუსის ქული არ მხურავს“ რომ „საკუთარი მაშის საფლავს ვხნავ“ და მგონია, თითქოს „მშობელს ძეგლს ვუდგამდე“ და ბოლოს ჩემი „პორტრეტი“ ასე მთავრდებოდა:

„ბინა თუ მართლა არა აქვს,  
შენს მიწას მიაბარეო,  
ცა-ფირუშ, ხმელეთ-მურმუხტო,  
ჩვენო სამშობლო მხარეო!“

(„ნიანგი“ № 12 1966 წ.)

მახსოვს, ცოლ-შვილთან ერთად გაგრაში ვისვენებდი. ეს ბინური ლექსი რომ წავიკითხე, ისე მეწყინა, თავი ვერ შევიკავე და აეგირდი. ყველაზე საწყენი კი ის იყო, რომ დარწმუნებული ვიყავი: ჩემი კოლეგა და

ამხანაგი ნოდარი სინამდვილეში ასე არ ფიქრობდა! ეს სტრიქონები მას შიშმა დააწერინა, სამსახურის და თანამდებობის დაკარგვის შიშმა, რომელიც ადამიანს ყველაფერს ავიწყებს და იგი მარტო თავის გადაჩენაზე ფიქრობს! მართლაც, როგორ შეიძლება სინდისიერმა ქართველმა კაცმა მოელს საქართველოს მოუწოდოს: ეს კაცი, თუ ასე უნდა შენს მიწაზე ცხოვრება და ბინა არა აქვს, მოკალი და შენს მიწას მიაბარეო?..

ცრემლით საქმეს ვერ ვუშვავდი, რაღაც სხვა უნდა მეღონა. პირველ ყოვლისა, ლექსითვე უკასხუე „ჯეებე ლუმბაეას“ (პირველად აქ ვაქვეყნებ):

ისევ უსევდონიშ ამოეფარე?  
ეტყობა, შეგრცხვა თავის გამხელის.  
თუ ასე იყო, ლექსს სათაურად  
რად დააწერე შენი სახელი?

მერმე გადაეწყვიტე ღუელში გამოეწვია ნოდარი. (აბა, ჩხუბს ხომ არ დაეუწყებდი „ძველი“ თბილისელი ბიკვითი?). სანადირო თოფი მქონდა, იმასაც ეწებოდა, გავიდოდით სადმე ქალაქგარეთ და ვესროდით ერთმანეთს. მე უკვე სეკუნდანტიც მყავდა, - იქვე, გაგრამი, ჭაბ-ს მოველაპარაკე და დამთანხმდა (ის მთლიანად ჩემს მხარეზე იყო)... სამწუხაროდ, ვერც ჩემი საპასუხო ლექსი წაიკითხა ხალხმა და არც ღუელი შედგა... პროზაულად დამთავრდა ყველაფერი: ჩემს მოწინააღმდეგეს მართლა ინფარქტი დაემართა და, როცა საავადმყოფოში დააწვინეს, ფორთოხლები შევეუბანე და მოკითხვა შევუთხალე... (როგორც გადმომიცეს, ძალიან გაბრაზებულია: ვითომ რა, ჩემზე უკეთესი კაცი-აო?! - უყვირია და ფორთოხლები ფანჯრიდან გადაუყრია)...

## მწიგნობლის

ურთავულები ქვეშევრდომი ვარ  
შენი ლექსისა და შენი კადობის...

სიმონ ჩიქოვანი მაშინ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი იყო. მე, 17 წლის ყმაყვილს, „ახალგაზრდა პოეტს“ მეძახდნენ. საქართველოში ეს ახირებული წოდება არაფერს კარგს არ უქადაბა კაცს - არც მაშინ, არც

ახლა, ჩემს თავზე მოგასწავლებთ: ამხანაგები ლექსებს მიქებდნენ, მე, რასაკვირველია, მათ ვეთანხმებოდი, ქართველ მკითხველებს კი წარმოადგენაც არ ჰქონდათ ჩემი არსებობის შესახებ!

მძიმე დრო იყო. ომით განადგურებულ ქვეყანას სული ეხუთებოდა. მრავალ ოჯახთა შორის, ჩვენს ოჯახსაც უჭირდა.

წუხდა დედა. მამა და ძმა ფრონტზე იყვნენ და დედას ის ადარდებდა, რომ ახალგაზრდა სკულნიცა შეილი, ჯარში წაყვანის მოლოდინში, ქუჩებში დავებუებოდი (ხან ფიზიკური, ხან მთვრალი) და ოჯახში პურისა და მარგარინის შემომტანი არავინ იყო...

ხსოვნას შემორჩა დაღლილი, დარბიულად ჩაცმული ადამიანების გრძელი რიგები „ღახურულ გამანაწილებლებთან“ (ასე უწოდებდნენ მაღაზიებს, სადაც მოსამსახურენი იყვნენ მიმაგრებულნი). მახსოვს მწერალთა კავშირის კართან მწევანე „ვილისი“, რომელიც „მწერლების თავმჯდომარეს“ დააგარებდა. ისიც მახსოვს, როგორ იგირბო დედამ, როცა ფოსტალონის განისამოსში გამოწყობილმა ომის ურჩხულმა ჩვენს ბინაში შემოაღებდა და ძმის დაღუპვის ქაღალდი დაგოვა მაგიდაზე...

პატივმოყვარე ფიქრებს რაღაც განსაკუთრებული მომავლის შესახებ გულის სიღრმეში ვინახავდი და არავის ვუშვავებდი. ბეჭდავებ ვოცნებობდი, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავი შესახებებინა. ჩემი სამრუხავი უპირატესად ის იყო, ჩემს დაწერილ სტრიქონებში ჰონორარი მიმეღო და საკუთარი შრომით შეძენილი ფულით დედა და მცირეწლოვანი დაიკო გამეხარებინა...

ერთი ორჯერ გამბედალმა მოვიკრიბე, თავი შევყავი მწერალთა კავშირში, მაგრამ ერთმა სახელგანთქმულმა მწერალმა მრდილობიანი და მოვადი დარიგებებით გამომისტუმრა, თან ერთხელ კიდევ შემეხსენა: ახალგაზრდა ხარო, თითქოს ეს ჩემი დანაშაული ყოფილიყოს...

აი, ასეთ დროს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში სიმონ ჩიქოვანი, ანუ „ბატონი სიმონი“, როგორც მას პატივისცემითა და სიყვარულით მიმართავდნენ მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩემი გოლები და ჩემზე უფროსები.

აღარ მახსოვს, ვინ მირჩია სიმონთან მისვლა. ის კი კარგად მახსოვს, რა ქარიშხალი

გრიალებდა ჩემს გულში, როცა გმირთა მოედანზე აღმართულ ნაცნობ შენობას მივეახლოვდი და თერთმეგსართულიანი კოშკის საღარბაშოსთან გაჩერებული მწევანე „ვილისი“ შევინძნე...

სანამ შევექვეს სართულზე ავიდოდი, როგორც იტყვიან, ჩემი დამეშარდა. ფეხს ვითრევდი და მაინც მივდიოდი. მრცხვენობდა ჩემი საქციელის, ასე მეგონა, სამთხოვროდ ვიყავი მისული „დიდი თანამდებობის“ პირთან, რომელსაც, დარწმუნებული ვიყავი, არაფერში ებიგნავებოდა ჩემი ლიბერალური ნაციონალიზმი და, უკეთეს შემთხვევაში, მიხედვითა რა ჩემს გაჭირვებულ მღვთმარობას (ეს ჩაემაშვეც მეგობრობა!), მოწყალებას გაიღებდა და ერთ-ორ ლექსს დამიბეჭდავდა, ისიც იმისთვის, რომ თავიდან მოვეშორებინე და შეგი აღარ შეგეწუხებინა...

და მაინც შევაღე სიმონ ჩიქოვანის ოჯახის კარი!

ღერეფანში მისი მეუღლე მარიკა შემომეგება, პალტო (ბამრობაზე იაფად შექმნილი, ჯარისკაცური ფარაჯა) გახზადა, ხანელი მკითხა და მისი გამამხნეველები დიმილი ოთახში შემიძღვა, სადაც ნაგო ვაჩნაძე, ელენე ახულებიანი და ვერიკო ანჯაფარიძე დაშხუნდნენ.

სიმონმა სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა ისე უბრალოდ და ბუნებრივად, თითქოს მისი ძეული ნაცნობი და გოლიც ვყოფილიყავი (კარგად მახსოვს, ასე თქვა: პოეტი მიშა ქელივიძე, სამხატვრო აკადემიაში სწავლობსო, სიტყვა „ახალგაზრდა“ არ უხსენებია), მერე ქალებთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო და მივხვდი, რომ ამით სულის მოთქმა მაცალა, შემდეგ კი, შეუშინებლად მეც ჩამითრია საუბარში, რომელიც მხატვრობას ეხებოდა და... მოკლედ, ყველაფერი ვააკეთა ამ ღვთისნიერმა კაცმა, რომ გავშინაურებულიყავი და თავისუფლად მეგრძობო თავი!

ისე მოხდა, მე თვითონ ვითოვე მასპინძელს: თუ შეიძლება, ლექსებს წაგიკითხავთ-მეთქი. წამოდი, ჩემს ოთახში გვივლითო, - შემომთავაზა სიმონმა და წამოვდგი. მეც ავდექი, მაგრამ ნება არ ავმდგარიყავი: მაგდლის ქვეშ გაკრიალებულ პარკებზე, ტალახიანი წყლის გუბე იდგა! (გარეთ თოვლი იყო და ჩემმა „სალადითურმა ბათინკებმა“ შიდალაგეს!). დარცხენილმა დიასახლისს გადავხედე და სიმონს გაყვივი...

საგარქელში ღრმად ჩაშვადარი ჭერს მის-  
ჩერებოდა და ყურადღებით მისმენდა. ბევრი  
ლექსი წაიკითხე, თითქმის ყველაფერი, რაც  
მხასოვდა. არაფერი უთქვამს, ღუმდა და  
ფიქრობდა. მე კი...

აღბათ, ყველა დამწყებ მწერალს განუც-  
დია ასეთი რამ: თითქმის სავსე ჭურჭელი  
ვიყავი და უცებ დაეცილე! საოცარ დადლი-  
ლობას ვგრძნობდი, აღდარაფერი მინდოდა.  
ისევ გამახსენდა, რომ „ამხელა“ კაცთან ვიყა-  
ვი სტუმრად, კაცთან, ვისაც არაფერი აკლდა,  
სახელმოხვეჭილი, ყოვლისშემძლე იყო და...  
აი, ვუთქრობდი, - დამიწყებს ახლა ჭკუის  
სწავლებას, ქედმაღლურად შეუქმებს ან დაი-  
წყნებს ლექსებს, მერე აუცილებლად ჩემს  
ასაკს გადასწვდება, მეტყვის, რომ ბევრი  
უნდა ვიკითხო, უფრო კარგად გავეცნო ჩვენს  
საბჭოთა სინამდვილეს, მისაყვედურებს „ვიღ-  
ეობას“, „სხილოს ძელის კომსში“ ჩაქეცვას,  
„ინდივიდუალიზმს“, „კამერულობას“, „აპოლი-  
ტიკურობას“ და, უშეაკმა იცის, კიდევ რას!  
ასეთი დარიგებები არაერთხელ მსმენია  
ტრბუნდინს და პრესაშიც ბევრი წაპიკითხავს  
(ამის მეტს რას წერდნენ ჩვენი „იდეური  
მასწავლებლები“: ბესო ჟღენტი, შალვა რაბა-  
ინი, სერგი ჭილაია და სხვანი...).

სიმონმა კი საწერი მაგიდის უკრა გამო-  
აღო, ქაღალდის ფურცლები ამოიღო და  
მითხრა: წუხელ ახალი ლექსები დაგწერე,  
ჯერ არავისთვის წამიკითხავს და მომისმინე,  
შენი ამრი მზინგერესოსო... ამის გაგონებაზე  
სუნთქვა შემუკრა. ყელში მაღღღებების ცრე-  
მლი მომაწვა და მივხვდი, რომ ეს იყო ყვე-  
ლა შეფასებაზე უფრო დიდი და მაღალი -  
მსჯავრიც, თანაგრძობობაც, გამხნეებაც, გზის  
დალოცვაც... და კიდევ მეტი - ეს იყო გაკვე-  
თილი, პასუხი, რომელიც ამ კაცმა გასცა  
ჩემს უნდობლობას, გულში რომ ვგაგარებდი...

მეორე დღესვე სიმონ ჩიქოვანმა მწერ-  
აღთა კავშირში დამიბარა, აღრცხვებზე ამ-  
იყვანა და მისი რეკომენდაციით ყმაწვილურ  
ლექსებში, რომლებიც ჯერ არ იყო გამოქე-  
ცილებული, ავანსად პირველი „პონორარის“  
მომეცა... იქვე, მწერალთა კავშირის საგაფრო  
წერგში თეთრი პური, მარგარინი, შაქარი  
ვიყიდე და შინ მივიტანე...

გაიხარა ოჯახმა.

ამას ნაბი ლექსების დაბეჭდვაც მოჰყვა.  
მერევე ჩაგარა წიგნის გამოცემაც და ის  
იყო - შევალე ქართული მწერლობის კარი...

ერთი უადრესად კეთილშობილი თვისება  
ახასიათებდა ბაგონ სიმონს: თავის ნაწილობა  
და მეგობარს ისე გაგაცნობდათ, თითქმის  
ძვირფასი ნივთით გასაჩუქრებთო! არასდრ-  
ოს არ შურდა, თავისი პირადი მეგობარი,  
სხვისთვის „დაეთმო“ სამეგობროდ, თავისი  
აღმოჩენა სხვისთვის გაემიარებინა... ასე დამ-  
ახსლოდა მან (მოსკოვში ჩემი ცხოვრების  
დროს) მიკოლა ბაგონს, მაქსიმ რილესის,  
ალექსანდრ დოვჟენკოს, ბორის პასკერნაკსა  
და ნიკოლოზ შაბლოცკის, გოესგონოვოვსა  
და ირაკლი ანდრონიკოს... ასე გამიყვანა  
ამ დიდმა მამულიშვილმა სულ ახალგაზრდა  
კაცი იმ გზაზე, ხალხთა და ლიტერატურათა  
ძმობის გზა რომ ეწოდება...

სიმონ ჩიქოვანს უნდა ვუბალოდე აგ-  
რეთვე იმასაც (და ყველაზე მთავარი, აღბათ,  
ეს არის), თუ დღეს ჩემს მოერძალებულ  
ლიტერატურულ შრომას რაიმე საზოგადო-  
ებრივი ელენობა გააჩნია.

სიმონმა იცოდა ჩემი კახური ფესვების  
შესახებ და ამიგომ, როდესაც სამგორში  
ივრის წყალი მოვარდა, თავისი მწვანე „ვიღ-  
ისით“ წამიყვანა არხის მშენებლობაზე და,  
როგორც ვითხარით, პირველად დამაწერინა  
არა „კონსტრუქციული“, არამედ ჭეშმარიტი  
მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული  
ლექსი „სამგორი“, რომელიც ავგრ უკვე რამ-  
დენი წელია ყველა ჩემს კრებულში შემატქს!

იქვე, სამგორში გავიცანი ხსენებული  
„ვილისის“ მძღოლი, სიმონის მრავალი წლის  
ერთგული თანამგზავრი - სამება, რომელმაც  
ქვემოთ მოგახსენებთ...

ახლა ისევ ჩემს ოჯახს მივუბრუნდები.

ომის დამთავრების სიხარულს დღეაღნიშნის  
მძიმე ავადმყოფობა მოჰყვა. კარგა ხნით  
დავცივდი სიმონს. დღეა ლოგინად ჩავარდა.  
ერთადერთი მისი მომვლელი მე ვიყავი და  
აბა, სად მქონდა ლექსებისა ან მეგობრებში  
მისვლა-მოსვლის თავი...

მაღე გამოირკვა: დედას კიბო სჭირდა.  
ოპერაციამ უშედეგოდ წაიარა და ავადმყოფს  
რენტგენით უკურნალობა დაუნიშნეს. ეს კი  
იმას ნიშნავდა, რომ დასუსტებული ქალი,  
ვისაც სიარული არ შეეძლო, ყოველდღე  
საავადმყოფოში უნდა მეგარებინა და სათა-  
ნადო სეანსის ჩაგარების შემდეგ, ისევ შინ  
მიმეყვანა. რა მექნა, არ ვიცოდი: მანქანა  
არ მყავდა, არც ფული მქონდა, რომ ყოველ-  
დღე მანქანა მექირავებინა...

და აი, ერთ დღეს მანქანის საძებრად ქუჩაში გამოვარდნილს, ჩემი სახლის კართან მწვანე „ვილისი“ დაზხვდა. სამება შინ შემყვა, ორივენი ღელაჩემს მხარში ამოუღუქვით, მანქანაში ჩავსვით და საავადმყოფოში წაიყვანეთ. სანამ ღელას მკურნალობდნენ, სამება ვარეთ მივდილა, მერე ღელაჩემი შინ მიიყვანა...

ასე, ორი კვირის განმავლობაში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მანქანა ჯერ ღელაჩემს ემსახურებოდა, მერე თავის კანონიერ მფლობელს...

იმ წელს ღელაჩემი გარდაიცვალა... სწორედ იმ წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წვერად... იმ წლიდან ვთვლი სიმონ ჩიქოვანს ჩემს სულიერ მამად...

სიმონ ჩიქოვანის დასაფლავების დღეს ხალხის აბობოქრებულ ზღვაში სამებასაც მოვკარი თვალი. თხუთმეტი წელი არ მენახა. იდგა ეს მუხრანელი კაცი და ბავშვივით ზღუქუნებდა. და მე გავიფიქრე მაშინ, რომ ბატონი სიმონის კუბოსთან შეკრებილ ჭირი-სუფალთა შორის, რომელთაგან ბევრს ესმოდა ვის ან რას ეთხოვებოდა, მხოლოდ მე და სამებამ ვიცოდით მიცვალებულის შესახებ ისეთი რამ, რაც სხვებმა არ იცოდნენ...

.....  
 სიმონ ჩიქოვანზე ჩემი მოგონება სრული არ იქნება, თუ შოგი მეტად მნიშვნელოვანი ამბავიც არ გავიხსენებ.

სიმონსა და მარიკას არაჩვეულებრივი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ: იშვიათად შეშვედრია ასეთი განუყრელი წყვილი: სულ ერთად იყვნენ, ერთ მოღაიანობას წარმოადგენდნენ. ცალკე ცხოვრება არც ერთს არ შეეძლო. ერთად მოგზაურობდნენ, მე მგონი, ერთნაირადაც ფიქრობდნენ და გრძნობდნენ, ყოველ შემთხვევაში, თავის ახალ ლექსებს სიმონი პირველად მარიკას უკითხავდა, ის იყო მათი რედაქტორიც და „ციხშიორიც“! ტყუილად კი არ წერდა პოეტი:

ცოლს წაუკითხავ საეჭვო სტრიქონს,  
 რომელიც თავის კურთხევას ელის...

ჩიქოვანებს შვილი არ ჰყავდათ და, ალბათ, აშანაც განაპირობა მათი საკვირველი ერთიანობა.

სამწუხაროდ, გრადიკული აღსასრულიც ერთნაირი ერგო ორივეს... სიმონს დაბეგო

სკირდა. მარიკა უვლიდა ქმარს, ინსულინის ნემსებსაც ის უკეთებდა და შეძლებისდაგვარად მღელვარებისგანაც იცავდა, მაგრამ... ცხოვრება უღმობელია და მგრძნობიარე პოეტი მღელვარებას ვერსად გაექცეოდა... ეურნალ „მნათობის“ რედაქტორი იყო, როცა გლავაკონის სიკვდილზე უშმდეგ აკადემიკოსობამ წარადგინეს. მოშინდნენ იმწამსვე გაჩნდნენ: იდეოლოგიური „ჩავარდნები“ აღმოუჩინეს და სამსახურიდან მოხსნეს. „მოსხნილი კაცი“ კი აკადემიკოსი ვერ გახდებოდა და... აკადემიკოსის წოდება სხვაზე მიიღო... უსამართლოდ დასჯილ სიმონს ავადმყოფობა გაურთულდა და მხედველობა წაერთვა... მე და ის მაშინ ერთად ვმუშაობდით კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში. სამსახურში არ დადიოდა და შინ ვუგზავნიდით სცენარებს - წასაკითხად და შესაფასებლად. მის სიბრძავეს თანამშრომლები ჯერ ვერ ვამჩნევდით (სცენარებს სახლში მარიკა უკითხავდა), მაგრამ ერთხელ ყველაფერი გაირკვა. საღად ექვიყოლდით, სიმონიც ჩვენი თან იყო, მზიარული, გაზაბებული და, როცა მთელ ქალაქში მუქი ჩაქრა და სუფურამც დაბნელდა, სრულ სიჩუმეში უყებ სიმონის ხმა გაისმა: რას განუშლით, რა მოხდა? ამ ფრაზამ ყველას თავმზარი დაგვცა: მივხვდით, რომ ბატონი სიმონი ვეღარაფერს ხედავდა! ამის შემდეგ, როცა შინ მივაკითხე მეგობარს, საწოლზე იჯდა მობუშული, საშინლად გამხლარი და მხოლოდ ხმაზე მიცნო. როგორა ხარ-მეთქი, ვკითხე და მიპასუხა: ვკვდებით, მიშა... იმიტომ კი არ ვკვდებით, რომ ავად ვარ, იმიტომ რომ ეს ცხოვრება ჩემისთანა კაცის სიცოცხლედ არ ღირებულაო...

მეშობელ ოთახში კი მომაკვდავი მარიკა იწვა, მის მკერდს და ხერხემაღლს აეთვისებინა სიმონი მოსდებოდა და სიარული ღარ შეეძლო. წინა დღით მოსკოვიდან ჩამოსულ ექიმებს უთქვამთ: ორ კვირამე შეტანს ვერ გასტანსო...

სიკვდილის წინ სიმონს თურმე ცოლისთვის დაუბახნია: მარიკა, მგონი ვკვდები და ხელი მომეციო... მარიკაც ამღვარა და მისულა... და პოი, საკვირველება: ამის შემდეგ კიდევ ნახვევარი წელიწადი იცოცხლა და მხოლოდ მაშინ გარდაიცვალა, როცა ქმარი დასასულავა და მისი ლიგურაგურული მემკვიდრეობის საქმეები მოაგვარა... პირადად ჩემთვის უთქვამს: სიკვდილის უფლება ჯერ

არ მაქვს, სიმონის დანაბარები უნდა შევარსულო...

სიმონ ჩიქოვანი მთაწმინდაზე დაასაფლავეს. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება, ისტორიამ განსაჯოს, მე კი გავჩუბდები, რადგან გლავაკტიონზე დაწერილი ჩემს ლექსში ასეთი სტრუქტურა არის: „მანინ ბოლო დროს მთაზე ასვლა გახდა იოლი...“ მარიკამ კი სიმონის დასაფლავების დღეს შიამბო: „გუშინ ჩემთან ჩვენი თავმჯდომარე მოვიდა და მოთხრა: მთავრობას გადაწყვეტილება სიმონის მთაწმინდაზე აიგანონ... ამერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ჩემო მარიკა, მაგრამ შენ და სიმონი ხომ მუდამ ერთად უნდა იყოთ? შენ კი მთაწმინდაზე ვერ დაგასაფლავებენ. ამიტომ დამიწერე, რომ პირადად შენ, როგორც მისი მეუღლე, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი ხარო... ყურებს არ დავუქარი. „შენ რა უპასუხე? - კეითხე. „მე ვუთხარი, სიმონი, სანამ ცოცხალი იყო, მე მეკუთვნიოდა. ახლა კი მძორია და საცა გინდათ, იქ წაიღეთ, ეგეთ ქაღალდს კი ვერ დაგიწერა-მეთქი!“

აი, ასეთი ვნებები აღელვებდა საზოგადოებას სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალების დღეებში. მაგრამ ამით არ ამოიწურება ჩემს ხსოვნაში აღბეჭდილი ფაქტები. მარიკამ, როგორც ვითხარით, კიდევ დიდხანს იცოცხლა და, როცა მისი აღსასრულის დღე დადგა, მოითხოვა, რომ მოსკოვში წაეყვანათ. რატომ? იმიტომ, რომ მთაწმინდაზე, სიმონის გვერდით არ დასაფლავებდნენ, მოსკოვში კი, კრემატორიუმში მის ნეშტს დაწვავდნენ, საქართველოში ფერფლს ჩამოიგანდნენ და ქმრის საფლავს მოაყრიდნენ! ეს ანდერძი შეუსრულეს კიდევ: სიმონ ჩიქოვანის საუკუნო განსასვენებელს მისი უსაყვარლესი მეუღლის, ულიავას ქალის, მარიკა ჩიქოვანის ფერფლი აყრია...

ამის შემდეგ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მოსკოვში ვმსახურობდი, არაერთხელ მიეწერე საქართველოს მწერალთა კავშირს: სიმონის საფლავის ლოდზე, სადმე კუნჭულში, თუნდაც წერილი ასოებით, ამოეკეთათ: „აქ მისი უსაყვარლესი მეუღლის, მარიკა ჩიქოვანის ფერფლი ასვენია“, მაგრამ პასუხი არავინ გამცა!

### ქალი მტრული

სიმონ ჩიქოვანის დაკრძალვისთან დაკავ-

შირებით უცნაური შემთხვევა მაგონდება...

მოწმინდულ ცაზე მზე ჩახჩახებდა, როცა სიმონი მწერალთა სასახლიდან გამოასვენეს და სამგლოვიარო პროცესია მთაწმინდისკენ დაიძრა. საგვირთო მანქანაზე დადგულ კუბოს აქეთ-იქით მე და გურამ ასათიანი ვეღვეით. მანქანას მღვა ხალხი მოჰყვებოდა. მანქანის ქუჩას რომ გავცდით და მოედნისკენ გადავუხეიეთ, მოულოდნელად ცა მოიქუფრა და კოცისპირულმა წვიმამ დასცხო. ასეთი წვიმა გამაფხულმეც იშვიათად იცის: კი არ წვიმდა, როგორც იცყვიან „ცა ფეხად ჩამოიღოდა“... თავსხმა ორთავი წუთს გაგრძელდა, მაგრამ ხალხი ერთბაშად დაიშალა. გურამ ასათიანი ჩამოხტა მანქანიდან და პარამზე მარტო მე და სიმონი დავრჩით. მივვალეულს მთელი განით ვადავუფარე, რომ არ დასველებულიყო, ჩემი თმებიდან ჩამონადენი წყალი მის სახეს ასველებდა, ასე ახლო (და ასე შორსაც!), ჩემს სიმონთან არასდროს ვყოფილვარ და ეს წუთები სამუდამოდ დამამახსოვრდა... წვიმა შეწყდა ისევე მოულოდნელად, როგორც დაიწყო. ხალხი კვლავ მოგროვდა და პროცესია რუსთაველის პროსპექტს გაუყვა. თებერტთან მანქანა ცოცხა ხნით კიდევ შეჩერდა, მე ვისარგებლე შემთხვევით და ძირს ჩამოვედი. ისეთი ბოლო ვიყავი, ახლო არავინ შეკარებოდა. სულს ჭირისუფლებს შევეცილე და მითხრეს: წადი ჩვენიან სახლში, გამრი, თორემ გაცივდები. სასწრაფოდ ჩამსვეს მანქანაში და ჩიქოვანებთან მიმიყვანეს. იქ სამზარეულოში ღუმელთან დამხეხეს, გამათბეს, მაგრამ განისამოსის გაშრობა ვერ მოხერხდა და სიმონის ძველი კოსტუმი ჩამაცვეს... ასე, მივვალეულის კოსტუმში გამოწყობილი, ჭირის სუფრასთანაც ვიჯექი, სადაც ირაკლი აბაშიძე თამალობდა... ქელეხის წესი ყველამ იცის, ირაკლისავე არაფერი შემღია. ერთი ამოლოდ, გარდაცვლის ხსენებაზე, სულ „საწყალ სიმონს“ იძახდა, რამაც საშინლად გაადიმიანა პოეტი დავით გაჩეჩილაძე; იგი წამოხტა, ვინ არის შენი საწყალიო! მიძახხა თამაბას და ოთახიდან გავხრდა. მეც დადებ-პირე ორიოდე სიგყვა მუთქვა პოეტ-აკადემიკოსისთვის, სკამიდან წამოვიწვი, მაგრამ მარიკამ გამაჩერა: არ გაბელო, ეგ კაცი კიდევ დამჭირდება სიმონის საქმეების მოსაგვარებლადო... რაღა დამჩრჩნოდა? დავე-

ორჩილი, სწრაფად დაეთვერი და იქაურობა დაეგოეუ...

მამინ საბურთალოს „მასივი“ ვცხოვრობდი, თითქმის ქალაქის განაპირას. მარგო ვიყავი და ჩემს პაგარა ოთახში საწოლის, მაგიდისა და სკამის მეტი არაფერი იყო. შეულებავ კელეგებზე ჩემი მთერალი ფანგამის ნაყოფი - რაღაც „სივიეეეეები“ ეხატა, რაც ექიმ-ფსიქიატრს თუ გამოადგებოდა ჩემი მამინდელი დიაგნოზის დასადგენად. მე თვითონ „ფრესკები“ ხელს არ მიშლიდა, ოთახში მხოლოდ მეძინა (ხან მარგო, ხან არა, დანარჩენ დროს კი ბავშვობის მეგობრებთან, ქუჩაში ან რესტორანში ვაგარებდი...)

იმ დამით მთერალი დაეებრნიდ სახლში და ისღა მოვახერხე, აივნის კარი მიმეხურა. განგაუხდელად საწოლზე მივეგდე და იმწამსვე ჩამეძინა.

ადრე დილით, საათის ხუთი იქნებოდა, ჯერ კიდევ ბნელოდა, თითქოს ქარმა დაბერა ჩემს ოთახში - ფრთების ძლიერმა ფათქუნმა გამომადვიდა. გავახილე თვალი და რას ვხედავ: საწოლის გამირზე, ჩემს სასთუმალთან, მგრედი მის და ზემოდან დამეკერის! ჩვეულებრივი მგრედი იყო, ნაცრისფერი, მოწითალო თვალებითა და ფეხებით. ჯერ ვიფიქრე: გავვიკიდი-მეთქი და შელანდება, მაგრამ მერე მოვისაზრე რაშიც იყო საქმე და ცოგა დაემშვიდდი: აივნის კარი მთელი დღე ღია იყო, ეგყობა, მგრედი დღისით ოთახში შემოვრინდა, კარი რომ მივხურე ჩემთან დარჩა და მთელი დამე ჩემთან გაათია... უცნაური გრძნობა დამეუფლა. რატომღაც ვიფიქრე, ეს ჩვეულებრივი ფრინველი კი არ იყო, მთაწმინდიდან მოფრენილი სიმონის სული გამოემეცხადა, მთელი დამე ჩემთან გააგარა და ჩემს გამოლევებებს დაელოდა, რომ სამუდამოდ გამომთხოვებოდა! ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როცა მგრედი იტაკზე დაემუა და გაიარ-გამოიარა: იგი კოჭლობდა! (ბარათაშვილიც ხომ კოჭლი იყო!) განა არ შეიძლებოდა სიმონის სულს, რომელმაც არა-

